

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი
სლავისტიკის დეპარტამენტი

შოთა როდინაძე

ადამიანური მიმართებების ეთნო-მენტალური ველი ინგლისური,
ქართული და რუსული ლოგოეპისტემების მიხედვით

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

ენათმეცნიერება (თარგმანმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დავით გოცირიძე

ბათუმი

2013

სარჩევი

შესავალი	7
თავი I.	
ლოგოეპისტემათა კორპუსი, როგორც პირველადი საინფორმაციო საძიებელი სისტემა.	
I.I. კლიშირებული ტექსტების უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნები	9
I.II. პარემიოლოგიური ტექსტები, როგორც ერის კულტურულ-ინფორმაციული სივრცის სემანტიკის საშუალება	41
თავი II.	
კულტურული ღირებულებების არსი და მათი ადგილი კულტურათმორის კომუნიკაციაში.	
II.I. კულტურა და მისი ღირებულებები პარემიოლოგიური სისტემის მაგალითზე	59
II.II. ენა, ცნობიერება და აზროვნება	88
თავი III.	
ადამიანური ურთიერთობის ეთიკა და ესთეტიკა ეთნო-მენტალურ ცნობიერებაში (ეთნო-მენტალური ველი).	
III.I. პარემიოლოგიური ტექსტები – კავშირი ხალხურ მენტალიტეტსა და კულტურას შორის	106
III.II. სტერეოტიპული გამონათქვამების უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ბუნება	127
დასკვნა	133
გამოყენებული ლიტერატურა	135

ანოტაცია

ბოლო წლებში მეცნიერები განსაკუთრებით მუშაობენ სიტყვის მიმართ რაციონალური მიდგომის მოძიებაზე, რომელიც აღწერს ენის ერთეულს და ენის ათვისების პროცესს, ასევე სწავლების ერთეულს, რათა მიღწეულ იქნეს ურთიერთგაგება კულტურულ დიალოგებში. ამ კუთხით განსხვავებულ როლს იძენს იმ ენობრივი ერთეულის შესწავლა, რომელიც ამავე დროს ასრულებს ზოგიერთი არტეფაქტების სიმბოლურ ფუნქციას. ის ერთის მხრივ, მიეკუთვნება ენას, ხოლო მეორეს მხრივ – კულტურას. ამ მოვლენის აღსანიშნავად შემოთავაზებულია რამდენიმე ტერმინი: ი. ს. სტეფანოვის, ვ. ნ. თელიას *კონტაქტი*; ვ. ვ. ვორობიოვის *ლინგვოკულიურება*; ი. მ. პროხოროვის *სოციოკულტურული სტერეოტიპი*. ბოლო წლების ერთერთ წარმატებულ ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს გამოყოფილი *ლოგოებისტემები*, როგორცაა არსებითი კატეგორიები მეცნიერული ცოდნის პარადიგმაში ფუნქციონირებული ენისა და კულტურის დონეზე.

საერთაშორისო კულტურული კონტაქტების დროს აღმოჩენილია სხვაობა იმ კუთხით თუ როგორ აღიქმება ერთი და იგივე ფასეულობები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. მრავალფეროვანი აღქმის კოლოსალურ რიცხვს განეკუთვნებიან ისეთი ჯგუფები, რომლებიც ემთხვევიან ერთმანეთს შეფასების ხასიათებით და შინაარსობრივად. ამგვარმა ღირებულებებმა მიიღეს უნივერსალური, ანუ ზოგადსაკაცობრიო სახელწოდება. მათი უნივერსალურობა განპირობებულია იმით, რომ ასეთი ღირებულებების ძირითადი მონაცემები ბაზირებულია ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებაზე და სოციალური ურთიერთობების საყოველთაო თვისებებზე. მაგალითად, სამყაროში არ არსებობს ერთი ისეთი კულტურა, სადაც დადებითად არის შეფასებული მკვლელობა, სიცრუე და ქურდობა. ყველა კულტურაში არსებობს ამ მოვლენების მხოლოდ საკუთარი ტოლერანტულობის საზღვრები, მაგრამ მათი საერთო ნეგატიური შეფასება ერთმნიშვნელოვანია.

კონცეფტოსფერო “ადამიანის“ სტრუქტურირება ეფუძნება შიდასისტემურ კავშირებს. რომლებიც ასახავენ ადამიანის არსებობის სხვადასხვა მხარეს: ფიზიკური არსებობა, ინტელექტუალური მოღვაწეობა,

სულიერი მოღვაწეობა და სოციალური საქმიანობა. საკვლევი მასალის ინტერპრეტაცია ხდება ოთხი ველის ფარგლებში:

- 1 ველი -“ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება“
- 2 ველი -“ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება”
- 3 ველი -“ადამიანი როგორც სულიერი არსება”.
- 4 ველი -“ადამიანი როგორც სოციალური არსება.

მეოთხე ველი - “ადამიანი როგორც სოციალური არსება” - ასახავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანის დამოკიდებულებას საკუთრებისადმი, შრომისადმი, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტების და ორგანიზაციების და “სოციალურ ქცევას” მიმართ. როგორც საზოგადოების წევრი ადამიანი ხვდება მისი განვითარების ზოგადი კანონების მოქმედების არეალში და ამყარებს სხვადასხვა სახის ურთიერთობას. აღნიშნული ველის გამოყოფისას ჩვენ სოციალურობის ფართე გაგებიდან გამოვდივართ, რაც გულისხმობს ადამიანის სამყაროსთან, ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების მთელ სპექტრს. ნებისმიერი ადამიანის ფსიქიკა საფუძველშივე სოციალურია, საზოგადოება არ არსებობს პიროვნებებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების გარეშე, ამიტომ ურთიერთობა ადამიანური ურთიერთობების თავისებური სკოლა და ადამიანის როგორც სოციალური არსების ჩამოყალიბების საფუძველია.

Annotation

Scientists particularly work on finding rational approach towards a word which describes the language unit and the process of mastering language and teaching unit in order to reach mutual understanding in cultural dialogs. In this regard, learning a language unit has a different role which stands for the symbolic functions of some artefacts at the same time. On the one hand it belongs to the language, and on the other hand - to the culture. Some terms have been suggested to identify this phenomenon: Stefanov and Telia's *Concept*; Vorobiov's *Lingvoculipureme* and Prokhorov's *Sociocultural stereotype*. *Logoepistemes* can be considered as one of the most successful terminological and methodological discoveries, such as subject categories on the level of functional language and culture in the scientific knowledge paradigm.

According to the perception of the same values among the representatives of different cultures, they have found difference at the time of international contacts. Such groups which coincide with each other with the character of estimation and in concept belong to the colossal number of various perceptions. Such values have received universal names. Their uniqueness has been caused by the fact that the basic data of such values are based on a biological nature of the person and common qualities of the social relationship. For example, there is no culture in the universe where murdering, lying and stealing are positively valued. In every culture there are only own limits of tolerance, but their common negative evaluation is same.

Structuring the concept "human" is based on the intersystematic connections. These connections reflect the different sides of the human's existence: physical being, intellectual activity, spiritual activity and social work.

The research material has been interpreted within the frames of four fields:

Field 1 - "a human being as a biological creature"

Field 2 - "a human being as an intellectual creature"

Field 3 - "a human being as a spiritual creature"

Field 4 - "a human being as a social creature"

The forth field - "a human being as a social creature" - describes the interrelation of people, the attitude of a person towards property, labour, political and social institutions and organizations and towards "social behaviour". A person, as the member of society, is a part

of an areal of general laws of his (her) development and makes different kinds of relationships. We mean broad meaning of socialization while distinguishing the field, which means the whole range of a person's relationships with the universe, nature and other people. The psychic of any person is social at the very beginning, the society does not exist without the individuals and social relations, that is why, the relationship is a special school of human relationship and a base of developing a person as social creature.

შესავალი

სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა ძვრებმა მნიშვნელოვნად შეცვალა აზროვნების სისტემა და ბევრი ტრადიციული კატეგორიის ახლებური გააზრება მოითხოვა. ჰუმანიტარული მეცნიერების ანტროპოცენტრისტული ინტერპრეტაცია კომუნიკაციის ობიექტის წინა პლანზე წამოწევას და ლინგვისტურ საკითხთა ინტერდისციპლინარულ კვლევას ითვალისწინებს. გლობალიზაციის პროცესი, რომლის ტექნოლოგიურ საფუძველს ინფორმატიზაცია წამოადგენს, იდეაში გულისხმობს ერთიანი საკომუნიკაციო კოდის (რომელსაც დღევანდელ სამყაროში ინგლისური ენა წარმოადგენს) არსებობას, რაც ეწინააღმდეგება ანტროპოცენტრიზმის პრინციპებს, რომელიც პიროვნების ენობრივი უნიკალურობის დებულებას ეყრდნობა. ეს წინააღმდეგობა დაუძლეველი არ აღმოჩნდა, ფაქტობრივად, შეიქმნა ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიები. წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ საინფორმაციო ნაკადების ენობრივი რეგულირების პრინციპები ინფორმაციული რევოლუციის ეპოქაში სრულ ანალოგიას ამჟღავნებს დამწერლობამდელი პერიოდის საინფორმაციო ტექსტებთან, რომლის ანალიზიც შესაძლებლობას გვაძლევს თეორიულად გაავიზროთ მიმდინარე პროცესები. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა არამარტო პრობლემის აქტუალობა, არამედ მისი სამეცნიერო სიახლე, რომელიც შემდგენიარად გვესახება:

1. ნაშრომში ლოგოეპისტემების ბაზაზე პირველადაა გაანალიზებული ადამიანების ურთიერთმიმართებების ველი;
2. ურთიერთმიმართებების კონცეფტუალური ველი პირველად განიხილება შეპირისპირებით-ტიპოლოგიურ პლანში;
3. ლოგოეპისტემა, როგორც მენტალური რეალობა, პირველად განიხილება ეთნო-ეროვნული ცნობიერების ენობრივ მანიფესტაციასთან კავშირში;
4. ლოგოეპისტემებში გამოვლენილი ადამიანთა ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის ასახვის, შენახვის და მიმოქცევის პრინციპები პირველად განიხილება საინფორმაციო-საძიებელი სისტემებთან მიმართებაში.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს:

1. ქართული, რუსული და ინგლისური ლოგოეპისტემების კროს-კულტურულ ანალიზს;
2. ადამიანთა ურთიერთმიმართების ეთნო-ეროვნული სპეციფიკის დადგენას საკვლევი კულტურების ენობრივ ფაქტებზე დაყრდნობით;
3. ინფორმაციის შენახვის და რეგულირების უნივერსალური და ნაციონალურ-პეციფიკური თავისებურებების გამოვლენას.

კვლევის მეთოდიკას განსაზღვრავს კვლევის ობიექტის თავისებურება, გამოკვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: სისტემური და კონტრასტული ანალიზის, დინამიკური ექვივალენტობის და კონცეპტუალური ანალიზის, რაც შესაძლებლობას გვაძლევს საკვლევი ობიექტი სისტემურ მთლიანობაში დაინახოთ და გავანალიზოთ. “სიუჟეტის” განვითარების ლოგიკა შემდეგნაირად გვესახება: პირველ თავში ჩვენ განვიხილავთ ლოგოეპისტემის, როგორც პირველადი საინფორმაციო საძიებელი სისტემის სპეციფიკას, რაც განაპირობებს მის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ თავისებურებას. ლოგოეპისტემა განისაზღვრება როგორც რთული სემიოტიკური წარმონაქმნი, რომელსაც არსებობის ორგვარი მოდუსი გააჩნია - ერთი მხრივ, ის წარმოადგენს ენობრივ სტერეოტიპს - ფრაზეოლოგიურ ტექსტს, რომელიც მთლიანად ექცევა ლინგვისტური კვლევის ჩარჩოებში, ხოლო მეორე მხრივ - კულტურულ ნიშანს, რომელიც ასევე კლიშირებული ფორმით აფიქსირებს საზოგადოებრივად რელევანტურ ცოდნას. ლოგოეპისტემის ფრაზეოლოგიურ ტექსტების კონტექსტში განხილვა უფლებას გვაძლევს ამ ფენომენის უნივერსალურ და ეროვნულ-სპეციფიკურ ნიშნებზე ვისაუბროთ. ლოგოეპისტემის ფუნქციონირება კულტურის სემიოტიკურ სივრცეში უშუალოდ უკავშირდება პარემიოლოგიური ტექსტების წარმოშობასა და მათ იდეურ-თემატურ შინაარსს. მეორე თავში აქცენტირებულია კულტურული ღირებულებების არსი და მათი ადგილი კულტურათშორის კომუნიკაციაში. პარემიოლოგიური სისტემა განიხილება, როგორც თავისებური კონტინერი, რომელშიც აკუმულირებულია კულტურა და მისი ღირებულებები. წინამდებარე ნაშრომი დაკავშირებულია ადამიანის არსებობის ისეთ ფორმასთან, რომელსაც ინტერპერსონალური კომუნიკაცია ჰქვია. დამიანური მიმართებების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ნათლად წარმოგვიჩენს ხალხურ მენტალიტეტსა და კულტურას შორის

კავშირს. მეორე მხრივ, ამ კავშირების ტიპოლოგიურ პლანში გააზრება ქმნის ერთიან სურათს, რომელშიც აირეკლება სამყაროს ხედვის უნივერსალური და ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა.

თავი I

ლოგოებისტემათა კორპუსი როგორც პირველადი საინფორმაციო საძიებელი სისტემა

II. კლიშირებული ტექსტების უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნები

ბოლო წლებში მეცნიერები განსაკუთრებით მუშაობენ სიტყვის მიმართ რაციონალური მიდგომის მოძიებაზე, რომელიც აღწერს ენის ერთეულს და ენის ათვისების პროცესს, ასევე სწავლების ერთეულს, რათა მიღწეულ იქნეს ურთიერთგაგება კულტურულ დიალოგებში. ამ კუთხით განსხვავებულ როლს იძენს იმ ენობრივი ერთეულის შესწავლა, რომელიც ამავე დროს ასრულებს ზოგიერთი არტეფაქტების სიმბოლურ ფუნქციას. ის ერთის მხრივ, მიეკუთვნება ენას, ხოლო მეორეს მხრივ – კულტურას. ამ მოვლენის აღსანიშნავად შემოთავაზებულია რამდენიმე ტერმინი: ი. ს. სტეფანოვის, ვ. ნ. თელიას *კონცეპტი*; ვ. ვ. ვორობიოვის *ლინგვოკულიპურემა*; ი. მ. პროხოროვის *სოციოკულტურული სტერეოტიპი*. ბოლო წლების ერთერთ წარმატებულ ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს გამოყოფილი *ლოგოებისტემები*, როგორცაა არსებითი კატეგორიები მეცნიერული ცოდნის პარადიგმაში ფუნქციონირებული ენისა და კულტურის დონეზე. ეს ტერმინი შემოთავაზებულია ვ. გ. კოსტომაროვისა და ნ. დ. ბურვიკოვას მიერ. ის შედგენილია ბერძნული ლექსემის „ლოგოს“ ფონებისა და მორფემის მსგავსად (სადეთო–ფილოსოფიური დატვირთვით: ენა, მეტყველება, სწავლება, აზრი) და „ეპისტემა“ (შეთანხმება, იდეების სისტემა, რომელიც მიმართულია ცოდნისაკენ, გაგებისაკენ). ლაპარაკია ცოდნაზე, რომელსაც ატარებს ზოგიერთი ენობრივი ერთეული მისი ფარული „შინაგანი ფორმით“, ინდივიდუალური კულტურული ისტორიით და საკუთარი კავშირებით ეროვნულ კულტურასთან. ასეთი ერთეულების ანალიზს ავტორები თვლიან მეცნიერების ცალკეულ მიმართულებად – ლინგვოებისტემოლოგიად ან ლოგოებისტემატიკად. ვ. გ. კოსტომაროვი და ნ. დ. ბურვიკოვა ლოგოებისტემებს ახასიათებენ სხვადასხვა თვალსაზრისით. მაგალითად, ლოგოებისტემა ლინგვისტური თვალსაზრისით:

1. გააჩნია სიტყვიერი გამოხატულება, ამასთან არა მარტო გამოხატულია სიტყვაში, არამედ შესიტყვებასა და წინადადებაშიც, ზეფრაზების ერთობაში;
2. ხასიათდება კონკრეტული ენის მიკერძობით;

3. ის არის მითითება იმ ტექსტზე და სიტუაციაზე, რომელმაც იგი წარმოქმნა;
4. კომუნიკაციის პროცესში არ იქმნება ხელახლა, მაგრამ განიცდის განახლებას;
5. კომუნიკაციის პროცესში შეიძლება განიცადოს სახეცვალებადობა, მაგრამ ისე, რომ შეიძლებოდეს მისი ამოცნობა. ამ შემთხვევაში ის იღებს ტექსტის წარმომქმნელ თვისებას და ძალას. (Костомаров Бурвикова, 2001:39).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორების მიერ შემოთავაზებული ლოგოეპისტემების ლინგვისტური დახასიათება შეესაბამება ზოგიერთ ძალიან მნიშვნელოვან თვისებებს თანამედროვე მეცნიერულ პარადიგმაში.

მეორე დახასიათება იმპლიციტურად შეიცავს ბოლო ათწლეულების მანძილზე ლინგვისტიკაში შემუშავებულ ტიპოლოგიურ და კონკრეტულ ენობრივ წარმოდგენას დიალექტურ ურთიერთკავშირზე ნებისმიერ ენაში. თვითონ ლოგოეპისტემა, როგორც აღნიშნავდა ე. მ. ვერეშაგინა და ვ. გ. კოსტომაროვი, წარმოიქმნება იდეების კონიუნქციიდან (კოპულიაცია) – მათი ეპისტემებიდან გადასვლის შედეგად, რომლებიც წარმოადგენენ ზოგადსაკაცობრივო მენტალურ სტრუქტურას ლოგოეპისტემაში, რომელიც ავითარებს მენტალურ სტრუქტურას კონკრეტული ენობრივი საშუალებების გამოყენებით.

ლოგოეპისტემის მესამე ლინგვისტურ ნიშანს წარმოადგენს მითითება ლოგოეპისტემის რეფერენციალურ მახასიათებლებზე. ყოველი ლოგოეპისტემა წარმოქმნის ტექსტებში და დისკურსებში პოტენციურად შემავალ სისტემას, რომელიც წარმოადგენს ყოველი ენობრივი სისტემის ენობრივ ერთეულს.

მეოთხე და მეხუთე ნიშან-თვისება დაკავშირებულია მესამესთან. მათში მნიშვნელოვანია პირველ რიგში ის, რომ ლოგოეპისტემა წარმოადგენს ინვარიანტულ სისტემას, ხოლო მეორე რიგში – მითითება ლოგოეპისტემების მუდმივ ექსპრესიულობაზე. ექსპრესიულობა ენობრივ სისტემაში ორი ტიპისაა: ენობრივი სტრუქტურის გამოხატვა მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური პოზიციების კონკრეტული შევსებით (როგორც წინადადების მინიმალური სქემიდან რეალური ტექსტის ან დისკურსის რეალურ წინადადებაში გადასვლის შედეგად); სხვადასხვა სტერეოტიპული წარმონაქმნების გამოხატვა – უბრალო ეტიკეტური ფორმულებიდან

დისკურსიულ სქემამდე. სტერეოტიპულობის „პლიუსების“ ამ შუალედურ მდგომარეობას შორის აღსანიშნავია ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, იდიომები, კოლოკაციები, ასევე მყარი კონსტრუქციები, რომლებსაც ზემოთ ჩამოთვლილ ერთეულებთან არანაირი კავშირი არ აქვს (პირველ რიგში სხვადასხვა დისკურსიული მარკერები: შემდეგ; დავიწყეთ; მე რა მინდა ვთქვა და ა.შ.).

ლოგოპისტიკების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი აერთიანებენ ორივე ტიპის სტერეოტიპულობას. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ვისაუბროთ ამ წარმონაქმნების უნიკალურობაზე, რადგან სხვა არცერთი ენობრივი მოვლენა არ აერთიანებს ორ არსებულ ენაში სტერეოტიპულობის ამგვარ სახესხვაობებს, მაშინ როცა არსებობს გზა საწყისი მენტალური კატეგორიიდან („იდევები“) მყარ სტერეოტიპულ ენობრივ წარმონაქმნამდე. ე. მ. ვერეშაგინი და ვ. გ. კოსტომაროვი ამ წარმოქმნის პროცესს „გრესუსს“ უწოდებენ. (Верещагин., Костомаров 2002). ისევ დავუბრუნდეთ ვ. გ. კოსტომაროვისა და ნ. დ. ბურვიკოვის კვლევას: ავტორები მიუთითებენ, რომ კულტუროლოგიის თვალსაზრისით ლოგოპისტიკა „ხასიათდება როგორც შევსებული კულტურული ხასიათის ცოდნა; ის სემიოტიკური და სიმბოლურია, რადგანაც წარმოადგენს ნიშნების სიტემისა და სიმბოლოების ელემენტს, რომელსაც იყენებს საზოგადოება; ჰერმენევტულია, რადგანაც მისი გაგებისათვის საჭიროა მისი შედარება სხვა ტექსტებთან როგორც კულტურის არტეფაქტებთან“; დიდაქტიურია, რადგანაც მისი დაუფლება შესაძლებელია განათლების მიღების პროცესში, მისი კულტურაში „შეზრდის“ თვალსაზრისით“. (Костомаров., Бурвикова 2001:39).

ლოგოპისტიკების ეს თვისებები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ ის წარმოადგენს ცოდნის, აზრის, ტრადიციების, წესჩვეულებების ნიშნების მატერიალურობაში გარდასახვას.

ამგვარად, ლოგოპისტიკა – „ეს არის ენობრივი გამოხატულება, რომელიც გამყარებულია საზოგადოებრივ მეხსიერებაში და ეყრდნობა სინამდვილეს ენის მატარებლების გონებაში, რომელიც წარმოიქმნა მშობლიური და მსოფლიო კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების შედეგად“ (Костомаров., Бурвикова 2001:39).

ვ. გ. კოსტომაროვი და ნ. დ. ბურვიკოვა აღნიშნავენ, რომ ლოგოპისტიკების მნიშვნელობა დატვირთულია სოციალურ–ისტორიული (Костомаров., Бурвикова 2001:42) და მნიშვნელოვანი წყაროებით, რომლებშიც

ფორმულირებულ იქნა მათი სემანტიკური პოტენციალი; ისინი წარმოადგენენ ფოკლოს და ხალხურ-პოეტიკურ სახეობებს, საერთოეგროპულ ანტიკურ და ქრისტიანულ (ბიბლიურ) გამონათქვამებს; ფილმების ტექსტებს, რეკლამებს, ანეკდოტებს; ლოზუნგებს, მოწოდებებს; სოციალურ-ისტორიულ მითებს;

ვ. გ. კოსტომაროვი და ნ. დ. ბურვიკოვა მიუთითებენ იმაზე, რომ ლოგოეპისტემის ბევრი წყარო ენის მატარებლებისთვის წარმოდგება პრეცედენტული ტექსტების სახით. ტექსტები პრეცედენტულია, თუ ისინი ითვლებიან „(1) მნიშვნელოვნად ამა თუ იმ პიროვნებისათვის შემეცნებითი და ემოციური თვალსაზრისით, (2) ხასიათებიან ზეპიროვნული მახასიათებლებით, ანუ ამა თუ იმ პიროვნებისათვის და მის გარშემო მყოფთათვის კარგად არიან ცნობილი, ეს ეხება ასევე მის წინამორბედებს და თანამედროვეობას, და ბოლოს, ისეთებს (3) რომლებთანაც მიმართებაში ხდება არაერთჯერადი განახლება მოცემული ენობრივი პიროვნების დისკურსში“ (Караулов 1986:105).

ნ. დ. ბურვიკოვასა და ვ. გ. კოსტომაროვის აზრით, პრეცედენტული ტექსტები შეადგენენ ადამიანის ფონური ცოდნის ჩონჩხს. ისინი ათწლეულების მანძილზე წარმოადგენენ ბავშვის შესწავლის და აკულტურაციის საფუძველს, მათი დახმარებით ბავშვი ჯერ ზეპირად, შემდეგ კი წერით ეუფლება მშობლიურ ენას. პრეცედენტული ტექსტები გონებაში ყალიბდებიან ლოგოეპისტემების სახით და ამავე დროს ახდენენ ლოგოეპისტემების გამაგრებას როგორც „ნივთი საკუთარ თავში“ განსაზღვრული მნიშვნელობით. (Костомаров., Бурвикова 2001:44).

1994 წელს ვ. გ. კოსტომაროვი და ნ. დ. ბურვიკოვა წერდნენ, რომ არსებობს მექანიზმი, რომელიც მოხერხებულად ინახავს პრეცედენტულ ტექსტებს ცალკეული სიტყვათშეთანხმების ან ფრაზის სახით (Костомаров., Бурвикова 1994:73). მათ ჯერ კიდევ მაშინ შეამჩნიეს, რომ ყოველ სიტყვას (გამონათქვამს), თუ დავაკვირდებით მათ წარმოშობას აღმოჩნდება ტექსტი ან სიტუაცია. პრეცედენტული გამონათქვამი ანაფორიულია იმ ტექსტის მიმართ, რომელმაც ის წარმოქმნა, თუ ის ამ ტექსტთან დაკავშირებულია სტრუქტურულად და დეიქტიკურია სიტუაციის მიმართ, რომლის კონტექსტშიც ის პირველად წარმოიქმნა. პრეცედენტული გამონათქვამი შეიძლება დაკავშირებული იყოს თავდაპირველ ტექსტთან მხოლოდ აზრით, სტრუქტურულად, თუნდაც ის იყოს ავტოსემანტიკური (Костомаров., Бурвикова 1994:74).

პრეცედენტული გამონათქვამი, თავდაპირველი ტექსტის სტრუქტურაში წარმოადგენს: 1) დასახელებას (სათაურს), 2) ფრაგმენტის, აბზაცის, ტექსტის ინიციალურ წინადადებას, 3) ტექსტის ბოლო წინადადებას, რომელიც აკუმულირებს ამ ტექსტის სემანტიკას მანამ სანამ არ მიაღწევს შესაბამის ძლიერ პოზიციას (იქვე). ამ პროცესს ავტორებმა უწოდეს ტექსტური რედუქცია. მკვლევარებს მოჰყავთ ასეთი მაგალითები: «Да, были люди в наше время» (ეტიპური წინადადება); «И я там был, мед-пиво пил» (ზღაპრის დასასრული); «Карету мне, карету!», (მონოლოგის დასასრული), «Народ безмолвствует» (ტრაგედიის დასასრული); «Как ныне собирается...» (ლექსის დასაწყისი); «Скажи-ка дядя...» (ლექსის დასაწყისი); «Аи, Моська, знать, сильна», (იგაგ-არაკის დასასრული); «Что станет говорить княгиня Марья Алексеевна?» (ტრაგედიის დასასრული).

ვ. გ. კოსტომაროვი და ნ. დ. ბურვიკოვა ასევე მიუთითებდნენ იმაზე, რომ გარდა ძლიერ პოზიციაში ყოფნისა, პრეცედენტული გამონათქვამი უნდა იყოს თვითუზრუნველყოფილი გაგებისათვის, ანუ ავტოსემანტური. გამოხატავს რა საზოგადოებრივ ჭეშმარიტებას, მსგავსი უნივერსალური გამონათქვამები ადვილად ამოიღება კონტექსტიდან და მშვენივრად არსებობენ მის გარეშე: «Чем меньше женщину мы любим, (тем легче нравимся мы ей)» (ა. ს. პუშკინი); «Что за комиссия, создатель (быть взрослой дочери отцом!)» (ა. ს. გრიბოედოვი) (იქვე). მაშინ მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმასაც, რომ პრეცედენტული ფრაზის უკან დგას აზრი, რომელიც ყოველთვის არ გამოდის შემადგენელი სიტყვების ჯამიდან. ვ. გ. კოსტომაროვი და ნ. დ. ბურვიკოვა თავიანთ ბოლო ნაშრომებში უკვე საუბრობენ არა ტექსტურ რედუქციაზე, არამედ ლოგოეპისტემაზე. სწორედ ლოგოეპისტემა შეიძლება იყოს ტექსტის სათაურის განმეორება, მისი პირველი ან ბოლო ფრაზა, ტექსტის გასაღები, კულმინაციური სიტყვა. ლოგოეპისტემის არსებობის აუცილებელი პირობაა, მეცნიერების აზრით, კავშირის არგაწყვეტა მის წარმომშობ ტექსტთან (Костомаров., Бурвикова 2001:33).

ვ. გ. კოსტომაროვი და ნ. დ. ბურვიკოვა ლოგოეპისტემებს უწოდებენ მათ უკან მდგარი შინაარსის სიმბოლოებს, რომლებიც გვაიძულებენ გარკვეული ფონური ცოდნის გახსენებას, რაც დაყრდნობილია ზოგიერთ ტექსტზე, თვითონ ლოგოეპისტემა წარმოგვიდგება ან ემბლემის, ან ტექსტის სიმბოლიკის, ან ტექსტის აღწერის ერთეულის სახით ლინგვოკულტურულ ასპექტში. მიუხედავად ამისა, მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ აზრს, რომ

ლოგოეპისტემის ტექსტში განხილვა როგორც ძირითადის, პირობითია (Костомаров., Бурвикова 2001:34).

ლოგოეპისტემები თამაშობენ არსებით როლს ადამიანების ნორმალურ ურთიერთობებში, ახალი ტექსტების სტრუქტურისა და განსაკუთრებით პუბლიცისტიკაში და მხატვრულ ნაწარმოებში, რადგან მათ შეუძლიათ ლაკონურად და მკვეთრად გამოხატონ რომელიმე მნიშვნელობა, აზრი, თანაც არა პირდაპირ, არამედ ყურადღების გადატანით საერთო კულტურულ ცოდნაზე, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ხალხისათვის.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ყველა ფრაზეოლოგიზმი და გამონათქვამი არ შეიძლება ჩაითვალოს ლოგოეპისტემის წყაროებად, რადგან ხალხისთვის ყველა არ არის ცნობილი და გაგებულნი და ყველა როდია ეროვნული კულტურის ენობრივი მატარებელი და შესაბამისად, მოცემული ხალხის ფონური ცოდნის გამომხატველი.

ლოგოეპისტემის, როგორც ახალი ტერმინის და ცნების წარმოშობამ გამოიწვია ლინგვისტიკისა და მეთოდისტიკის დისკუსია. ზოგიერთი თვლის, რომ ლოგოეპისტემები ტავიანთი ბუნებით არის ის საერთო დასახელება ისეთი ენობრივი ერთეულებისა, როგორებიცაა: სიტყვა, შესიტყვება, ფრაზეოლოგიზმი და პრეცედენტული ტექსტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურულ და ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციას.

ამ ტერმინის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ლოგოეპისტემები შეუფარდებელია ცნობილ ლინგვისტურ კატეგორიებთან: ეს არ არის სიტყვა ან შესიტყვება, არც ფრაზეოლოგიზმი, კლიშე, არც მეტაფორა ან ალეგორია და ა. შ.; ეს ცოდნაა – „სიტყვით გადმოცემული“ – მისი ფარული შინაგანი ფორმით, მისი ინდივიდუალური ისტორიით, მისი საკუთარი კავშირებით კულტურასთან“ (Верещагин., Костомаров 1999:7).

ფონური ცოდნა – ეს არის ინფორმაციის ნაწილი ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა დონის ერთეულებით სწავლების პროცესში. მათში ასახულია ენისა და კულტურის სოციალურად დეტერმინირებული გამოცდილება, მორალური და ზნეობრივი ფასეულობები და მათი უპირატესობები, მოცემულია ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენლების მსოფლმხედვეობა. ლინგვისტიკური ტერმინების ლექსიკონის თანახმად, ფონური ცოდნა განსაზღვრულია „როგორც მოლაპარაკისა და მსმენელის რეაქციების ერთობლივი ცოდნა, რომელიც ენობრივი ურთიერთობის საფუძველს შეადგენს“ (Ахманова 1969:498). ფონური

ცოდნის წარმოშობის თვალსაზრისით, შესაძლებელია მათი დაყოფა სამ ჯგუფად: ზოგადსაკაცობრიობო, რეგიონალური, ქვეყანათმცოდნეობითი (Верещагин., Костомаров 1990).

1. ზოგადსაკაცობრიობო ფონური ცოდნა – ცნობილია ყველა ადამიანისთვის გამონაკლისის გარეშე, მაგალითად: მზე, ქარი, დრო, სამშობლო და ა. შ.
2. რეგიონალური ფონური ცოდნა – ეს არის მონაცემები, რომელიც ცნობილია მხოლოდ კონკრეტული რეგიონის მაცხოვრებლებისთვის, მაგალითად, ტროპიკების ყველა მაცხოვრებელმა არ იცის რა არის თოვლი, ციგა, ბალეტი ყინულზე.
3. ქვეყანათმცოდნეობითი ფონური ცოდნა – ეს არის ის მონაცემები, რომელიც გააჩნიათ კონკრეტულ ეთნიკურ და ენობრივ ერთობლიობას. მაგალითად, ყველა რუსისთვის ცნობილი ცოდნა ხანგრძლივ რუსულ ზამთარზე, სამოვარზე, რუსულ მატრიოშკაზე, ბლინებზე და ა. შ.

ცნობილია, რომ რაც უფრო მეტია განსხვავება ბუნებრივი პირობების, ტრადიციების, კულტურის, ყოფითი პირობების თვალსაზრისით, მით უფრო მეტია ამ ხალხთა ეროვნულ ენებში ლექსიკური პლასტები, რომლებიც განეკუთვნებიან ნაციონალურ სპეციფიური რეალიების აღმნიშვნელ კატეგორიებს. სწორედ ასეთი ლექსიკა ხდება შესწავლის ობიექტი „ლინგვოქვეყანათმცოდნეობის“ შესაბამის ნაწილში, რამდენადაც მისი სემანტიზაციაგულისხმობს კულტურულ–ისტორიულ კონტექსტში აუცილებელ ჩაღრმავებას და გარემოს შეცნობას (ბუნებრივ და მატერიალურ).

უექვივალენტო ლექსიკა უნდა გამოირჩეოდეს ლექსიკისაგან, რომელსაც გააჩნია უცხო ენოვანი შესაბამისობა კონცეპტის დონეზე, მაგრამ განსხვავებული პროტოტიპების დონეზე. პროტოტიპი გარკვეული ინვარიანტული სისტემური ობიექტის რეპრეზენტაციული (კანონიკური, ეტალონური) ვარიანტია, რომელიც ხასიათდება გარკვეული სპეციფიურობით (მოცემული ობიექტის ნიშან–თვისებიდან გამომდინარე), ასევე წარმოებულ ვარიანტებზე ზეგავლენის შესაძლებლობით და (უმეტეს შემთხვევაში) ფუნქციონირების მაღალი ხარისხის რეგულირებით (Бондарко 2003:19).

კონცეპტუალური უნივერსალებს, რომლებიც განეკუთვნებიან ზოგადსაკაცობრიო ფონურ ცოდნას, შეიძლება გააჩნდეთ სხვადასხვა ტიპის პროტოტიპი, ანუ ყოველ ენაში (მაშასადამე კოლექტიურ ენობრივ შეგნებაში) უნივერსალური კონცეპტის შესაბამისად მოყვანილია ამ კონცეპტის საკუთარი ეროვნულ-სპეციფიური სახე, რაზეც შეიძლება წარმოდგენაც კი არ ჰქონდეთ სხვა ენის მატარებლებს.

ადამიანი, რომელიც ცხოვრობს გარკვეულ მატერიალურ გარემოში, ხშირად ივიწყებს, ან შეიძლება არ იცოდეს, რომ „...პეიზაჟი ყველგან სხვადასხვანაირია. ყველა ადამიანი როდი იცნობს ზღვას ან თოვლს, მიწა ყველგან როდია ყავისფერი (ზოგიერთ ადგილებში ის შეიძლება იყოს წითელი, ყვითელი ან შავი), და ბალახის სიმწვანეც კი დამოკიდებულია მასში არსებულ წყალზე და მზის სხივებზე (მაგალითად, ავსტრალიაში, ბალახით დაფარული ადგილები უფრო ყვითელი ან ყავისფერია, ვიდრე მწვანე)“ (Вежницкая 1996:233–234). მაგალითად, დედამიწის პროტოტიპულ სახეს რუსულ ენაში განსაზღვრავს მასში ნესტისა და წყლის არსებობა. ეს თავის მხრივ იწვევს ისეთი ლოგოეპისტემების წარმოქმნას, როგორცაა мать - сыра земля, лежать в сырой земле და ა შ., რაც როგორც ჩანს დამახასიათებელი არ არის პროტოტიპული მიწისთვის იმ ხალხის ენებში, რომლებიც დასახლებულნი არიან აფრიკის რაიონების გვაღვიან მიწებზე. ნაციონალურ-სპეციფიური პროტოტიპების ცოდნა, რაც საერთოა უმეტესი კონცეპტების ენებისთვის, ნებისმიერი სოციუმის კოგნიტური ბაზის შემადგენელი ნაწილია, რომლებიც გაერთიანებულია საერთო ენობრივი ცნობიერებით.

რუსული ენის მთელი რიგი სიტყვებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია შესაბამისობის პოვნა სხვა ენებში. ისეთ სიტყვა-ლოგოეპისტემებს, როგორცაა воля, удаль, простор, ширь, раздолье, тоска და სხვა, ორენოვანი ლექსიკონები განმარტავენ მხოლოდ მათ მნიშვნელობას, რომლებიც სინამდვილეში მოჩვენებითია. ნ. გ. კომლიოვის აზრით ენობრივ ურთიერთობაში არასაკმარისია გაიგო ნათქვამი სიტყვა, უნდა გაიგო რა იგულისხმებოდა ამ სიტყვის მიღმა (Комлев, 1992:5). ნ. გ. კომლიოვიც წერდა, რომ ამდაგვარი სიტყვებისა და ენობრივი გამოხატულების მნიშვნელობის შევსება შესაძლებელია იმ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებით, რომელიც საუბრობს მოცემულ ენაზე და ამ მოვლენას უწოდა „გათანაბრების პროცესი“ (Комлев, 1992:46).

გავრცელებული შეხედულების თანახმად, ფრაზეოლოგიზმი არის მასობრივად კვლავწარმოებადი სიტყვათა შეთანხმება, რომლის საერთო მნიშვნელობა არ გამოიყვანება კუმულატიური გზით მასში შემავალი ყოველი სიტყვის დამოუკიდებელი მნიშვნელობიდან. მაგ., Петр работает плохо ფრაზის არსი გამომდინარეობს სიტყვების работать და плохо-ს ცალკეული შინაარსიდან. თუ კი ჩვენს წინაშეა ფრაზა Петр работает спустя рукава ამ შემთხვევაში შინაარსი “ცუდად” არ გამომდინარეობს მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობიდან. სინქრონული თვალსაზრისით შეუძლებელია წინასწარ იმის გამოცნობა, თუ რა სემანტიკური დასკვნა გამოვა ფრაზეოლოგიური სიტყვათა შეთანხმებიდან. მაგ., отложить в долгий ящик “რაიმე საქმის გაჭიანურება”; очертя голову “დაუფიქრებლად”; бить баклуши “უსაქმურობა” და სხვა. ფრაზეოლოგიური შეთანხმების თვისებას წარმოშვას მთელი გამონათქვამის თავისებური და არამოტივირებული დასკვნითი არსი - ეწოდება იდიომატურობა.

ფრაზეოლოგიური შეთანხმების მეორე თვისებაა – სიტყვათა შეთანხმების კვლავწარმოება. ზოგიერთ სიტყვათა შეთანხმებას მოსაუბრე თვითონ ქმნის საუბრის დროს. მაგ., ძალიან ჭკვიან ადამიანზე შიიძლება ითქვას: чрезвычайно умен, весьма разумен, великолепно мыслит, умная голова და ა.შ. მაგრამ ფრაზეოლოგიზმი семи пядей во лбу “ძალიან ჭკვიანი” არ არის შექმნილი მეტყველების დროს დამოუკიდებელ სიტყვათა კომბინირების გზით, არამედ ამოღებულია მეხსიერებიდან.

როგორც ცნობილია, კვლავწარმოება არის ენობრივი (და არა სამეტყველო) ერთეულების თვისება. ენის დაუფლების დროს ადამიანი ითვისებს ენის ერთეულებს როგორც რაიმე მთლიანს, ხოლო მეტყველების დროს ასევე იღებს მათ მეხსიერებიდან. კვლავწარმოების თვისებით ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთიანდება ენის სხვა ნომინატიურ ერთეულებთან – სიტყვებსა და ენობრივ აფორიზმებთან.

ახლა განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმების განსხვავება სიტყვებისა და ენობრივი აფორიზმებისგან. ენობრივ აფორიზმებს (ანდაზებს, ფრთოსან გამონათქვამებს) აქვთ ფრაზის სინტაქსური ფორმა: Заварил кашу – сам и расхлебывай (ანდაზა) ფრაზიოლოგიზმებს აქვთ სიტყვათა შეთანხმების სინტაქსური ფორმა: заварить кашу “რაიმე ძნელი საქმის წამოწყება” расхлебывать кашу “რაიმე ძნელი საქმის გამოკვლევა”. რაც შეეხება სიტყვებს (უფრო სწორად, სიტყვა-ფორმებს), მათ არ გააჩნია სინტაქსური ფორმა, ანუ

დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულებად დანაწევრების უნარი; სიტყვებს გააჩნია მხოლოდ მორფოლოგიური ფორმა. სიტყვებისგან განსხავებით ფრაზეოლოგიზმები სინტაქსურად დანაწევრებადია.

ზემოთმოყვანილი ორთავე ფრაზეოლოგიზმი და კიდევ ერთი (крутая каша “დახლართული საქმე”) ორაზროვნად გამოყენებულია ა. ტოლსტოის ბალადაში:

- Государь, ты наш батюшка,
Государь Петр Алексеевич,
Что изволишь в котле варить?
- Кашицу, матушка, кашицу,
Кашицу, сударыня, кашицу!
- Государь, ты наш батюшка,
Государь Петр Алексеевич,
А ведь каша-то выйдет крутенька?
- Крутенька, матушка, крутенька,
Крутенька, сударыня, крутенька!
- Государь, ты наш батюшка,
Государь Петр Алексеевич,
А кто ж будет её расхлёбывать?
- Детушки, матушка, детушки,
Детушки, сударыня, детушки!

ახლა გადავიდეთ ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობის ხარისხზე. ფრაზეოლოგიზმის სინტაქსური დანაწევრებადობა ხელს არ უშლის მას შეასრულოს ფრაზის შემადგენლობაში ცალკეული სიტყვა-ფორმების ფრაზის როლის ანალოგიური ფუნქციები. ფრაზეოლოგიზმები შეიძლება იყოს წინადადების ჩვეულებრივი წევრი. მაგ., მოქმედების გარემოება შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი სიტყვით (*Работа идет успешно*), ასევე ფრაზეოლოგიური სიტყვათა შეთანხმებით (*Работа идет без сучка без задоринки - without a hitch*). რაც შეეხება ფრაზეოლოგიზმების არა სინტაქსური, არამედ საკუთარი სემანტიკის, ის პრაქტიკულად ემთხვევა სიტყვების სემანტიკას და უპირისპირდება ენობრივი აფორიზმების სემანტიკას. (Степанова 2005).

ფრაზეოლოგიზმს, ისევე როგორც სიტყვას, გააჩნია ნომინატიური მნიშვნელობა, ანუ უშუალო მიმართულება საგნებზე, მოვლენებზე, მოქმედებებზე. სიტყვის მაკლასიფიცირებელი და, შესაბამისად, ნომინატიური

არსი პრაქტიკულად უდრის ფრაზიოლოგიზმის არსს, თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც წესი, სტილისტურად და ემოციურად უფრო ექსპრესიულია. სწორედ ამიტომაც შესაძლებელია სინონიმური შეცვლა მაგ., Бить баклуши = бездельничать, бразды правления = власть, скалить зубы = насмехаться, как курица лапой = неразборчиво და ა.შ. თუ კი ერთსიტყვიანი ანალოგი არ მოიძებნა, ფრაზეოლოგიზმი მაინც ერთ საგანს ან ერთ ცალკეულ მოვლენს ნიშნავს, და მისთვის დამახასიათებელი ნომინაცია ემთხვევა ლექსიკურს. მაგ., оказаться у разбитого корыта ნიშნავს “ყველაფრის დაკარგვას, რაც გაგაჩნდა”, თანაც უნდა განიმარტოს, ასე ითქმება, როდესაც მატერიალური ან სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და ამას არაფერი მოასწავებდა. ასეთი მრავალსიტყვიანი განმარტება, როგორც მკაფიოდ ჩანს, მიეკუთვნება არა ფაქტებისა და მოვლენების ერთობლიობას, არამედ ერთ კონკრეტულ მოვლენას.

ამაში მდგომარეობს ფრაზეოლოგიზმების ნომინატიური სემანტიკის განსხვავება ენობრივი აფორიზმების სემანტიკისგან: თუ კი პირველი ასახავს ცალკეულ საგნებს და მოვლენებს, მეორე – საგნებსა და მოვლენებს შორის ურთიერთობას, ანუ კომპლექსურ სიტუაციებს, ასე რომ აფორიზმები როგორც წესი, არის მთელი ნარატივების ექვივალენტი.

აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმი არის დამოუკიდებელი (არც სიტყვების, და არც ენობრივი აფორიზმების მსგავსი) ენობრივი (მასობრივად კვლავწარმოებადი) ერთეული, რომელსაც გააჩნია სინტაქსურად დანაწევრებადი ფორმა (= სიტყვათა შეთანხმებებს) და რომელიც ასრულებს ფრაზაში ერთიან სინტაქსურ ფუნქციას (= წინადადების წევრის); ფრაზეოლოგიზმის ნომინატიურობა ატარებს ლექსიკურ ხასიათს, თანაც საუბარია იდიომატურ სემანტიკაზე. შემოთავაზებული განსაზღვრა ოპერაციულია და იმისათვის, რომ განვასხვავოთ ფრაზეოლოგიზმები თავისუფალ სიტყვათა შეთანხმებებისა და აფორიზმებისგან, უნდა შევასრულოთ დესკრიპციაში შესული ყველა ოპერაცია. (Степанова 2005).

ფრაზეოლოგიზმის იდიომატურობა იწვევს მისი მნიშვნელობის მთლიანობას, განუყოფელობას. ასე, работать засучив рукава ნიშნავს “გულმოდგინედ მუშაობას”, მაგრამ რა კავშირი აქვს მკლავებს გულმოდგინე მუშაობასთან? იდიომატური შინაარსი იქმნება გამოთქმის სიტყვებს გარეთ და შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მათ. ასე, ერთ საგაზეთო სტატიაში ეწერა: Лесорубы вкалывали засучив рукава; ტექსტის ავტორს აზრადაც არ

მოსვლია, რომ ის საუბრობდა ყინვის პირობებში თბილ ქურთუკებში მომუშავე ხალხზე. იგივე სიტყვათა შეთანხმება *засучив рукава* შეიძლება არც იყოს ფრაზეოლოგიზმი, იმის გაგება პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება: *Засучив рукава, Аксинья протирала окна, мыла полы.*

სიტყვათა შეთანხმების პირდაპირი მნიშვნელობა ყოველთვის წინ უსწრებს მისი იდიომატური მნიშვნელობის ჩამოყალიბებას. ასე, რუსეთში იყო მიღებული სამოსი, რომლის მკლავები მუხლებამდე წვდებოდა; უბრალო საქმის გაკეთებაც კი შეუძლებელი იყო მკლავების დაუკაპიწებლად. ამიტომაც, საქმის წინ მკლავებს იკაპიწებდნენ. დიდი ხანია ასეთი სამოსი აღარ არსებობს, მაგრამ გამონათქვამი *засучив рукава* ენისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობის გადატანის გზით კონკრეტული სიტუაციიდან მსგავს მოვლენებზე – გახდა იდიომატური. ფრაზეოლოგიზმი იქმნება მაშინ, როდესაც სიტყვათა შეთანხმება კარგავს თავის პირდაპირ მნიშვნელობას.

ასე არსებობს სიტყვათა შეთანხმების ჯგუფი, რომელიც ჩვენს დროში შეიძლება გავიგოთ როგორც პირდაპირი, ისე იდიომატური მნიშვნელობით: *мерить на свой аршин, белены объелся, печь как блины, вставить на вахту, считать ворон, закручивать гайки, становиться на дыбы* და ა.შ. ასეთია ზოგიერთი ფრაზეოლოგიური სიტყვათა შეთანხმებების სინქრონული (თანამედროვე, აქტუალური) ორსახეობა.

მაგრამ, ფრაზეოლოგიზმების უფრო დიდ ჯგუფს ახასიათებს სემანტიკის ორსახეობა მხოლოდ დიაქრონული თვალსაზრისით (ანუ, ისტორიულ-დროებით პერსპექტივაში). ეს იმას ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიზმის საფუძველში ჩადებულ სიტყვათა შეთანხმების პირდაპირ მნიშვნელობას ენის რიგითი მატარებელი (პროფესიით არა ლინგვისტი) უკვე არ აღიქვამს და იყენებს მხოლოდ იდიომატური მნიშვნელობით.

ეს ხდება ორი მიზეზით. ზოგჯერ მოხმარებიდან იღება ფრაზეოლოგიზმში შემავალი სიტყვები (ან მათი ფორმები): *еле можаху, как зеницу ока, как лунь седой, типун тебе на язык, турысы на колесах, паче чаяния* და ა.შ. უფრო ხშირად კი მივიწყებულია თვითონ მოვლენა (წეს-ჩვეულება, ხელობა, ყოფა), რომელიც საფუძველად უდევს ოდესღაც თავისუფალ სიტყვათა შეთანხმებას. მაგ., დღეისათვის მივიწყებულია მუხუდოს მარცვლებზე მკითხაობის წესი *остаться на дыбах*, ხოლო გამონათქვამი ცოცხლობს და აქტიურად იხმარება. აქედან გამომდინარე, ანალიზში უნდა

განვიხილოთ თვითონ ფრაზეოლოგიზმი და მისი გენეტიკური პროტოტიპი – თავისუფალი სიტყვათა შეთანხმება პირდაპირი მნიშვნელობით. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიზმის, როგორც ეროვნულ-კულტურული ინფორმაციის შემნახველის და წყაროს, განსახილველად.

თუ კი ფრაზეოლოგიზმის პროტოტიპი ჯერ კიდევ აღიქმება სინქრონული თვალსაზრისით, მისი სემანტიკა არსებობს მოსაუბრეს აქტუალურ მესხიერებაში იდიომატურ შინაარსთან ერთად. ფრაზეოლოგიზმის სემანტიკა, ისევე როგორც სიტყვა, არ შეიცავს მხოლოდ ცნებით ნაწილს, არამედ შეიცავს ასევე ნაწილობრივ არაცნებით ნაშთსაც.

ფრაზეოლოგიზმის სემანტიკის ნაწილში შედის ასევე მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობა, რაც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, იწვევს ყოველგვარი ფონური მნიშვნელობების კომპლექსებს. მაგ., ფრაზეოლოგიზმი на большом палец ნიშნავს “ძალიან კარგად, მაგრად” ან “ბრწყინვალე, საუკეთესო”. ერთდროულად ყველას ახსოვს უესტი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ იდიომას (ცერა თითის ზემოთ აწევა და დანარჩენის მუშტად შეკვრა); შესაბამისად იგრძნობა ფრაზეოლოგიზმის პროტოტიპის სემანტიკა. გარდა ამისა, ორთავე სიტყვა (большой, палец) ინარჩუნებს თავის სემანტიკას, როგორც ცნებით, ისევე ფონურს. თუ კი რომელიმე სიტყვამ უკვე დაკარგა თავისი ლექსიკური მნიშვნელობა, სხვა სიტყვები ან სიტყვათა შეთანხმებები ენის მატარებლებისთვის გასაგები რჩება, ანუ ინარჩუნებს სინამდვილესადმი შეფარდებას.

აქედან გამომდინარე, თუ კი მხედველობაში გვაქვს “სრული შემთხვევა” (როდესაც პროტოტიპიც ცოცხალია და შეთანხმებულია სიტყვების მნიშვნელობები), მაშინ ფრაზეოლოგიზმში იდიომატურ მნიშვნელობასთან ერთად არის ფართო სემანტიკური სფეროც. იდიომატური მნიშვნელობა უზრუნველყოფს ნომინაციას. ასე რომ, ის არაფრით განსხვავდება ლექსიკური ცნებისგან და წარმოადგენს კაცობრიობის მაკლასიფიცირებელი მონაცემების განსახიერებას. აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმს ახასიათებს ლექსიკური ცნება, რომელიც აერთიანებს ამ ენობრივ ერთეულს სიტყვასთან.

მაგრამ ფრაზეოლოგიზმისთვის ასევე დამახასიათებელია ლექსიკური ფონის ანალოგი. სინამდვილეში: мамаево подище ეს არა მარტო სახლში არსებული არეულობის ამსახველია, არამედ რუსეთის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის შესახებ შეხსენებაცაა; путевка в жизнь არა მხოლოდ

“დარიგება, დახმარების გაწევა საქმის წამოწყებაში”, არამედ ამ სათაურის მქონე საბჭოთა ფილმზე მითითებაცაა (რომელიც დღეს აღარ ახსოვთ) და ა.შ.

მაგრამ, თუ კი ფრაზეოლოგიზმის იდიომატური მნიშვნელობა შეიძლება გაუთანაბროთ ლექსიკურ ცნებას, მის არაცნებით ინფარმაციის (მისი თავისებური ბუნების გამო – პროტოტიპთან კავშირი, წევრ სიტყვებთან კავშირი) დაკავშირება შეუძლებელია ლექსიკურ ფონთან, ის მხოლოდ მისი ანალოგიურია. ამიტომაც ფრაზეოლოგიური ფონი ეწოდება ფრაზეოლოგიზმისთვის დამახასიათებელ ყველა არაცნებით ნაწილს. ფრაზეოლოგიზმის ფონური წილები, ამ განსაზღვრების თანახმად, ადვილად გამოირჩევა ნომინატიურისგან (ანუ, იგივე ცნებითისგან): ისინი არ შედის ფრაზეოლოგიზმის იდიომატურ მნიშვნელობაში, არამედ პირიქით, ყოველთვის მოთავსებულია ასეთი მნიშვნელობის გარეთ.

დასასრულს უნდა ავლნიშნოთ სიტყვისა და ფრაზეოლოგიზმის იზომორფიზმი. იზომორფიზმი ლინგვისტიკაში ეწოდება სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების ერთნაირი წყობის აღიარებას. ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით, სიტყვა და ფრაზეოლოგიზმი ერთმანეთის იზომორფულია, ვინაიდან მათი მნიშვნელი დანაწევრებადია და იყოფა მაკლასიფიცირებელ და ნომინატიურ ნაწილად (ცნება) და კუმულატიურ ნაწილად (ფონი). (Степанова 2005).

ფრაზეოლოგიზმების ეროვნულ-კულტურული ფასეულობა ყალიბდება სამი შემადგენლისგან:

ჯერ ერთი, ისინი ასახავს ეროვნულ კულტურას დანაწევრების გარეშე, კომპლექსურად, მთელი თავისი ელემენტებით, ერთიანად, ანუ თავისი იდიომატური მნიშვნელობებით. ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი ასახელებს ასევე ქვეყნის წარსულიდან და აწმყოდან აღებულ მოვლენებს, რომლებსაც სხვა ქვეყნების ეროვნულ კულტურაში ანალოგი არ მოეპოვება. შეადარეთ: похвальная грамота, бить в набат, казанская сирота, сбрасывать со счетов და ა.შ.

მეორეც, რუსული ფრაზეოლოგიზმები ასახავს ეროვნულ კულტურას დანაწევრებულად, თავისი შემადგენლობის ნაწილებით. ზოგიერთი ამ სიტყვათაგანი უქვევალენტოა. მაგ., სიტყვა ферт ფრაზეოლოგიზმში ходить фертом “დონინჯის შემოყრა, ანუ გამომწვევი სიარული, საკუთარ თავში დარწმუნების გამოხატვა” (ферт ძველად ეწოდებოდა ასო-ბგერა ф, რომელიც ჰგავს დონინჯ შემოყრილ ადამიანს). ასევე შემდეგი მაგალითები, как аршин

проглотил, коломенская верста, тертый калач, развесистая клюква, лыка не вяжет, семи пядей во лбу, лезть на рожон, косая сажень в плечах, на ять да а.შ.

და ბოლოს, მესამე, ფრაზეოლოგიზმები ასახავს რუსულ ეროვნულ კულტურას თავისი პროტოტიპებით, ვინაიდან გენეტიკურად თავისუფალი სიტყვათა შეთანხმებები აღწერდნენ გარკვეულ წესებს, ტრადიციებს, კულტურისა და ყოფის წვრილმანებს, ისტორიულ მოვლენებს და სხვა. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმების პროტოტიპებმა შეიძლება მოგვითხრონ რუსული განათლებულობის ტრადიციების შესახებ: начать с азов, не знать ни аза, от корки до корки, от доски до доски, с красной строки, приложить руку, поставить точку. ფრაზეოლოგიზმების პროტოტიპები მოგვითხრობენ ასევე საბავშვო თამაშების შესახებ: играть в прятки /кошки-мышки, нашего полку прибыло), ფულადი სისტემის შესახებ, (за длинным рублем, ни гроша, гроша ломанного не стоит), ხელობის შესახებ (вить веревки, бить баклуши), ტრადიციული მკურნალობის შესახებ (заговаривать зубы, выжигать каленым железом, до свадьбы заживет), თევზაობისა და ნადირობის შესახებ (забрасывать/сматывать удочки, вывести на чистую воду, ловить рыбу в мутной воде, замечать следы, гоняться за двумя зайцами), ტიპური რუსული ფლორის შესახებ (елки-палки, через пень-колоду, смотреть в лес, кто в лес кто по дрова, наломать дров), ფაუნის შესახებ (как с гуся вода, куры не клюют, брать быка за рога, ни бе ни ме, как баран на новые ворота, медведь на ухо наступил, как корове седло, глухая тетеря). შეიძლება გამოვეყოთ ფრაზეოლოგიზმები, რომელთა პროტოტიპები ასახავს ადამიანის გარეგნობას, მის ტანისამოსსა და ფეხსაცმელს (посмеиваться в бороду, спустя/засучив рукава, заткнуть за пояс, дать по шапке, два сапога пара).

გლეხის ცხოვრება, წარმოების იარაღები, მისი შინაური და შრომითი ვალდებულებები, მწუხარება და სიხარული ჩადებულია მრავალი ფრაზეოლოგიზმის პროტოტიპებში: огород городить, вожжа под хвост попала, бросать камешки в (чей-то) огород, пятое колесо в телеге, выбиваться из колеи, как обухом по голове, вбивать клин, дым коромыслом, хоть кол на голове теши, вилами на воде писано, выносить сор из избы. ზოგიერთი, თითქოს და კერძო ყოფის წვრილმანები, განსაკუთრებით აქტიურია ფრაზეოლოგიზმებში: ლაფნის წარმოება (не лыком шит, не всякое лыко в строку, лыка не вяжет, ободрать как липку), რუსული აბანოს “კულტი” (пристал как банный лист, задать жару),

ზარების რეკვის წეს-ჩვეულება (звонить во все колокола, бить в набат, во все тяжкая, смотреть со своей колокольни), ახალგაზრდების გასართობები, მუშტი-კრივი (стенка на стенку, брать чью-либо сторону, класть на лопатки, выбивать почву из под ног), გლეხის ეზოს მოწეობა (ни кола ни двора, не ко двору), ბავშვების დასჯის სისტემა (отведать березовой каши, всыпать горячих), თერძობა (на один покрой, на одну мерку), დალაქობა (стричь всех под одну гребенку).

ფრაზეოლოგიზმების პროტოტიპები შეიცავს რუსულ საკუთარ სახელებს: (по Сеньке и шапка, куда Макар телят не гонял, Показать Кузькину мать, как Сидорову козу), ფერის სიმბოლიკას (красный петух, черный день, белый флаг), ზნეობრივ შეხედულებებს (чувство локтя, плечом к плечу, дать честное слово, держать камень за пазухой), ისტორიული განვითარების სპეციფიკას (вольный казак, как Мамай прошел, казанская сирота, во всю Ивановскую).

ფრაზეოლოგიზმებად იქცა რუსული ფოლკლორის ყველასათვის ცნობილი კლიშირებული გამონათქვამები (ზღაპრებიდან, სიმღერებიდან): на все четыре стороны, скоро сказка сказывается, любо-дорого смотреть, подобру-поздорову, ни жив ни мертв, за тридевять земель, откуда не возьмись, провалиться сквозь землю, по щучьему велению.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიზმები მჭიდროდ არის დაკავშირებული ანდაზებთან: ანდაზა, ჩვეულებრივ, შეიძლება გაიყოს ორ ფრაზეოლოგიზმად, მაგრამ უფრო ხშირ შემთხვევაში ის იკვეცება (Не в свои сани не садись: садиться не в свои сани; За двумя зайцами погонишься – ни одного не поймаешь: гоняться за двумя зайцами; Близок локоть, да не укусишь: кусать себе локти).

ფოლკლორულ ფრაზეოლოგიზმთა ჯგუფი საინტერესოა არა მხოლოდ ეროვნულ-კულტურული, არამედ ესთეტიკური თვალსაზრისითაც. აქვე შედის ფრაზეოლოგიზმები, რომელთა პროტოტიპებიც მხატვრული ლიტერატურიდან მოდის: остаться/оказаться у разбитого корыта (Пушкин), есть ещё порох в пороховницах (Гоголь), рыльце в пушку, зелен виноград (Крылов), человек в футляре (Чехов).

რამოდენიმე შენიშვნა უახლესი დროის ფრაზეოლოგიზმების მიმართ: ინდივიდუალური სიტყვათა მოხმარებიდან მასობრივ მოხმარებაზე გადასვლას, ანუ სამეტყველო ფაქტის ენობრივ ერთეულად გარდაქმნას ხანგრძლივი დრო სჭირდება, ამიტომაც ახალი ფრაზეოლოგიზმი საკმაოდ ცოტაა. ასე, ოქტომბრის სოციალურ-პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ

და საბჭოთა პერიოდის განმავლობაში შეიქმნა ფრაზეოლოგიზმები: равняться на передовиков, выйти на финишную прямую, получать добро, ставить вопрос ребром, отметить галочкой, подвести черту, наклеивать ярлыки და ა.შ. ფრაზეოლოგიის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროა თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა: заложить фундамент, спустить на тормозах, на холостом ходу, испытывать на прочность, жить в вакууме, вызвать резонанс, выбрать оптимальный режим და ა.შ. განსაკუთრებით აქტიურია “კოსმოსური” და “ასტრონომიური” ფრაზეოლოგია: дышать одной атмосферой, накалять атмосферу, быть на орбите, выйти/запустить на орбиту და ა.შ.

ასე რომ, საკმაოდ ვრცელი მასალა გვარწმუნებს, რომ ფრაზეოლოგიზმების მთელი რიგი თავის სემანტიკაში შეიცავს ეროვნულ-კულტურულ კომპონენტს – ან სინქრონულად, თანამედროვე ენობრივი შემეცნების პოზიციიდან, ან დიაქრონულად, ანუ პროტოტიპული სიტყვათა შეთანხმების ეროვნულ კულტურასთან კავშირის შედეგად. (Степанова 2005).

თანამედროვე ლინგვისტიკაში დასახულია კვლევის ორი მიმართულება. პირველი მიმართულება გულისხმობს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც შედგება სიტყვებისაგან, ანუ თავისი ბუნებიდან გამომდინარე შესიტყვებაა, ამასთანავე ზოგიერთი მეცნიერის აზრით ფრაზეოლოგიის ობიექტს წარმოადგენს მოცემულ ენაში ყველა რეალურად არსებული კონკრეტული შესიტყვება, მიუხედავად მათი ხარისხობრივი გასნსხვაებისა. კოპილენკოს აზრით: „ფრაზეოლოგია მოიცავს ენაში არსებულ ყველა შესიტყვებას, მათ შორის ე.წ. „თავისუფალ“ შესიტყვებებს“ (Копыленко 1972:81). მეორის მხრივ, ფრაზეოლოგიის ობიექტს მიაკუთვნებენ მხოლოდ ზოგიერთი შესიტყვებების ჯგუფებს, რომლებიც გამოირჩევიან მეტყველებაში თავიანთი განსაკუთრებულობით. ასეთი შესიტყვებების დახარისხება ხდება ენაში მათი ნიშან-თვისებების მიხედვით. მაგრამ ეს „განსაკუთრებული“ შესიტყვებები არ შეიძლება ჩაითვალოს ფრაზეოლოგიზმებად. მიუხედავად აზრების წინააღმდეგობისა და მრავალფეროვნებისა, ფრაზეოლოგიზმად შეიძლება ჩაითვალოს:

1. როგორც ენის ფრაზეოლოგია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, რომლის შემადგენლობაშიც შედის შესიტყვებები, რომლებიც წარმოადგენენ გააზრებულ ფორმებს და ასევე შესიტყვებები, რომლებშიც გააზრებული არაა სიტყვა-კომპონენტები. მისი

ფართოდ გამოყენების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ვ. ლ. არხანგელსკის, ო. ს. ახმანოვასა და ნ. მ. შანსკის მოსაზრებები.

2. როგორც რუსული ენის ფრაზეოლოგია, ამ სიტყვის „ვიწრო“ გაგებით, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მხოლოდ ის შესიტყვებები, რომლებიც სრულადაა გააზრებული. ნაშრომების რიცხვს, სადაც ასახულია რუსული ენის ფრაზეოლოგია, მიეკუთვნება ვ. პ. ჟუკოვის სტატიები. მისი რეკომენდაციის მიხედვით, ფრაზეოლოგიის განხილვა უნდა ხდებოდეს სიტყვისა და შესიტყვების თვისებების კონტამინაციით, მისი ომონიმების გათვალისწინებით და შესიტყვების სტრუქტურასთან შესაბამისობით.

ფრაზეოლოგიის მეორე მიმართულება გამომდინარეობს იქიდან, რომ ფრაზეოლოგიზმი – ეს არის შესიტყვებები (არც ფორმით და არც შინაარსით), ეს არის ენის ერთეული, რომელიც არ შედგება სიტყვებისაგან. ფრაზეოლოგიის ობიექტს წარმოადგენს გამონათქვამები, რომლებიც შესიტყვების მხოლოდ გემნეტიკური არსია. „მათი განლაგება შესაძლებელია მხოლოდ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ანუ თანამედროვე ენის სისტემების გარეშე, ისტორიულ კონტექსტში“ (Ларин 1956:202). ეს გამონათქვამები უპირისპირდებიან შესიტყვებებს არა ომონიმურობით, რადგან ხარისხობრივად განსხვავდებიან მათგან. ფრაზეოლოგიის შესწავლაში ძირითადს წრმოადგენს არა კომპონენტების ან მათი წარმოქმნის აზრობრივი და ფორმალური დახასიათება, არამედ თვითონ ფრაზეოლოგიზმი მთლიანობაში, როგორც ენის ერთეული, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული ფორმა, შინაარსი და სამეტყველო თავისებურებები. ფრაზეოლოგიის შემადგენლობა წარმოიქმნება კატეგორიულად ერთტიპიანი ერთეულებისგან. ყოველი ფრაზეოლოგიზმის ისტორია და ეტიმოლოგია შეისწავლება არა პირდაპირი დამოკიდებულებით რომელიმე „უნივერსალური“ შესიტყვების გააზრების სქემასთან, არამედ დამოკიდებულია კომპონენტების სემანტიკური შეთავსების ხარისხზე და ასევე შესიტყვებებში სიტყვების დესემნტიზაციის ხარისხზეც.

მაშ ასე, „ფრაზეოლოგიზმი – ეს არის სიტყვების მყარი შესიტყვება რთული სემანტიკით, რომლებიც არ არიან წარმოებულნი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების ცვალებადი შესიტყვებების მიერ“ (Кунин 1985:5) ანუ, ფრაზეოლოგია წარმოადგენს მყარ გამონათქვამებს ან

სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიც ენაში მზა სახით შედიან და შეუძლებელია მათი გამოყენება დამოუკიდებელი მნიშვნელობით.

მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იგულისხმება საზომი, სემანტიკური შერწყმის ხარისხი და კომპონენტთა დაუშლელიობა. უუკოვის აზრით, მათი სიმყარე სემანტიკური თვალსაზრისით დაკავშირებულია იდიომატურობასთან, ანუ ფრაზეოლოგიზმების შინაარსობრივ ერთობლიობასთან. სიმყარე – ეს არის ხარისხი, ფრაზეოლოგიზმებში კომპონენტთა სემანტიკური დაუშლელიობის საზომი. ის წარმოადგენს იდიომატური ფორმის გამოვლინებას კონკრეტულ ფრაზეოლოგიზმთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიმყარე – ეს არის იდიომატურობის საზომი (Жуков 1978).

ს. გ. გავრინს ფრაზეოლოგიაში ანდაზების ჩართვის მოტივაციად მოჰყავს ანდაზებში იმ ხუთი თვისების არსებობა, რომელიც გააჩნია სიტყვათა შეთანხმების სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიზმებს: 1) მეტყველებაში ასახვადობა, 2) სემანტიკური მთლიანობა, 3) საზოგადო გამოყენება, 4) კომპონენტური შემადგენლობის უცვლელიობა, 5) გრამატიკული ფორმის უცვლელიობა (Гаврин 1963).

ფრაზეოლოგიური ერთეულების პრობლემებზე უამრავი ნაშრომია შექმნილი. ფრაზეოლოგიის თეორიის ფუძემდებლად ითვლება შვეიცარიელი ლინგვისტი შარლ ბალი, რომელმაც პირველმა განსაზღვრა ფრაზეოლოგია როგორც ლექსიკოლოგიისგან დამოუკიდებელი ნაწილი. მოცემული იყო ფრაზეოლოგიური ერთეულების მთელი რიგი კლასიფიკაცია. იმის მიხედვით თუ რამდენად იშლება კომპონენტების ნომინაციური მნიშვნელობა, რამდენად შეიგრძნობა მათში გადატანითი მნიშვნელობა, ვ. ვ. ვინოგრადოვი ყოფს მათ სამ ტიპად: ფრაზეოლოგიური შერწყმა, ფრაზეოლოგიური მთლიანობა და ფრაზეოლოგიური შესიტყვება (Виноградов 1947). კუნინი გამოყოფს იდიომატიზმებს, ფრაზეოლოგიზმებს და იდიოფრაზეომატიზმებს (Кунин 1986). ამოსოვა ყოფს ყველა ფრაზეოლოგიურ ერთეულს ფრაზემებად და იდიომებად (Амосова 1963).

ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის თემა საკმაოდ ტრადიციულია ფრაზეოლოგიური კვლევებისათვის. მრავალი წლის განმავლობაში ფრაზეოლოგიურ ნამუშევრებში არსებობდა აზრი იმის შესახებ, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ ნაციონალურ – სპეციფიური ენის ერთეულებს, რომლებიც აკუმულირებენ ხალხის კულტურულ პოტენციალს. ეს თემა შეისწავლებოდა ისეთი მეცნიერების მიერ,

როგორებიცაა ვეუბიცაია, თელია, მასლოვა, დობროვოლსი და ა. შ. (Вежбицкая, 1996; Телия, 1986; Маслова, 2004; Доброволский, 1997).

ვ. ნ. თელია წერს, რომ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობა „სარკეა“, რომელშიც ლინგვოკულტურული ერთობლიობა აიდენტიფიცირებს თავის ნაციონალურ თვითშეგნებას, სწორედ ფრაზეოლოგიზმები თავს ახვევენ ენის მატარებლებს სამყაროს, სიტუაციის განსაკუთრებულ ხედვას.

ვ. ა. მასლოვა აღნიშნავს, რომ კულტურის ჭეშმარიტ შემნახველებს ტექსტები წარმოადგენენ. არა ენა, არამედ ტექსტი აღბუჭდავს ადამიანის სულიერ სამყაროს. სწორედ ტექსტი პირდაპირ არის დაკავშირებული კულტურასთან, რადგან სწორედ ისაა აღიარებული კულტურული კოდების სიმრავლით, სწორედ ტექსტი ინახავს ინფორმაციას ისტორიაზე, ეთნოგრაფიაზე, ნაციონალურ ფსიქოლოგიაზე, ნაციონალურ ქცევებზე, ანუ ყველაფერ იმაზე, რისგანაც საერთოდ შედგება კულტურა. ტექსტი – სპეციფიური ნიშნების კრებულია, რომელიც ავტომატურად აღძრავს მკითხველში – აღზრდილს მოცემული კულტურის ტრადიციებზე, არა მხოლოდ უშუალო, არამედ მრავალ ირიბ ასოციაციას. თვის მხრივ, ტექსტის აგების წესი დამოკიდებულია კულტურის კონტექსტზე, რომელშიც ის წარმოიშობა. ტექსტი წარმოიქმნება დაბალი დონის ენობრივი ერთეულებისაგან, რომლებსაც შესაბამისი შერჩევასა შეუძლიათ კულტურული ნიშნების გაძლიერება. სწორედ ასეთ ერთეულებს წარმოადგენენ ფრაზეოლოგიზმები.

ფრაზეოლოგიის განხილვისას მასლოვამ ჩამოაყალიბა შემდეგი პიპოტეზები:

1. უნდა გამოძედავდეს ის ეროვნულ – კულტურული „კვალი“, რაც ბევრ ფრაზეოლოგიზმში შეიმჩნევა.
2. კულტურული ინფორმაცია ინახება ფრაზეოლოგიური ერთეულების შინაგან ფორმებში, რომელიც წარმოადგენს რა სამყაროზე წარმოდგენას, ფრაზეოლოგიზმს ანიჭებს ეროვნულ – კულტურულ კოლორიტს.
3. ეროვნულ – კულტურული სპეციფიკის გამოვლინებისთვის მთავარია გავხსნათ ეროვნულ – კულტურული კონტაქტია.

ფრაზეოლოგია სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტია. ფრაზეოლოგიური ერთეულები ყოველთვის მიმართულია სუბიექტზე, ე. ი. ისინი წარმოიქმნებიან არა იმდენად იმისთვის, რომ აღწერონ სამყარო,

არამედ მისი ინტერპრეტაციისთვის, რათა შეაფასონ და გამოხატონ მასთან საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულება (Маслова 2004:84).

ნაციონალური სპეციფიკის კვლევისას დ. ო. დობროვოლსკი გამოყოფს ორ მიდგომას. პირველი მიდგომა შედარებითია, რომლის დროსაც ერთი ენის ეროვნულ – კულტურული სპეციფიკა განისაზღვრება მეორე ენასთან შეხებაში. მეორე, ინტროსპექტული მიდგომის დროს ენის ეროვნული სპეციფიკა განიხილება მისი მატარებლების მიერ, ანუ ხდება თვითანალიზი, თვითდაკვირვება.

შედარებითი მიდგომის დროს სპეციფიკურად ითვლება 1 ენის ნებისმიერი ფაქტი, რაც შეეხება 2 ენას, რომლებიც ტრადიციული ხალხური კულტურის თვალსაზრისით ითვლებიან ტრივიალურებად 2 ენის (და შესაბამისი კულტურიდან) პერსპექტივიდან გამომდინარე.

ინტროსპექტული მიდგომა ეყრდნობა „იმანენტურ“ ეროვნულ – კულტურულ მახასიათებლებს, რომლებიც არ განისაზღვრება სხვა ენებისა და კულტურების სპეციფიკით. კვლევის ამოცანა ფორმულირებულია როგორც პასუხი კითხვაზე – რაში მდგომარეობს ენის ეროვნული სპეციფიკა 1 ენის მატარებლების აზრით. მეტნაკლებად ადეკვატურ ხერხს კვლევის პროცესში წარმოადგენს ინფორმაციის გამოკითხვა და სხვადასხვა ტესტები, რომლებიც მიმართულია ენის მატარებლის დამოკიდებულებაზე შესაბამის ლინგვისტურ ფაქტებთან. მაგალითად, ეროვნული სპეციფიკის „იმანენტურობა“ შეიძლება იყოს უცხოელის მიერ გამოხატული უადგილო აზრი ამ გამონათქვამზე. შედარებითი ანალიზის დროს ერთერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია დადგენილი ენათშორისი სხვაობის აღმატება შესაბამისი კულტურების სპეციფიკასთან მაშინ როცა ინტროსპექტული მიდგომა გულისხმობს მიმართვას ენის მატარებლების ინტუიციისკენ, რაც ახასიათებს ზოგიერთ მოვლენას როგორც საკუთარს და მხოლოდ საკუთარს, ანუ ეროვნული მოვლენები, რომლებიც შერჩეულია როგორც სპეციფიურები და გამოყოფილი ინტროსპექტული მიდგომის საფუძველზე, მაგრამ შეიძლება არც გააჩნდეთ მათთან შეხების წერტილი (Добровольский 1996).

ჩვენს კვლევებში ასევე დავეყრდნობით პირველ მიდგომას.

ფრაზეოლოგიზმებში მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია კულტურული კონოტაცია. ფრაზეოლოგიზმების კულტურული კონოტაცია განისაზღვრება კონკრეტული კულტურული ფასეულობებით. ეს არის ის, რაც წარმოადგენს

ცალკეული ერის, კულტურის სპეციფიურობას. კულტურული კონოტაცია წარმოიქმნება როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის ასოციაციური ინტერპრეტაციის შედეგი მის კულტურულ – ნაციონალურ სტერეოტიპებთან დამოკიდებულებაში (Маслова 2001:55), რომლის შედეგადაც ფრაზეოლოგიურ ერთეულს განვიხილავთ როგორც კულტურულ–ნაციონალურ აზრს და ხასიათს, კონსტრუირებულს დროით და დახასიათებული კულტურული ფასეულობების მიხედვით როგორც უარყოფითი და დადებითი და ენაში კონსტრუირებული კონკრეტული კონოტაციით. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი *to toil and moil*, სადაც *toil*-ს ხშირად გააჩნია უარყოფითი კონოტაცია და ასოცირებულია რაღაც მუდმივთან, ნელთან, დროში გახანგრძლივებულთან და აქვს ეკვივალენტი „*დროის წელვა*“. ამგვარად, სწორედ კულტურული კონოტაცია აძლიერებს ფრაზეოლოგიური ერთეულის კულტურულად მნიშვნელოვან მარკირებას და ტექსტსაც კი მთლიანობაში. კულტურული კონოტაციის გადმოცემის საშუალება, ა. ვეუბიცკაიას აზრით, წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც ფრაზეოლოგიზმების ცენტრშია განთავსებული. აყალიბებს რა გარკვეულ ცენტრალურ თვისებებს ზოგიერთი კულტურისათვის და ფუნქციონირებს რა მოცემული სტატუსით ფრაზეოლოგიზმში, მნიშვნელოვან სიტყვებს „შეუძლიათ ჩაგვაწვდინონ კულტურული ფასეულობების კომპლექსის არსს“ (Вежницкая 2001:38). ზემოთქმულის ანალიზის შედეგად, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, იმის შესახებ, რომ ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ კულტურულ–ეროვნული ინფორმაციის მატარებლებს. ფრაზეოლოგიური ერთეულები ინახავენ და გამოხატავენ ხალხის მენტალიტეტს და მათ კულტურას.

რადგან ფრაზეოლოგიზმი დაკავშირებულია სტერეოტიპებთან, სწორედ ფრაზეოლოგიზმი წარმოადგენს ამ სტერეოტიპის გამოხატულების საშუალებას, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ წარმოდგენასთან ან ხატთან, რომელიც გამოხატულია მოცემული ფრაზეოლოგიზმით. კოგნიტურ ლინგვისტიკაში ტერმინი სტერეოტიპი მიეკუთვნება ენისა და კულტურის შინაარსობრივ მხარეს, ანუ გაიგება როგორც მენტალური სტერეოტიპი, რომელიც მიეკუთვნება ენობრივი სამყაროს სურათს. ე. ბარტმინსკის სამყაროს ენობრივი სურათი და ენობრივი სტერეოტიპი განიხილება როგორც „გააზრება, ან რამდენიმე გააზრება, რომელიც გამომდინარეობს ენობრივი სამყაროს ობიექტისგან, კონკრეტული აზრის სუბიექტურად დეტერმინირებული წარმოდგენისგან, რომელშიც არსებობს აღწერითი და

შეფასებითი ნიშნები და რომლებიც წარმოადგენენ სინამდვილის განმარტების შედეგს სოციალურად გამომუშავებული შემეცნებითი მოდელების ფარგლებში“ (Маслова 2001:58). ენობრივი სტერეოტიპი – ეს არა მხოლოდ გააზრებაა, ან რამდენიმე გააზრება, არამედ ნებისმიერი მყარი გამონათქვამი, რომელიც შედგება რამდენიმე სიტყვისაგან, მაგალითად, Indian summer – (наше лето), გვიანი შემოდგომა (ნაგვიანვე ბედნიერება), a whole hour - მთელი საათი. ასეთი სტერეოტიპების გამოყენება აადვილებს ურთიერთობას, რომელიც აძლევს კომუნიკანტებს ეკონომიის საშუალებას. გარდა ამისა, ისინი თავიანთ სემანტიკაში ასახავენ ხალხის კულტურის განვითარების ხანგრძლივ პროცესს, გადმოსცემენ ნაციონალურ ხასიათს, ისტორიულ და კულტურულ კოლორიტს. ლინგვისტური ერთეულების შინაგანი ფორმებიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ბევრი გავიგოთ ყოფაზე, ხალხის მენტალიტეტზე. ანუ, ფრაზეოლოგიური ერთეულები ფორმირდება სტერეოტიპების გზით. მაგრამ შესაძლებელია უკუპროცესიც, როდესაც სტერეოტიპი ფორმირდება ფრაზეოლოგიური ერთეულების სასშუალებით. მაგალითად, ავიღოთ ფრაზეოლოგიზმი „კუზიანს სამარე გაასწორებს“. მოცემული სტრუქტურის აღქმისას ჩვენს გონებაში ფორმირდება სტერეოტიპი რომ ცუდ ადამიანს უკვე ვეღარ გამოასწორებ, ის აღარასდროს გამოსწორდება.

ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფე) თავის სემანტიკაში ასახავს ხალხების კულტურული განვითარების ხანგრძლივ პროცესს, აფიქსირებს და თაობიდან თაობამდე გადააქვს კულტურული სტერეოტიპები, ეტალონები და არქეტიპები. ფ.ი. ბუსლაევის მიხედვით, ფრაზეოლოგიზმი არის თავისებური მიკროსამყარო, რომელიც შეიცავს “მოკლედ გადმოცემულ როგორც ზნეობრივ კანონს, ისევე ჯანსაღ არსს, რომელიც წინაპრებმა მომავალ თაობას უანდერძეს” (Буслаев 1954:37). ეს არის ყოველი ეროვნული ენის სული, რომელშიც განუმეორებლად აისახება ერის სულისკვეთება და თავისებურება.

ფრაზეოლოგიის განხილვისას ჩვენ წამოვაყენეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

1. ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობაში შეიმჩნევა ეროვნული კულტურის “კვალი”, რომელიც გამოვლენილ უნდა იქნას.
2. კულტურული ინფორმაცია დაცულია ფე-ის შინაგან ფორმაში, რომელიც წარმოადგენს ხატოვან წარმოდგენას სამყაროს შესახებ და სძენს ფრაზეოლოგიზმს კულტურულ-ეროვნულ კოლორიტს.

3. კულტურულ-ეროვნული სპეციფიკის გამოვლენისას მთავარია გამოაშკარავდეს კულტურულ-ეროვნული კონოტაცია.

ფრაზიოლოგია არის მსოფლიოს ენობრივი სურათის ფრაგმენტი. ფრაზეოლოგიური ერთეულები ყოველთვის მიმართულია სუბიექტის მიმართ, ანუ წარმოიშვება არა იმისათვის, რომ სამყარო აღწეროს, არამედ იმისათვის, რომ მოახდინოს მისი ინტერპრეტირება, შეფასება და გამოხატოს მისდამი სუბიექტური დამოკიდებულება. აი, ზუსტად ეს განასხვავებს ფრაზეოლოგიზმებსა და მეტაფორებს სხვა ნომინატიური ერთეულებისგან.

ვინაიდან ადამიანში მომძლავრებულია საერთო სახეობრივი თვისებები, ფრაზეოლოგიზმებშიც თითქოს და უნდა პრევალირდებოდეს ზოგადსაკაცობრივო, უნივერსალური საწყისები და არა კულტურულ-ეროვნული. სინამდვილეში კი პირიქით ხდება. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ იდიომები იმთავითვე დატვირთულია გარკვეული კულტურულ-ეროვნული სპეციფიკით. შეესაბამება თუ არა, ეს სინამდვილეს? ვფიქრობთ, რომ ეს არ ეხება ყველა ფრაზეოლოგიზმს, ვინაიდან ყველა ფე-ის მნიშველობა კულტურულ-სპეციფიური რომ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა მათი კულტურული სხვაობის გამოკვლევა.

ვ.ნ. თელია წერს, რომ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობა არის “სარკე”, რომელშიც ლინგვოკულტურული ერთობლიობა ახდენს თავისი ეროვნული თვითშეგნების იდენტიფიცირებას”, სწორედ რომ ფრაზეოლოგიზმები თითქოს და თავს ახვევს ენის მატარებლებს მსოფლიოს, სიტუაციის განსაკუთრებულ ხედვას. მაგალითად, ცნობები რუსი ხალხის ყოფის (красный уголок - God's [Holy] Corner, печи-лавочки), ეტიკეტის მიხედვით ქცევის (садиться не в свои сани, как пить дать, несолоно хлебавши), ადათ-წესების შესახებ (вывести на чистую воду) და ა. შ. (Маслова 2001: 82).

ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობის შინაგანი ფორმა შეიცავს ისეთ შინაარსს, რომელიც სძენს მას კულტურულ-ეროვნულ კოლორიტს. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი с боку припёку (რალაც ზედმეტის, არააუცილებლის შესახებ) წარმოიშვა პურის ცხობის პროტოტიპული (რეალური) სიტუაციიდან, როდესაც პურის ძირითად მასას უწნდება საკვებად უვარგისი ცომის გადმონადგენთი. ასეთი ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის ინტერპრეტირება შესაძლებელია ერის მენტალობისთვის დამახასიათებელი ფასეულობითი სტერეოტიპების პოზიციიდან, ანუ

ეროვნული კულტურის ტერმინებით: ის, რომ ცომი პურის ძირითად მასას მოსცილდა – ცუდია; გარდა ამისა, ის საჭმელად ვერ იქნება გამოყენებული, რადგანაც ცხობის დროს იხრუკება; შესაბამისად, პურის გარშემო წარმოქმნილი გადმონადგენთი გამოუსადეგარია.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ფრაზეოლოგიზმების სხვადასხვა ტიპები, რაზეც არაერთხელ მიუთითებს ვ.ნ. თელია, სხვადასხვანაირად ასახავს კულტურას.

ყველაზე მარტივია იმ ფრაზეოლოგიზმების კულტურული ასპექტის გაგება და განმარტება, რომლების მნიშვნელობაში დიდ როლს იკავებს დენოტატიური ასპექტი. მაგალითისათვის განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები, რომელთა ერთი ან რამდენიმე კომპონენტი არის ეროვნული კულტურის საგნების სახელწოდება: *щи лаптем хлебать* (ძალიან უბრალო ადამიანზე) *носиться как с писаной тордой* (ზედმეტი ყურადღების მიქცევა). ეს ფრაზეოლოგიზმები თავის ლექსიკურ შემადგენლობაში შეიცავს მითითებას მატერიალური კულტურის სფეროზე – *щи, лапоть*, მათი მნიშვნელობა და უარყოფითი შეფასება ყალიბდებოდა ამ ლექსემების მნიშვნელობის ცოდნის გათვალისწინებით. ასე მაგალითად, *щи* არის ძალიან უბრალო ხალხური საჭმელი, კოვზის ნაცლად *лапоть* უბრალო ფეხსაცმელი (ქალამანი) გამოიყენება, რომლითაც ჭამა – უღირსია, აქედენ გამომდინარე უარყოფითი შეფასება; *торда* ჩანთის სახეობა, რომელსაც ძველად გლახაკები და უბრალო ხალხი ატარებდა, ის არ ითვლება ფასეულ ნივთად, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ მოხატულია, მაინც თორბად (*торда*) რჩება, აქედან გამომდინარე, ვინც ზედმეტად უფრთხილდება მას – უარყოფით შეფასებას იმსახურებს. ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც აისახება ერის ისტორია, ეროვნული საკუთარი სახელები – *мамаево побоище, сирота казанская, кузькина мать* და ა.შ. ეს ფრაზეოლოგიზმები შეიცავს ქვეყნის შესახებ ისეთ ინფორმაციას, რომლის გაგებისთვის საჭიროა კონკრეტული ისტორიული ფაქტების ცოდნა.

ძალიან მარტივია ისეთი ფე-ის განმარტება, როგორცაა – *анютины глазки* (*cupid's-delight/ kiss-me* – სამფეროვანი ია). მათი ხატოვანი საფუძველი აქ მხოლოდ “გარკვეული თვისების” გამოკვეთის ხერხია. ასეთი ფე-ის კულტურული ინფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება დენოტაციის პარამეტრს, სწორედ რომ დენოტატი (ანიუტა) მათში არის კულტურული ინფორმაციის მატარებელი.

მაგრამ ფრაზეოლოგიური მასივის უმეტეს ნაწილში კულტურულ ინფორმაციას გააჩნია სხვა ბმულებიც. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება შინაარსობრივად ხატოვან-ემოციური ფრაზეოლოგიზმები, ანუ ისეთები, რომელთა მნიშვნელობაში ძალიან მნიშვნელოვანია ხატოვანი საფუძველი. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა არის ამ ფრაზეოლოგიზმებში კულტურული ინფორმაციის მატარებელი, განვიხილოთ საერთოდ როგორ იქმნება ასეთი ფე.

ჯერ სამყაროში იქმნება გარკვეული პროტოტიპული სიტუაცია, ანუ ფრაზეოლოგიზმის პირდაპირი მნიშვნელობის შესაბამისი სიტუაცია, მაგალითად, *садиться в калошу* (make a fool of oneself; make oneself look silly), რომელსაც მიემარება შინაარსი, რომლის ახლებურად გააზრება ხდება შემდგომში, ანუ პროტოტიპულ სიტუაციაში არსებული სიტყვების პირველადი მნიშვნელობის საფუძველზე ყალიბდება ფრაზეოლოგიური ერთეულის ხატი. სწორედ რომ ეს პირველადი სიტყვები ტოვებს გამოსხულებაში საკუთარ კვალს. ასე იქმნება შინაგანი ფორმა, რომელიც შეიცავს კულტურასთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას. კულტურული ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ ფრაზეოლოგიზმის შინაგანი ფორმიდან, ვინაიდან მასში მოიპოვება კულტურის - მითების, არქეტიპების, წეს-ადათების, ისტორიული მოვლენების ანარეკლის და მატერიალური კულტურის ელემენტების კვალი (Маслова 2001:83).

აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბებაში, ანუ სახეების შერჩევაში იკვეთება მათი კავშირი კულტურულ-ეროვნულ სტერეოტიპებსა და ეტალონებთან. ეს ინფორმაცია შემდგომ თითქოს ცოცხლდება კონოტაციებში, რომლებიც ასახავენ კავშირს კულტურის ასოციაციურ-ხატოვან საფუძველთან (ეტალონებთან, სიმბოლოებთან, სტერეოტიპებთან). რასაკვირველია, კულტურულ-ეროვნული სპეციფიკის გამოვლენის თვალსაზრისით ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა სწორედ ეს ფრაზეოლოგიზმები, რამეთუ მათ გააჩნიათ კულტურულ-განპირობებული მიზეზები ან კულტურულ-მნიშვნელოვანი შედეგები.

ტიპური სიტუაციების და წარმოდგენების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები გარკვეული კულტურის სიმბოლოების, ეტალონების, სტერეოტიპების როლს კისრულობენ (მაგ., *выносить сор из избы* - air/wash one's dirty linen in public, მნიშვნელობით “ისეთი ცნობების გავრცელება, რომელიც ადამიანთა ვიწრო წრეს ეხება”).

თუმცა, ყველა ფრაზეოლოგიური ერთეული კულტურულ-ეროვნული ინფორმაციის მატარებელი როდია. სლავულ ენებში მრავლადაა ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც უკავშირდება რეალიების თვისებებთან დაკავშირებულ ზოგადსაკაცობრიო ცოდნას, რომელიც ხატოვან საფუძვლად უდევს მათ მაგ. *смотреть в корень; между двух огней; не вешать нос* და ა.შ. მათი განსხვავება სხვა ენაში არსებული ანალოგებისაგან აიხსნება იმდენად არა კულტურული თავისებურებებით, არამედ სხვადასხვა ენებში მეორადი ნომინაციის ტექნიკის სხვადასხვაობით. მაგ., ჩინური გამონათქვამი გამდინარე წყალი არ ღვება (იხმარება მნიშვნელობით – ქმედებების უაზრობა, უსარგებლობა), რუსულში მას შეესაბამება *как мертвому припарки*, ხოლო კარის ანჯამას მატლი არ გაუჩნდება (მნიშვნელობით – საუკეთესო გამოსავალის იმედი) რუსულში შეესაბამება *как дважды два an комар носу не подточит*, ანუ რუსულ ენობრივ მცნებაში გააჩნია სხვა ხატოვანი საფუძველი. მაგრამ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ეს ფრაზეოლოგიზმებიც ეფუძნება ხატოვან-მეტაფორულ შინაარსს, მაშინ ისინიც მონაწილეობენ მსოფლიოს ენობრივი სურათის ჩამოყალიბებაში და განსხვავდებიან კულტურულ-ენობრივი თვალსაზრისით. (Маслова 2001: 84).

აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ისინიც გარკვეულწილად შეიძლება ჩავთვალოთ კულტურული ინფორმაციის მატარებლებად.

ზოგადსაკაცობრიო ცოდნა სამყაროს შესახებ შეიმჩნევა ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, როგორებიცაა *развязать язык, связать по рукам и ногам*, რომლებშიც ჩადებულია კვანძის სემანტიკა, როგორც მაგიური მოქმედების შესრულების, ანუ ეროვნული კულტურა მათში ვლინდება მითოლოგიასთან კავშირში, რომელიც საკმაოდ ზოგადია, ყოველ შემთხვევაში სლავური ერებისთვის.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იქნებოდა ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ეროვნული კულტურა ასახულია კულტურულ-ეროვნულ კონტაქტებთან, ეტალონებთან, სიმბოლოებთან, სტერეოტიპებთან კავშირში, როგორებიცაა *пить кровь, до последней капли крови*, სადაც სისხლი – სიცოცხლის ძალის სიმბოლოა, ან და ფრაზეოლოგიური ერთეული *родная кровь*, სადაც სისხლი არის ნათესავური კავშირის სიმბოლო და ა.შ. როგორც ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა გვიჩვენებს, მრავალი ფრაზეოლოგიური ერთეული უკავშირდება მითოლოგიებსა და არქეტიპებს. მაგ., *как в воду глядел, как в зеркале*; სლავებთან სარკე იყო მიწიერ და საიქიო

სამყაროებს შორის კავშირი, ამიტომაც ფუნქციით უახლოვდებოდა სხვა საზღვრებს: მიჯნას, ზღურბლს, სარკმელს, ჭას და ა.შ. სარკე, როგორც რეალური ნივთი, შეიქმნა საკმაოდ გვიან, მაგრამ მისი სემანტიკა და სიმბოლიკა ღრმად არქაულია (Толстая 1994:111). სარკე – სახიფათო ნივთია, აკრძალული, ეშმაკის მიერ შექმნილი, მასთან კონტაქტში შესვლის საშუალება; სარკეში არ უნდა ჩაიხედონ საქორწინოდ შემოსილმა პატარძლებმა, ფესმძიმეებმა, ახალშობილებმა, ვინაიდან ისინი იმყოფებიან ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლის სტადიაში; მას ფარდას აფარებენ გარდაცვალებასთან დაკავშირებული წესის დროს, იმისათვის რომ გარდაცვლილი ვერ შემოვიდეს საიქიოდან სარკის მეშვეობით. სარკის იქითა მხარე არის ცოცხალთა უკუღმა (თავდაყირა) სამყარო. სარკეზე მკითხაობა უკავშირდება იმას, რომ თითქოს სარკეს შეუძლია აირეკლოს არა მხოლოდ ხილული სმყარო, არამედ უხილავი და იმქვეყნიურიც კი. სარკე თითქოს “საიქიოსკენ გამავალი სარკმელია”, ამიტომაც სლავური ცრურწმენის მიხედვით, ღამე არ უნდა ჩაიხედო სარკეში, ვინაიდან ღამე შავი ძალების მეფობის დროა, ხოლო ადამიანი ამ დროს ყველაზე სუსტია. დიდი ხანი სარკეში ყურება – საზიანოა, რადგანაც მას ძალუძს ნაწილ-ნაწილ გამოგვტაცოს სული და გადააგზავნოს ის სარკისიქითა სამყაროში, სადაც სული იღუპება. სარკე თითქოს და სარკეში მზირავი ადამიანის ორეულია. ამიტომაც ითვლება, რომ სარკის გატეხვა – ცუდის მაუწყებელია, რადგანაც სარკესთან ერთად იმსხვრევა ადამიანის სულის ანაბეჭდი.

თანამედროვე ექსტრასენსები გვიჩვენებენ ხშირად გავწმინდოთ სარკეები, ვინაიდან ისინი იზიდავენ ინფორმაციას მთელი სამყაროდან, მათ შორის ნეგატიურსაც, ამიტომაც შეიძლება ნეგატივის აკუმულატორად იქცეს და უბიძგოს ადამიანს ნებისმიერი არაადეკვატური საქციელისაკენ, შეუცვალოს გუნება.

ასე რომ, სარკე: 1) ეშმაკთან კონტაქტში შესვლის საშუალება; 2) “საიქიოსთან“ კავშირის ხაზი; 3) სამყაროს საზღვრების დახშობის საშუალება; 4) უხილავი და იმქვეყნიური სამყაროს არეკვლის საშუალება; 5) მას ძალუძს გაიტაცოს ადამიანის სული და დატოვის ის უსულგულოდ; 6) ის არის სამყაროს შესახებ ინფორმაციის აკუმულატორი; 7) ის არის ჩვენი ორეული. სარკის სიმბოლიკა ასევე უკავშირდება რიცხვს “ორი”, ლუწობის, წყვილობის ცნებას. აკრძალვების უმეტესობა უკავშირდება გაორების, მოქმედებების გამეორების საფრთხეს. გაორმაგების იდეა ნათლად არის

გადმოცემული ტყუპებთან დაკავშირებულ მითებში. ამასთანავე ითვლებოდა, რომ რიცხვი 1 – არის რაღაც ერთიანი, სრული და სრულყოფილი, აბსოლუტური სიმშვიდე, არა-ცხოვრება, ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი და კოსმოსი. რიცხვი 2 – არის შემოქმედებითი აქტის საწყისი, ერთმანეთისგან დაცილების და მოშორების, არა-ცხოვრებისგან მოშორება, რომელიც არ გვაავიწყებინებს მიტოვებულ სრულყოფილებას. არისტოფანეს “პლატონთან ზეიმში” საუბარი არის პირველადამიანებზე, რომლებიც იყვნენ მომრგვალებული, ოთხფეხა და ოთხხელა, სანამ ზევსმა არ გაჭრა ისინი კვერცხისებრად თმის ღერით. მას შემდეგ ნახევრები ერთმანეთისკენ ილტვიან, ასე შეიქმნა სიყვარული, ქორწინება, რომელთა მიზანია – ყოფილი ერთიანობის აღდგენა, ანუ ადამიანური ბუნების განკურნება. სიყვარული არ უკავშირდება გამრავლებას, მას აქვს სულიერ-რელიგიური არსი: სიყვარული არის თავისებური თვითდახვეწა, ის არის გზა უკვდავებისკენ.

ტყუპების დაბადება ძველ დროში იწვევდა შიშთან შერეულ ღრმა პატივისცემას: ტყუპებში ხედავდნენ ნაყოფიერების სიმბოლოს. ტყუპებს თვლიდნენ მტერ-მოკავშირეებად; ერთს უკავშირებდნენ ყოველივე კარგს, კეთილს, ხოლო მეორეს – ყოველივე ცუდს, ეშმაკულს, არასრულყოფილს, ეს იყო სიკეთისა და ბოროტების, ნათელისა და ბნელის თანასწორობა. იგულისხმებოდა, რომ ტყუპები და მათი დედა შეეხნენ რაღაც ზებუნებრივ ძალებს და გახდნენ ამ ძალის მატარებელი. ზოგჯერ მათ მოაშორებდნენ ტომს, ან მოკლავდნენ, რადგანაც ხალხს აშინებდა არსის გაორება, რომლის იდეაც მათთვის გაუგებარი იყო.

ფრაზეოლოგიზში *вызвать на ковер* - *call on the carpet* ნიშნავს იმას, რომ უფროსი თავის თანამშრომელს იწვევს კაბინეტში საყვედურის სათქმელად. ხატოვანი გამოხატულება იქმნება ისეთი კომპონენტის მეშვეობით, როგორცაა *ხალიჩა*. *ხალიჩა* არის ფრაზეოლოგიზში აღწერილი სიტუაციის ლოკალიზატორი და ამავედროულად ეროვნული კულტურის მარკერი: ხელმძღვანელის კაბინეტში *ხალიჩა* არის რუსული (ნახევრად აღმოსავლური) კულტურის ნიშანი. ამრიგად, ენაში უმეტესწილად მყარდება და ფრაზეოლოგიზმებად გადმოიცემა ის ასპექტები, რომლებიც ასოცირდება კულტურულ-ეროვნულ ეტალონებთან, სტერეოტიპებთან, მითოლოგიებთან. სწორედ ისინი აყალიბებენ ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობას, როგორცაა *как в зеркале* მნიშვნელობით “ძალიან კარგად ჩანს” (მისი მნიშვნელობის საფუძველში დევს მითოლოგია “არეკლავს

უხილავ და საიქიო სამყაროსაც კი”). ამ დროს თვითონ ხდება კულტურული სტერეოტიპი. ფრაზეოლოგიზმების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის ათვისება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის მიერ სამყაროს გაცნობიერების (“ცოცხალის” და ისტორიულ მესხიერებაში არსებულის) და ამ გაცნობიერების ენაში ასახვის პრობლემებს.

მითოლოგემა აქ ნიშნავს იმას, რაც ადამიანის მიერ დავიწყებულია, მაგრამ ინახება სიტყვისა და გონების დაფარულ სიდრმეში. მითოლოგემა სრულად თუ არ აკონტროლებს ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკას, უთუოდ მიმართავს და მისი თანამედროვე ფუნქციონირების კორექტირებას ახდენს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იბადება კითხვა, არის თუ არა ენა კულტურის დამცველი? მიუხედავად კუმულატიური ფუნქციისა, ანუ ინფორმაციის შეგროვებისა და დაცვის საშუალების ფუნქციისა, ენა არ ხდება კულტურის დამცველი. ენის ერთეული – სიტყვა – არის მხოლოდ სიგნალი, რომლის ფუნქციაა გააღვიძოს ადამიანის გონება, შეეხოს იმ გარკვეულ კონცეპტებს, რომლებიც მზად არის გამოეხმაუროს ამ სიგნალს. (Потебня, Щерба, Леонтьев).

ენა არის მხოლოდ მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება კულტურის კოდირება და ტრანსლაცია. კულტურის ჭეშმარიტი დამცველები არის ტექსტები. არა ენა, არამედ ტექსტი ასახავს ადამიანის სულიერ სამყაროს. სწორედ რომ ტექსტი პირდაპირ კავშირშია კულტურასთან, რამეთუ ის განსჭვალულია მრავალი კულტურული კოდით, სწორედ ტექსტშია დაცული ინფორმაცია ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეროვნული ფსიქოლოგიის, ეროვნული საქციელის შესახებ, ანუ ყველაფრის შესახებ, რაც კულტურის შინაარს შეადგენს. ტექსტი არის სპეციფიური სიგნალების ნაკრები, რომლებიც ავტომატურად იწვევს მოცემული კულტურის ტრადიციების შესაბამისად აღზრდილი მკითხველის გულში არა მხოლოდ უშუალო ასოციაციებს, არამედ ბევრ ირიბსაც კი. თავის მხრივ, ტექსტის შედგენის წესები დამოკიდებულია იმ კულტურის კონტექსტზე, რომელშიც ის შეიქმნა. ტექსტი იქმნება ქვედა დონის ენის ერთეულებისგან, რომლებსაც შესაბამისი შერჩევისას შეუძლიათ გააძლიერონ კულტურული სიგნალი. სწორედ ასეთი ერთეულებია, პირველ რიგში, ფრაზეოლოგიზმები.

ყოველი ფრაზეოლოგიზმი, ჩვენი თვალსაზრისით, არის ტექსტი, ანუ კულტურული ინფორმაციის მატარებელი. მაგრამ, თუ კი ჩვენს გვესმის იმ

ტიპის ფრაზა, როგორცაა «ЯЗЫК ПОМНИТ И ХРАНИТ ТАЙНЫ...», უნდა გვესმოდეს, რომ ეს მხოლოდ მეტაფორაა. ენის ფრაზეოლოგიური კომპონენტი აღადგენს არა მხოლოდ სამყაროს გაგების კულტურულ-ეროვნულ ელემენტებს, არამედ აყალიბებს მათ. და ყოველ ფრაზეოლოგიზმს, თუკი ის შეიცავს კულტურულ ნოტაციას, თავისი წვლილი შეაქვს ეროვნული კულტურის საერთო მოზაიკურ სურათში.

ასე რომ, ფრაზეოლოგიზმები პირდაპირ (დენოტატში) ან ირიბად (ასოციაციურ-ხატოვანი საფუძველის ეროვნული კულტურის ეტალონებთან, სიმბოლოებთან, სტერეოტიპებთან შეფარდების მეშვეობით) ატარებენ სამყაროს, სოციუმის შესახებ კულტურულ ინფორმაციას. ამიტომაც არიან ფრაზეოლოგიური ერთეულები თავისებური ერის “სიბრძნის საგანძური”, რომელებიც იცავენ და აღადგენენ მის მენტალიტეტს და კულტურას თაობიდან თაობამდე. (Маслова 2001: 87).

ამრიგად, ფრაზეოლოგიაში სტერეოტიპების გამომჟღავნება ნათლადაა წარმოჩენილი, ისე რომ ხატის, გაგებისა და აზრის ერთობლიობით ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ წინადადების კულტურულ-ნაციონალური მნიშვნელობა.

I.II. პარემიოლოგიური ტექსტები, როგორც ერის კულტურულ-ინფორმაციული სივრცის სეგმენტაციის საშუალება

ცნობილია, რომ ანდაზა საერთო “მენტალური ენის” ყალიბში ფორმირებული ენობრივი კოლექტივის ვერბალური ფოკლორის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ის თვისობრივად (როგორც ფირმალურად, ისე შინაარსობრივად) იმ სამყაროს ყოფისა და აზროვნების მიკრომოდელია, რომელშიც შეიქმნა და ფუნქციონირებს. მისი ძირითადი დატვირთვა სამყაროს ზოგადი კანონზომიერების წვდომაა, იმ სინამდვილის სიღრმისეული გაგებაა, რომელიც თავსდება ერთიანი ეროვნული აზროვნების სისტემაში. თითოეული ეთნოსი, ბუნებრივია, მას ინდივიდუალური ფორმით გადმოსცემს. ამდენად, ანდაზის სიღრმისეული შესწავლა (ენასთან ერთად) მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური (ყოფითი და მენტალური) თავისებურებების, მოცემულ მენტალურ სივრცეში დადგენილი აზროვნების კანონების, პრაქტიკულად, ეთნოფსიქოლოგიის შესწავლას გულისხმობს. (Haskell 1987: 264).

ანდაზები - არის მოკლე, სხარტი, ღრმა შინაარსით დატვირთული ხალხური გამონათქვამები ან ხატოვანი ფორმით გადმოცემული მსჯელობები ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ.

ანდაზებში აისახა ხალხის სოციალურ-ყოფითი და ისტორიული ცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილება, მათი იდეოლოგია, ფსიქოლოგია და ცხოვრებისეული სიბრძნე. მათი მნიშვნელობის აღსანიშნავად, ა.მ. გორკი წერდა: “ყველაზე დიდი სიბრძნე - სიტყვის სიმარტივეშია, ანდაზები და სიმღერები ყოველთვის მოკლეა, მაგრამ მათში ჩადებული გონება და გრძნობები მრავალი წიგნის ტოლფასია”. (Горький 1934: 114).

ხალხურ ცხოვრებაში ანდაზები გამოიყენებოდა ყოფაშიც და ყოველდღიური მუშაობის დროსაც და მიესადაგებოდა ამა თუ იმ შემთხვევებსა და მოვლენებს («Пословица к слову молвится»). მათი შინაარსი და მნიშვნელობა თვით ანდაზაში იხსნება: «Пословица мимо не молвится», «Пословица вовек не сломится», «От пословицы не уйдешь», «Добрая пословица не в бровь, а в глаз» ხალხი აცნობიერებდა, რომ ანდაზა არის ხატოვანი ფორმით გადმოცემული მსჯელობა. «Глупая речь – не пословица», «Голая речь – не пословица», – განმარტავს ის, და გამოყოფს ანდაზას მხატვრული ქარაქტერის არ მქონე ჩვეულებრივი მეტყველებისგან.

ხალხურ მეტყველებაში ანდაზებთან ახლოს დგას ხალხური გამონათქვამები. სიმოკლით, მსჯელობის სიძლიერით, პოეტური ხატოვნებით ანდაზების მსგავსი ხალხური გამონათქვამები მაინც არსებითად განსხვავდებოდა ანდაზებისგან. თუ კი ანდაზები წარმოადგენდა დასრულებულ მსჯელობას, წინადადებას, რომელსაც გააჩნდა ქვემდებარე და შემასმენელი («Смелость – города берет» / cities are captured by boldness/), ხალხური გამონათქვამები წარმოადგენდა მსჯელობაზე სხარტ მინიშნებას. ეს სხვაობა კარგად ჩანს ერთი და იგივე გამონათქვამების შედარებისას, რომლებიც შეიძლება იყოს ანდაზაც და ხალხური გამონათქვამიც. მაგალითად, ფრაზა «Чужими руками жар загребать / make smb. pull the chestnuts out of the fire for one /» - არის ხალხური გამონათქვამი, მასში არ არის მსჯელობა, დასკვნა, მაგრამ თუ კი მას შევაკვებთ «Чужими руками жар загребать *легко*», მაშინ ის ანდაზად გადაიქცევა. ეს სხვაობა ხალხმა ზუსტად გადმოცა ანდაზაში: «Поговорка – цветочек, а пословица – ягодка», და ამით ახსნა, რომ ხალხური გამონათქვამი არ არის დასრულებული მსჯელობა.

კ. დალის განმარტებით, ხალხური გამონათქვამი არის “ხალხში გავრცელებული კარგად დალაგებული მოკლე მეტყველება, რომელიც სამაგიეროდ არ არის სრული ანდაზა” (Даль 1955:155).

ანდაზებთან და ხალხურ გამონათქვამებთან ერთად ხალხურ მეტყველებაში გვხვდება ასევე სხვა გამონათქვამები, რომლებიც სძენენ მეტყველებას სისხარტეს, ხატოვანებას, მუსიკალურ ელერადობასა და მეტყველებითობას. მათ მიეკუთვნება ლათაიები, ენის გასატეხები, სხარტი სიტყვები და სხვა. მაგრამ ისინი არ წარმოადგენს ღრმა მსჯელობებს, რადგან მათი მთავარი ფუნქციაა – გართობა, მეტყველების ხატოვანი შელამაზება.

ლათაიები – გონებაშახვილური, ხშირ შემთხვევაში კომიკური, ხალხური გამონათქვამებია (Хороша кашка, да мала чашка», «Хороша Маша, да не наша»), გართიმულ სიტყვათა კრებულია, რომელიც ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ერთმანეთს მხოლოდ ელერადობით («Акулина Савишна – не вчерашня-давишна», «Белая пегая, со двора не бегала, другая чалая, головой качала»).

ენის გასატეხები – რთულად წარმოსათქმელი ფრაზები, გამოიყენება თამაშის სახით, რომელმაც უნდა ასწავლოს სიტყვების სწრაფი და მკაფიო გამოთქმა: «Нашего пономаря не перепономаришь», «Раз дрова, два дрова» და სხვა.

ხალხური ხატოვანი მეტყველების ტიპებს შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ანდაზებს, რომელთა ხატოვანი ფორმა ერთობლიობაში იმყოფება ღრმა გამაერთიანებელ აზრთან. (Новикова 1978:103).

ანდაზების წარმოშობა, უდაოდ, უბეველესია. მათი შექმნა შეეძლო ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არა მხოლოდ გარშემო რეალობის შემეცნების უნარი გააჩნდათ, არამედ მისი გააზრებისაც კი. ანდაზების შექმნის ერთერთი წინაპირობა ასევე იყო ენის განვითარების გარკვეული დონის მიღწევა, როდესაც ადამიანს შესწევდა უნარი გამოეყენებინა ის რეალობის საზოგადო-ლოგიკური და ხატოვან-სახეობრივი გადმოცემის მიზნით. ანდაზების არსებობის და მათი უწყვეტი განვითარების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ადამიანური საზოგადოების ჩამოყალიბებას. თემური წყობილების ეპოქამ წარმოშვა ისეთი ანდაზები, სადაც ასახულია ადამიანის სმეურნეო საქმიანობის ვიწრო წრე, ყოფითი მოვლენები, უბრალო დაკვირვებები ბუნებაზე. ფეოდალურმა ხანამ, ხოლო შემდეგ, კაპიტალისტურმა წყობამ, გააღვიძა ადამიანებში პროტესტის გრძნობა, მწაგვრელებისადმი სიძულვილი, რაც თავისთავად აისახა მრავალ ანდაზაში. ამ ანდაზებმა მიიღო განზოგადოებული სახე და შეისრუტა არა მხოლოდ მხედველობითი აღქმის გამოცდილება, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრებაც.

მითოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა აზრის საპირისპიროდ, რომლებიც ყველა ანდაზის შინაარსს უკავშირებდნენ სლავური ხალხების ძველ რელიგიურ სარწმუნოებებს, ფოლკლორის მრავალ მკვლევარს მიაჩნია, რომ ასეთი შინაარსის ანდაზები საკმაოდ იშვიათია ყველაზე ძველ კრებულებშიც კი. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, ანდაზა «Мать сыра земля – говорить нельзя», რომელიც თავის დროზე წარმართულ ეპოქაში ნიშნავდა ტაბუდადებულს, ვინაიდან «мать сыра земля» სიწმინდეო ითვლებოდა.

შრომისადმი მიძღვნილი ძველი ანდაზები ადასტურებენ მეცნიერთა აზრს ამ ჟანრის რეალურობის შესახებ, მაგალითად: «Не погнешь пчел – меду не едать», «Кто с дерева убится – бортник, кто утонул – рыболов, в поле лежит – служивый человек», «Глубже пахать – больше хлеба жевать», «Посеешь в погоду – больше приплоду», «Сыпь коню мешком, так не будешь ходить пешком». რუსული მატიანე «Слово о полку Игореве», «Моление Даниила Заточника» და ძველი

რუსეთის სხვა წერილობით ნაწარმოებებშიც ასევე არ შემორჩენილა მითოლოგიური შინაარსის ანდაზები.

უანრის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ანდაზები სამხედრო-ისტორიულ თემაზე. მათ შორის ყველაზე უძველესია ანდაზები რუსი ხალხის მონღოლ-თათრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თათრების ბატონობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, შთააგონა ხალხს შიში და სიძულვილი რუსეთის დამპყრობელებისადმი. ამიტომაც ამ შინაარსის ყველა ანდაზას უარყოფითი შეფასება აქვს. «Бей сполох – татарин идет», «Тут словно Мамай прошел», «Незванный гость хуже татарина», «Каков хан, такова и орда» - ასე აისახა ანდაზებში ხალხის მრისხანება და სიძულვილი თათრების, როგორც ძველი რუსეთის დამპყრობელებისა და მზავრელების მიმართ.

ანდაზებში «Бывали были – и бояре волком были», «Середка сыта, да концы бунтуют» აისახა ხალხური აჯანყებები მემამულეთა წინააღმდეგ. ხალხს ასევე ახსოვს ხანგრძლივი ომები და რუსეთის ჯარის ღაშქრობები. ასე, XVIII ს. დასაწყისში, როდესაც შვედეთთან ხანგრძლივ ომში რუსეთმა გამარჯვება მოიპოვა, ხალხმა ამ ფაქტს უპასუხა ანდაზით: «Погиб, как швед под Полтавой», რომელიც მას შემდეგ სხვა მოვლენებთან მიმართებაშიც გამოიყენებოდა.

პატრიოტული ანდაზებით რუსმა ხალხმა აღნიშნა 1812 წლის მოვლენები, რომლებმაც შეძრა მთელი რუსეთი და გამოიწვია სახალხო გმირობის დიდი ტალღა. ხალხურ ენამახვილურ ანდაზებში დიდი როლი რუსეთის ბრძენ მხედართმთავარ -კუტუზოვს მიუძღვის. მაგ., «Пришел Кутузов бить французов». ამავე დროს ხალხში შეითხზა ირონიული ანდაზები ნაპოლეონის შესახებ. «В Москву пришел Наполеон, а из Москвы вышел опалён» - ასე კალამბურის სახით გამოთქვა ხალხმა თავისი აზრი დამპყრობელის შესახებ.

სხარტად, დამცინავად, თავისი ისტორიული ვალის გაცნობიერებით ხალხი გადმოცემდა ანდაზებში რუსეთიდან გაქცეული ნაპოლეონის ჯარის საგალალო მდგომარეობას: «На француза – и вилы ружьё», «Пуганный француз и куста боится», «Голодный француз и вороне рад».

სამხედრო-ისტორიული თემატიკის ანდაზების შექმნა გრძელდებოდა შემდგომი პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებითაც. ტრადიციად ქცეულმა ხალხურმა ოსტატობამ ნოვატორული გამოვლენა ჰპოვა სამოქალაქო და

დიდი სამამულო ომის მოვლენებისადმი მიძღვნილი ანდაზების შექმნისას. დამახასიათებელია, რომ ამ ტიპის ანდაზებში განზოგადოების სიღრმე საშუალებას იძლევა გამოხატოს რუსი ერის ჰუმანიზმი, მისი დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის მიმართ. მაგ., «Мир – во славу, война – в отраву», «Не мудрено войну начать да мудрено её кончать», «Мир строит, война разрушает» და სხვა.

ანდაზებში აისახა ხალხის შეხედულებები ფეოდალური ეპოქის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობისადმი. როგორც წესი, ეს იყო კრიტიკული ხასიათის ანდაზები, სადაც გამოხატული იყო ხალხის უკმაყოფილება მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. ერთერთ რუსულ მატთანში შემონახულ იქნა ასეთი ტიპის ანდაზა, სადაც გამოხატულია ხალხის მრისხანება და აღშფოთება თავადი ვლადიმერის მიერ რუსეთში ქრისტიანობის ძალადობრივ შემოღებასთან დაკავშირებით - («Добрыня крести мечом, а Путьята огнем»), სადაც Добрыня იყო თავადი ვლადიმერის ბიძა, ხოლო Путьята – მისი მხედართმთავარი).

ძველი ნოველორდის დროიდან ჩვენამდე მოაღწია ანდაზამ: «На одном вече да не одни речи». მასში ასახულია ნოველორდის კრების ბობოქარი ხასიათი, რომელზეც ვაჭრები და უბრალო ხალხი ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სოციალურ-კლასობრივ ნიადაგზე.

დევნის მიუხედავად, ხალხმა შეთხზა ფეოდალური რუსეთისთვის დამახასიათებელი სასამართლოს და ძიების ყველაზე ბარბაროსული ხერხების – მოსკოვის მეფეების საწამებელ საკნებში ბრალდებულების წამების -საკიცხავი ანდაზები. სოფელ პრეობრაჟენსკოეში პეტრე-პავლობის ტაძართან არსებული ასეთი ჯურღმულის შესახებ შეიქმნა ანდაზა: «Была правда, да не у Петра и Павла», ხოლო ბარბარეს ჭიშკართან არსებული საწამებელი საკნის შესახებ: «Иди к Варваре на расправу», «Кому Варвары, а мне голову оторвали» და სხვა. ასე იქმნებოდა ანდაზები ხალხის მიერ შენიშნული და კრიტიკულად გააზრებული აშკარა და საიდუმლო მოვლენების შესახებ. ამიტომაც ვ.ი. დალი, რომელიც ცნობილია, როგორც ხალხური ანდაზების შემგროვებელი, წერდა, რომ ისინი წარმოადგენს: “ხალხური გამოცდილებითი სიბრძნისა და ცრურწმენის კრებულს, ეს არის სახეებში გადმოცემული კენესა და გმინვა, ტირილი და გოდება, სიხარული და მხიარულება, მწუხარება და ნუგეშისცემა; ეს არის ხალხური ჭკუის, თვითყოფადური ყაიდის საგანძური; ეს არის ცხოვრებისეული ხალხური

სიმართლე, თავისებური სამართლის წიგნი, რომელიც არავის მიერ არ არის გასამართლებული” (Даль 1957: 18-19).

მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია ანდაზები ადამიანების სოციალური ურთიერთობების შესახებ. მათში ასახული ზედა ფენების მიმართ ხალხი გამოთქვამს უარყოფით რეაქციას.

მუდმივად ეკონომიური და პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მყოფმა ხალხმა შესძლო არა მხოლოდ თავისი აღშფოთების გამოხატვა, არამედ სწორად განსაზღვრა უთანასწორობის არსი ექსპლუატატორულ საზოგადოებაში. ზუსტი და სწორე დასკვნები გადმოცემულია ანდაზებში: «В лесу лес неравен, в миру – люди», «На одно солнце глядим, да не одно едим», «Один с сошкой, а семеро с ложкой», «Кто у власти, тот ест сласти». ბატონყმური დროის ყმების უფლებო მდგომარეობის შესახებ მოწმობს ანდაზა: «Тело - государево, душа – божья, а спина – барская». ზოგიერთ ანდაზაში მასხარად არის აგდებული თავადაზნაურების სიზარმაცე, მათი ცხოვრების წესი: «Белые ручки чужие труды любят», «Крестьянскими мозолями и бары сыто живут», «Раздень меня, разуй меня, уложи меня, а там поди – усну я сам». ზოგიერთ ანდაზაში მემამულეების მუქთახორობა უპირისპირდება მშრომელი ხალხის ცხოვრების წესს: «Живём - не тужим, бар не хуже: они на охоту, а мы – на работу, они спать – а мы – опять, они выпалились да за чай, а мы – цепом качай».

მშრომელი ხალხი ანდაზებში კიცხავდა თავის მწავრელებს, მაგრამ დარწმუნებას გამოხატავდა, რომ ოდესმე თავისუფლებას მიაღწევდა: «Не тот хозяин земли, кто по ней бродит, а тот, кто по ней за сохой ходит». «Князь в платье, бояре в платье, будет платье и на нашей братье». გლეხთა აჯანყების ეპოქიდან შემორჩა ანდაზები: «Пора, братцы, за топоры приниматься», «Отольются волку овечьи слезки».

რასაკვირველია, ხალხი თავადაზნაურობას ყოველგვარ უბედურებას უსურვებდა: «Ешь, медведь, боярина, обои не надобны», ხოლო მათზე მუშაობას იძულებით ასრულებდა. მაგ., ანდაზები: «Барскую работу- не переработашь», «Дело - не медведь, в лес не убежит», «Тише едешь - дальше будешь», «Смотрю не на работу, а на солнышко – не пора ли кончать?»

მაგრამ, შრომას, როგორც სიცოცხლის საფუძველს, ხალხი პატივს სცემდა და მასთან დაკავშირებით მრავალ სხარტ მოსაზრებას გამოთქვამდა: «Кто первый в труде – тому слава везде», «Труд человека кормит, а лень – портит»,

«Труд все побеждает», «Без дела жить – только небо коптить», «Лентяй да шалопаи – два родные брата» - ასე უპირისპირებდა ანდაზებში ხალხი შრომასა და სიზარმაცეს, მშრომელი კაცის ცხოვრებასა და მუქთახორულ ცხოვრების წესს.

ბევრი ანდაზა ეძღვნება ეკლესიურ თემატიკას. ზოგიერთ მათგანში განიკითხება სამღვდელთა არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლები: «У попа глаза завидушие, руки загребушие», «Попу на Руси – что коту на печи».

ადამიანები აცნობიერებდნენ, რომ მხოლოდ რწმენა, შრომის გარეშე მათ არ გამოადგებოდა: «На бога надейся, а сам не плошай», «Богу помолившись, сыт не будешь», «Из одного дерева икона и лопата».

ხალხური ანდაზური ხელოვნების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს ანდაზები საყოფაცხოვრებო თემებზე. ზოგიერთებში აისახა ოჯახის ძველი პატრიარქალური წყობის წესები, სადაც მთავარი მოქმედი პირი იყო ოჯახის უფროსი და მთელი ცხოვრება ეფუძნებოდა უმცროსების უფროსებისადმი, ხოლო ქალების მამაკაცებისადმი დამორჩილებაზე. მაგალითად, «Хозяин – всему дому голова», «Без хозяина – дом сирота». ოჯახში ქალის მდგომარეობაზე მიუთითებს ანდაზა: «Бабе дорога от печи до порога». ქალის ხვედრი ქალიშვილობიდანვე ცნობილი იყო: «В девках сижено, горе мыкано, замуж выдано – вдвое прибыло», ამიტომაც მას ანდაზით ურჩევდნენ: «Коси коса, пока роса, гуляй сестра, пока молода».

მაგრამ ხალხში ისეთი ანდაზებიც ითხზებოდა, სადაც ოჯახური ცხოვრების ჭეშმარიტ იდეალებზეა საუბარი, ოჯახზე, რომელიც დაფუძნებულია არა ბატონობასა და მორჩილებაზე, არამედ ოჯახის წევრებს შორის ტკბილ თანაცხოვრებაზე, მაგ., «Любовь да лад, не надобен клад», «Муж голова, а жена – сердце», «Совет да любовь - на том свет стоит», «Куда иголка, туда и нитка». ანდაზებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ცოლის შრომისმოყვარეობა და გონება, რომლებიც, ხალხის აზრით, სილამაზეზე მეტად ფასობს: «Не гонись за красотой, тянись за разумом», «Красота приглядится, а ум пригодится», «Не красотой дом держится, а умницей», «Красота до венца, а ум до конца». ანდაზებში აღინიშნება ქორწინების დიდი მნიშვნელობა ადამიანისთვის, ამიტომაც ანდაზა ასწავლის ადამიანებს სერიოზულად მოეკიდონ ქორწინებას: «Сто раз примерь, а один – отрежь», «Замуж выйти да жениться – нужно снова родиться».

ხალხის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ასევე კაპიტალისტური წყობის არსი – ოქროს გაბატონება, სუფთა კომერციული გათვლა. პოპულარული ხდება ანდაზები: «Золотой ключик все двери открывает», «Когда деньги говорят, тогда правда молчит», «Денежка не бог, а полбога есть», «Алтын сам ворота открывает, путь очищает». ვაჭრობის სამყაროში არსებული სპეკულაციის, გამორჩენის, არაკეთილსინდისიერი მოგების პრინციპი კარგად განსაზღვრულია ანდაზაში: «Не обманешь – не продашь».

ბატონყმური ეპოქის შემდეგ, ადამიანები აღმოჩნდნენ ფაბრიკანტებისა და ქარხნების მეპატრონეების წნეხის ქვეშ. დაქირავებული მუშის უღელი ყმის უღელზე მსუბუქი როდი ყოფილა. ამაზე მეტყველებს ანდაზები: «Хорошо в найме, да не дай бог мне», «Хорошо в людях, да тесно в грудях», «Золото моем, а сами волком воем». ბევრი ანდაზა პეტერბურგს უკავშირდება, რომელიც იყო სხვადასხვა კაპიტალისტურ საწარმოთა ცენტრი: «Кого Питер не полюбит, последнюю шубу слупит», «На заводе - ад, а кругом – смрад» «Батюшка-Питер бока нам вытер, а матушка-канава, совсем доканала».

რევოლიციამდე დროში ხალხში მრავალი ანდაზა შეითხზა ჯარისკაცის ცხოვრების, ბურლაკების მძიმე ჯაფის შესახებ: «Пошел в службу – терпи нужду», «Хлеб да вода – солдатская еда», «Солдаты шилом бреются, солдаты дымом греются», «Кобылку в хомут, а бурлака в лямку», «Надсадно бурлаку, надсадно в ляжке».

ანდაზებში აისახა არა მარტო სოციალურ-ისტორიული გამოცდილება, არამედ ხალხის შრომითი ცხოვრების გამოცდილება. ხალხი თაობიდან თაობამდე გადასცემდა ამ გამოცდილებას. ასე იქმნებოდა ანდაზებით გადმოცემული გლეხების მიწათმოქმედების კალენდარი, რომელიც იყო მნიშვნელოვანი პრაქტიკული სახელმძღვანელო გლეხთათვის. ანდაზები ასწავლიდა: «Мужик, умирать собирайся, а земельку паши», «С огнем, водой, ветром не дружись, а дружись с землей». კალენდარული ანდაზები გლეხებისთვის იყო სოფლის მეურნეობის წესებისა და ხალხის წლიური დაკვირვებების კრებული, რომელიც საზღვრავდა სამუშაოების დასაწყისს, განმარტავდა ამინდის ნიშან-თვისებებს წელიწადის ყოველ დროს, ასწავლიდა უკეთ მუშაობას: «Декабрь год кончает, зиму начинает», «Февраль – кривые дороги», «Март с водой, апрель – с травой, май – с цветами». ასეთი ნიშნებით ხდებოდა მოსავლიანობის ამოცნობაც: «Зима без снега – лето без хлеба», «Каков в мае дождь, так и будет рожь», «Каково лето, таково и сено».

მიწათმოქმედების წესები დგინდებოდა ასევე ჩიტების ქცევაზე დაკვირვებებით: «Увидел грача, весну встречай», «Кукушка закуковала – пора сеять лен». მრავალი ანდაზა წარმოადგენდა პრაქტიკულად გამოცდილ ხალხურ აგრონომიულ წესებს: «Клади навоз густо – в амбаре не будет пусто», «Ранний пар родит пшеничку, а поздний – метличку», «Лучше голодать, да добрым семенем засевать», «До поры, до времени, не сеют семени».

დაუწერელ გლეხურ კალენდარს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხური ცხოვრებისთვის. ხანგრძლივ სამეურნეო გამოცდილებაზე დაფუძნებული მრავალი წესი და ხალხური დაკვირვება დღემდე ინარჩინებს თავის მნიშვნელობას.

ზოგიერთ ანდაზას აქვს აშკარად გამოხატული ჭკუის სასწავლებელი და დამრიგებლური მნიშვნელობა. ანდაზა წარმოადგენდა დაუწერელ კანონს, რომელიც აუცილებელი იყო ყოველი ადამიანის ცხოვრებისთვის. ანდაზებში გამოითქმებოდა მოსაზრებები კოლექტივის, მეგობრობის, ცოდნის, შრომის მნიშვნელობის შესახებ.

ანდაზებში სრული რეალობით არის გამოხატული ცხოვრებისეული სიძნელეები, ადამიანების მძიმე ხვედრი: «Беда на беде едет, бедой погоняет», «Горе да нужду обухом не перешибешь», «Счастье что солнышко: улыбнется и скроется», «Жизнь прожить – не поле перейти». მაგრამ, ამავე დროს ანდაზებში იკითხება ხალხის უდიდესი ოპტიმიზმი: «Нет худа без добра», «После дождичка солнце выглянет», «Терпи, казак, атаманом будешь». ანდაზები ასწავლიდა ხალხს დაეძლიათ ცხოვრებისეული სირთულეები, ასწავლიდა შრომისმოყვარეობას, სიმამაცეს: «Смелость – города берет», «Под лежачий камень и вода не течет», «Волков бояться – в лес не ходить», «Смелый там найдет, где робкий потеряет», «Ум – впереди дела», «Без труда и лаптя не сплетешь». ანდაზები ადასტურებდა, რომ ადამიანის საქციელს შვენის გულწრფელობა, თავმდაბლობა, თავისი ცხოვრებისეული ვალის გააზრება: «Бесчестие хуже смерти», «Береги чести смолоду». ანდაზებში განიკიცება სიზარმაცე, ტრახახი: «Куй железо – пока горячо», «Не верь чужим речам, а верь своим очам», «Умей сказать – умей и смолчать», «Слово – серебро, а молчание – золото», «Худое дерево в сук растет», «Рано пташечка запела, как бы кошечка не съела».

ანდაზები არიგებდა ადამიანებს, რომ თავისი ცხოვრებისეული ენერჯია გამოეყენებინათ აზრიანად, მოხერხებულად: «Без ума ни топором тяпать, ни

ковырять лапоть», «Берись за то, к чему ты годен», «Дело мастера боится», «Запел соловьём, да кончил петухом».

ხალხი ყოველთვის აფასებდა ჭკვიან ადამიანებს და ცოდნისადმი მისწრაფებას: «Мужик сер, да ум у него не волк съел», «Ученье – свет, а неученье – тьма», «Не учись до старости, а учись до смерти», «Грамоте учиться – всегда пригодиться». დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხალხის ერთობლიობის ძალას: «На миру и смерть красна», «С миру по нитке – голому рубаха», ჭეშმარიტ მეგობრობასა და სიყვარულს: «Любовь – кольцо, а в кольце нет конца», «Ум – хорошо, а два – лучше», «Не имей сто рублей, а имей сто друзей», «Старый друг лучше новых двух».

ანდაზების ერთერთი მნიშვნელოვანი რჩევა იყო სამშობლოს სიყვარული, მისი ერთგულება: «Всякому мила своя сторона», «На чужой стороне и весна не красна», «Где кто родится, там и пригодится».

ანდაზების სისხარტე და გამომხატველობა სათანადო შეაფასა ა.ს. პუშკინმა. დალისათვის მიწერილ წერილში ის აღნიშნავს: “რა შინაარსი, რა არსი არის ჩადებული ყოველ ხალხურ გამონათქვამში! ოქროს ტოლფასია!” (Новикова 1978:105).

ანდაზების ფასეულობა, ხალხში მათი პოპულარობა პირველ რიგში აიხსნება მათი ღრმა შინაარსით, მათში გადმოცემული აზრების სიბრძნით. მათი ფართო აღიარება განპირობებულია ასევე იმითაც, რომ ანდაზები გადმოცემულია მოკლედ, ხატოვნად და რითმულად. «Красна речь пословицей», ამბობს ხალხი.

კერძო, კონკრეტული მოვლენა ანდაზაში განზოგადოებული ხდება და მიესადაგება ყველა მსგავს მოვლენას. ასე მაგალითად, ანდაზას «Ранняя птица зобок набивает, а поздняя глазки протирает», ისევე როგორც მრავალ სხვას, აქვს როგორც პირდაპირი მნიშვნელობა, ასევე გადატანითი და ხატოვანიც. ანდაზას «Любишь кататься – люби и саночки возить» აქვს შემდეგი შინაარსი: უნდა გიყვარდეს არა მხოლოდ შრომის შედეგი, არამედ თვით შრომაც. ანდაზაში «Цыплят по осени считают» მხედველობაშია ის, რომ შედეგი გვიჩვენებს, რამდენად მიზანშეწონილია ესა თუ ის მოქმედება. ანდაზების ენის ქარაგმულობამ განაპირობა ფოლკლორში გამოყენებადი მხატვრული გამომეტყველებითი ხერხებისა და საშუალებების მრავალფეროვნება.

მრავალ ანდაზაში გამოყენებულია შედარებები, რომლებიც მას უფრო გამომეტყველებითს ხდის: «Живут – как птицы небесные», «Голод – не тетка», «Наговорился – как меду напился», «Ласково слово, как весенний день».

ანდაზებისათვის ასევე დამახასიათებელია პარალელიზმები და ანტითეზები, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ დამრიგებლური თვალსაჩინო დაპირისპირებების ფორმა: «Ученье – свет, а неученье – тьма», «Ржа есть железо, а печаль – сердце», «Молодые растут – старики старятся».

ზოგიერთ ანდაზაში შინაარსი გადმოცემულია მეტაფორულად (В кармане соловье свищут») ან მეტონიმის დახმარებით, როდესაც ერთი სახე გადმოცემს მრავლობით მოვლენას («Один с сошкой, семеро – с ложкой», «У нашего Андрюшки нет ни полушки»). ანდაზებს აქვს გადატანითი სიმბოლური მნიშვნელობა («Яблочко от яблоньки далеко не падает», «От яблони – яблоки, от сосны – шишки»).

ზოგიერთი ანდაზა გამოირჩევა იუმორისტული და ირონიული ხასიათით («Приходите ко мне в гости, когда меня дома нет», «Денег – куры не клюют», «Ушел воз и лошадку увез», «Авось да небось – из головы брось».)

ანდაზებში ხშირად გამოიყენებოდა საკუთარი სახელები საზოგადო მნიშვნელობით («Нашему Ванюшке всегда под ногами камушки», «На бедного Макара все шишки валяются», «Большая Федора да дура») საზოგადო მნიშვნელობა ანდაზებში აქვს ასევე ცხოველებს, რომელთა დახმარებით ხდება ადამიანების თვისებების პირობითი დახასიათება («Хитра лисица – на свой хвост не наступит», «Всякий кулик своё болото хвалит»).

მოკლედ გადმოცემულ და ყოველთვის მხატვრულად დახვეწილ ანდაზურ გამონათქვამებში არ არის არცერთი ზედმეტი სიტყვა, ვინაიდან ყველა სიტყვას აქვს ღრმა მნიშვნელობა, მოსაზრებები გადმოცემულია მკაფიოდ და ლოგიკურად. ეს მიიღწევა არა მხოლოდ ანდაზის სიმოკლით, არამედ მათი მწყობრი კომპოზიციით, რომელიც ემთხვევა მათ სინტაქსურ წყობას. როგორც წესი, ანდაზა ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაწილად იყოფა, რომლებიც ერთმანეთს ეკუთვნის როგორც განსაზღვრება განმსაზღვრელს. მისი პირველი ნაწილი არის ქვემდებარე (განსაზღვრება), მეორე კი – შემასმენელი (განმსაზღვრელი), მაგალითად, «Хлеб да вода – крестьянская еда», «Смелость – города берет». ანდაზების ორთავე ნაწილი ხშირად, გამომეტყველებითობის მიზნით, ერთმანეთისგან გამოიყოფა პაუზით. ანდაზაში შემავალი წინადადება შეიძლება იყოს სხვადასხვა სინტაქსური

ტიპის. გარდა გავრცელებულ განზოგადოებულ-პირადულის («Слезами горю не поможешь»), შედარებითის («Голубы аквамарины, как глаза у Арины») და დაპირისპირებაზე აგებული წინადადებებისა («Красна птица перьем, а человек – уменьем») გვხვდება პირობითი («Был бы лес, будет и леший») და განმარტებითი წინადადებებიც («Дело не волк – в лес не убежит»).

ანდაზების სინტაქსური დანაწევრების სიზუსტე ნარჩუნდება მათში არსებული სინტაქსური პარალელიზმით. თუ კი ანდაზა რამდენიმე წინადადებისგან შედგება, მაშინ ყოველი მისი წყობა თითქმის ერთნაირია, მაგ., «Земля любит навоз, лошадь – овес, а воевода – принос», «Работа денежку копит, а хмель денежку топит».

ანდაზების მხატვრულობა გამოიხატება არა მარტო ხატოვნებით, არამედ მუსიკალური უღერადობით, რითმულობით. თუკი ანდაზის ორთავე ნაწილი შედგება თანაბარი რაოდენობის მარცვლებისა და მახვილებისგან, ის რითმული ხდება, მაგ., «Мели, Емеля – твоя неделя» (ხუთ-ხუთი მარცვალი, ორ-ორი მახვილი), Тише едешь – дальше будешь» (ოთხ-ოთხი მარცვალი, ორ-ორი მახვილი).

ანდაზებში ხშირად გვხვდება ბგერითი განმეორებები – ალიტერაციები (თანხმოვნების განმეორება) და ასონანსები (ხმოვნების განმეორება), რომლებიც სძენენ მას მუსიკალურობას, აღნაგობის სიმეტრიულობას, მაგ., «И честь не в честь, коли нечего есть», «У Фили были, Филю же и побили».

ანდაზების მხატვრული გამომხატველობა რითმაზეც არის დამოკიდებული. რითმის ლექსიკური ფუნქცია იმაშიც მდგომარეობს, რომ ის გამოყოფს ბგერითი განმეორებით დაკავშირებულ სიტყვებს, ამარტივებს ანდაზის დამახსოვრებას: «По платью встречают, а по уму провожают», «Богатый и в будни пирует, а бедный и в праздники горюет», «Мала искра города пожигает, а сама прежде всех погибает».

გვხვდება ანდაზები, სადაც ორი-სამი წყვილი რითმაა: «Шурин глаза щурит, зять любит взять», «Мирская **молва** – что морская **волна**».

ანდაზებში არსებული მეტყველების მკაფიო ბგერითი ორგანიზაციის გამო ფ.ი. ბუსლაევმა ასე განსაზღვრა მათი სპეციფიკა: “ანდაზა შეიქმნა ბგერებისა და აზრის ურთიერთდახმარებით”.

მიუხედავად მათი მხატვრული განუმეორებლობისა, ანდაზები მჭიდროდ არის დაკავშირებული ფოლკლორის სხვა ჟანრებთან. ისინი ხშირად შეიცავენ ზღაპრებს, სიმღერებს, თქმულებებსა და გამოცანებს. ანდაზებს

სხვა უანრებთან აკვშირებს მსგავსი თემატიკა, განსაკუთრებით ხალხური შრომის, საყოფაცხოვრებო და კლასობრივი ურთიერთობის თემები. ზოგიერთი ანდაზა აშკარად გადმოღებულია ზღაპრებიდან და სიმღერებიდან («От радости кудри выются – от горя – секутся», «Битый небитого везет»). ფოლკლორული ნაწარმოებებიდან ანდაზებში შეიძლება გადმოსულიყო ლაკონური, დახვეწილი ფორმის გამონათქვამი, რომელიც შეიცავდა ღრმა შინაარსობრივ დასკვნას. გარდა ამისა, ანდაზები შესაძლოა ყოფილიყო თემატური საფუძველი დიდი ხალხური ნაწარმოებებისა: ზღაპრების, თქმულებების, სიმღერების.

ანდაზების სიმოკლე, სისხარტე, აზრის სიღრმე, მათი მხატვრული გამომხატველობა ყოველთვის იპყრობდა მწერლების ყურადღებას.

რიგი ანდაზა ჩართულია მატიანესა და სხვა ძველრუსულ ნაწარმოებებში (მაგ., «Моление Даниила Заточника»). განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ანდაზებს აქვს იგავ-არაკებთან. მრავალი ანდაზა არის შესული ი.ა. კრილოვის იგავ-არაკებში. სწორედ ამით აიხსნება მათი ფართო გავრცელება. დროდადრო კრილოვი უცვლელად იყენებდა ანდაზებსა და ხალხურ გამონათქვამებს: «Бедность – не порок», «Видит око, да зуб неймет», «Что ты посеял, то и жни». მაგრამ, უფრო ხშირად, ცვლიდა, შემოქმედებითად ამუშავებდა ანდაზებს. მაგ., ანდაზა «Каков поп, таков и приход» კრილოვის შესრულებით ასე ქდერს: «А где пастух дурак, там и собаки дуры». ზოგიერთი ანდაზები კრილოვის მიერ მთელ ნაწარმოებად არის ქცეული; სავარაუდოდ, ანდაზა «Пусти козла в огород» საფუძველად უღევს იგავ-არაკს “სახედარი და გლეხი”.

ანდაზებში გადმოცემული სიბრძნის, მათი შინაარსის და მხატვრული ფორმის შემოქმედებითი გამოყენებით, კრილოვმა შექმნა ანდაზების მსგავსი აფორისტული გამონათქვამები, რომლებსაც იგავ-არაკის ბოლოს ვპოულობთ. კრილოვის მიერ შექმნილი აფორიზმები ხშირად ახალი ანდაზებისა და გამონათქვამების სახით გამოიყენება. მაგ., «А Васька слушает да ест», «А воз и ныне там», «А ларчик просто открывался», «Медвежья услуга», «Слона то я и не приметил», «Услужливый дурак опаснее врага», «Как белка в колесе» და სხვა.

ენის სისხარტე, აფორისტულობა, სახეობითი განზოგადოების ძალა ა.ს. გრიბოედოვის კომედიაში “ვაი ჭკუისაგან” ხელი შეუწვევს იმას, რომ მწერლის მრავალი გამონათქვამი ფართო მასებში პოპულარული გახდა. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: «Счастливые часов не наблюдают», «А

говорит, как пишет», «И дым отечества нам сладок и приятен», «Век нынешний и век минувший», «С корабля на бал» და სხვა.

რიგი ანდაზა თავის ნაწარმოებებში პუშკინმაც გამოიყენა. ანდაზებით გაჯერებულია ემელიანე პუგაჩოვის მეტყველება “კაპიტნის ქალიშვილში”. ნაწარმოების ეპიგრაფში გამოყენებულია ყველაზე ღრმა შინაარსის მქონე ანდაზა «Береги честь смолоду».

პუშკინის ნაწარმოებებიდან წამოსული აფორისტული გამონათქვამები ასევე ფართოდ პოპულარული გახდა: «В Европу прорубить окно», «Любви все возрасты покорны», «Мы все глядим в Наполеоны», «У разбитого корыта».

ანდაზების უანრს თავის შემოქმედებაში მიმართავდნენ მრავალი მწერლები და პოეტები: ნეკრასოვი, სალტიკოვ-შედრინი, ოსტროვსკი, ტოლსტოი, მამინ-სიბირიაკი და სხვა.

ა.მ. გორკი, რომელსაც ღრმად ჰქონდა შესწავლილი ხალხური პოეტური შემოქმედება, ხშირად ურჩევდა მწერლებს მიემართათ ხალხური ენისთვის, დაეფასებინათ ფოლკლორის მხატვრული და იდეური ღირებულებანი. ის წერს, თუ როგორი წვლილი მიუძღვის ანდაზებს მისი სტილის ჩამოყალიბებაში: “მე ბევრი ვისწავლე ანდაზებზე, ანუ, აფორისტულ აზროვნებაზე”. გორკის მიერ არის შექმნილი შესანიშნავი აფორიზმები, მაგ., «Рожденный ползать – летать не может», «Человек – это звучит гордо».

ასე რომ, ანდაზები ძველი დროიდან ამდიდრებდნენ ლიტერატურას, სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებებიდან ისრუტავდნენ ყველაზე საუკეთესო აფორიზმებსა და ანდაზური ტიპის გამონათქვამებს.

საბჭოურმა ეპოქამ, რასაკვირველია, თავისი კვალი დატოვა ანდაზური ტრადიციების ჩამოყალიბებაში. განახლდა ანდაზების თემატიკა და იდეური შინაარსი. შეიქმნა ისეთი ტიპის ანდაზები, როგორიცაა: «Где власть народа, там победа и свобода», «Власть Советская пришла – жизнь по-новому пошла», «Народы Советской страны дружбой и братством сильны».

მრავალი ანდაზა შეიქმნა სამამულო ომის პერიოდში: «Кто за Родину дерется, тому сила двойная дается», «Кто на Советский Союз нападет, тот смерть себе найдет».

ანდაზები, ხალხური სიბრძნის უღვეველი წყარო, ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა მწერლებისა და პოეტების – მაიაკოვსკის, გორკის, შოლოხოვის, ბაჟოვის, ტვარდოვსკის და სხვების შემოქმედებაშიც.

ანდაზების პირველი მცირე კრებულები გამოიცა XVII ს. ხალხური შემოქმედების უცნობი თაყვანისცემლების მიერ. ჩვენამდე მოღწეული პირველი კრებულის «Повести или пословицы всенароднейшие по алфавиту» ავტორი აღნიშნავს, რომ კრებულში შესულია ანდაზები, რომლებიც ასი წლით ადრე იყო ცნობილი. კრებულში ჩართულია 2786 ანდაზა და ანდაზური გამონათქვამი. ანდაზების ჩანაწერის პირველი კრებული გამოქვეყნდა 1899 წ. პ. კ. სიმონის 1. მიერ (Симони 1899).

ანდაზების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა გამოქვეყნებულია XVIII ს. ბოლოს მაშინდელი გამომცემლებისა და მეცნიერების მიერ. ისინი ქვეყნდებოდა მ. დ. ჩულკოვის ჟურნალების «И то и се» და «Парнасский щепетильник»-ის ფურცლებზე უკვე XVIII ს. მეორე ნახევარში. 1769 წელს ნ. გ. კურგანოვმა გამოაქვეყნა ათასამდე ანდაზა თავის ცნობილ «Письмовник»-ში, ანუ ფართო წრეებისთვის განკუთვნილ მაგიდის საცნობარო წიგნში («Российская универсальная грамматика, или Всеобщее письмословие»). კურგანოვის საქმე გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ა. ბარსოვმა, რომელმაც ერთი წლის თავზე ანონიმურად გამოსცა კრებული, სადაც შევიდა 4291 ანდაზა. ორთავე კრებულს პროგრესიული ხასიათი ჰქონდა.

1785 წელს გამოიცა პოეტ ი. ფ. ბოგდანოვიჩის «Русские пословицы, собранные Ипполитом Богдановичем», მაგრამ ბოგდანოვიჩის მიერ გამოცემული ანდაზები არ არის ყურადსაღები, ვინაიდან მათი ფორმა და შინაარსი შეცვლილია მაშინდელი ოფიციალური წრეების გულის მოსაგებად.

1810 წელს ცნობილმა მეცნიერმა ა. ხ. ვოსტოკოვმა შეადგინა 1000-ანდაზიანი კრებული, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამოიცა. 1822 წ. მიეკუთვნება კრებული «Полное собрание русских пословиц и поговорок, расположенное по азбучному порядку», რომელიც გამოიცა დ. კ. კნიაჟევიჩის მიერ. მასში დაბეჭდილია 5000-მდე ანდაზა.

1816 წ. გამოქვეყნდა ა. ფ. რისტერის, მაშინდელი პროგრესიული ლიტერატორის, პირველი გამოკვლევები ანდაზებისა და ხალხური გამონათქვამების შესახებ. მასში გამოთქმულია აზრები, რომ ანდაზები და ხალხური გამონათქვამები ასახავს ხალხის მსოფლმხედველობას, მის ფიქრებსა და განცდებს.

XIX ს. 20-ანი წლებიდან ანდაზების და ხალხური გამონათქვამების უდიდესი მკვლევარი და შემგროვებელი ხდება ი. მ. სნეგირიოვი, რომელმაც პირველმა დაიწყო ანდაზების ტერიტორიული გაგრძელების შესწავლა,

ცდილობდა დაემტკიცებინა მათი წარმოშობა, უკავშირებდა მათ ადამიანური საზოგადოების ისტორიას. 20-იან წლებში სნეგიროვმა გამოსცა რამდენიმე სტატია («Опыт рассуждения о русских пословицах», 1823; «О пословицах вообще и особенно о русских», 1829; «Замечания о русских пословицах, сходных с греческими и римскими», 1828; «О народных русских пословицах, относящихся к законодательству и старинным судебным обычаям», 1830). სნეგიროვმა ამის შემდეგ გამოსცა დიდი კრებული «Русские в своих пословицах» (1831-1834), მოგვიანებით კი - «Русские народные пословицы и притчи» (1857) და «Новый сборник пословиц и притч» (1857). სულ სნეგიროვის გამოკვლევები და კრებულები შეიცავს 10 000 –ზე მეტ ანდაზას და ხალხურ გამონათქვამს. XIX ს. პირველ ნახევარში სნეგიროვის ნაშრომები იყო ანდაზების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები და პუბლიკაციები.

რუსული ანდაზების ყველაზე დიდი კრებულია ცნობილი რუსი ფოლკლორისტიკოსი და მწერლის ვ. ი. დალის მიერ შედგენილი «Пословицы русского народа». კრებულში შესულია 25 000-მდე ანდაზა. რუსეთის სხვადასხვა კუთხეში მის მიერ მოპოვებულ ანდაზებს დაღმა მიუმატა გარკვეული რაოდენობის ანდაზები ბეჭდვითი წყაროებიდან.

დალის კრებულის გამოცემა დიდ ხანს ფერხდებოდა, რადგანაც ამას ხელს უშლიდნენ გარკვეული ოფიციალური და საეკლესიო წრეები. ის მხოლოდ 1861 წ. გამოიცა «Чтения Общества истории древностей российских при Московском университете»- ში.

60-იან წლებში ანდაზების შესწავლასა და შეგროვებაში დიდი წვლილი შეიტანეს რევოლუციურმა დემოკრატებმა ნ.ა. დობროლიუბოვმა და ნ.გ. ჩერნიშევსკიმ. ისინი მოუწოდებდნენ საზოგადოებას ზეპირი პოეტური ხელოვნება შეესწავლათ როგორც ხალხის ისტორიის მნიშვნელოვანი მხატვრული მატრიანე. რევოლუციური დემოკრატები გამოდიოდნენ მითოლოგიური სკოლის წინააღმდეგ, რომელიც არ ითვალისწინებდა ანდაზური ჟანრის კავშირს თანამედროობასთან და ამით არღვევდა მის ისტორიულ ევოლუციას. ამაზე საუბარი დობროლიუბოვის მიერ გამოქვეყნებულ რეცენზიაში «Заметки и дополнения к сборнику г. Буслаева» ბუსლაევის კრებულთან დაკავშირებით. დობროლიუბოვი თვითონაც აგროვებდა ანდაზებს, რომელთა სრული კრებული 1961 წ. გამოცა სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიამ.

XIX ს. მეორე ნახევარში ანდაზების შესწავლა და შეგროვება განაგრძეს ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მიმდევრებმა. ყველაზე ცნობილი იყვნენ პ. ნ. რიბნიკოვი, ი. ა. ხუდიაკოვი, და პ. ს. ეფიმენკო, რომლებიც ანდაზებს უშუალოდ ხალხის სიტყვებიდან იწერდნენ. მათი ნაშრომებია: პ. ნ. რიბნიკოვის სტატია – «Быт русского народа в его пословицах» (1859) და ი. ა. ხუდიაკოვის ნაშრომები – «Русская книжка» და «Древняя Русь».

ამ პერიოდში გამოიცა ანდაზების და ხალხური გამონათქვამების მრავალი კრებული. გარდა ამისა, ანდაზები იბეჭდებოდა “გუბერნსკი ვედომოსტებში”.

XIX ს. ბოლოს - XX ს. დასაწყისში ანდაზების შესწავლით და შეგროვებით დაკავებული იყო მეცნიერები ვ. ნ. პერეტცი, პ. კ. სიმონი, მ. ნ. სპერანსკი.

დიდი გავლენა ანდაზების შესწავლაზე მოახდინა ა. მ. გორკიმ, რომელიც თვლიდა მათ რუსული ენის შესწავლის უძვირფასეს მასალად. ის წერდა: “ანდაზები და ხალხური გამონათქვამები გამოხატავს ხალხის მასების აზროვნებას განსაკუთრებით დამრიგებლური სისავსით, და დამწყები მწერლებისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა ამ მასალის გაცნობა” (Горький: 1934:492). ა. მ. გორკი საბჭოთა დროს იყო ანდაზების შეგროვების ინიციატორი.

ანდაზების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მეცნიერებს. ვ. პ. ადრიანოვა-პერეტცის ნაშრომებში «К истории русской пословицы» (1934), «Очерки по истории русской сатирической литературы XVII века» (1937), «Народное поэтическое творчество времени крестьянских и городских восстаний XVII века» (1953), «Пословицы и поговорки» (1957) გამოკვლეულია ანდაზების წარმოშობა და განვითარება, გახსნილია ამ ჟანრის მხატვრული თავისებურება.

მრავალი სტატია ანდაზებისა და ხალხური გამონათქვამების შესახებ დაწერილი აქვს მ. ა. რიბნიკოვას, მაგ., «Работа над словом», «Пословицы», «Русская поговорка» (1939). 1961 წელს გამოქვეყნდა მ. ა. რიბნიკოვას კრებული «Русские пословицы и поговорки», რომელიც დიდ ფასეულობას წარმოადგენდა.

ანდაზების შესწავლას უკავშირდება სხვადასხვა მეცნიერების ვ. ი. ჩიხეროვის, ნ. ვ. ვოდოვოზოვის, ა. მ. ჟიგულიოვის სტატიები.

1957 წ. გამოიცა ნ. პ. კოლპაკოვას, მ. ი. მელცისა და გ. გ. შაპოვალოვას კრებული «Избранные пословицы и поговорки русского народа». 1961 წელს

გამოიცა სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის კრებული «Пословицы, поговорки, загадки в рукописных сборниках XVIII-XX веков».

მეცნიერების მუშაობა ანდაზების შეგროვებასა და შესწავლასთან დაკავშირებით დღემდე გრძელდება.

თავი II

კულტურული ღირებულებების არსი და მათი ადგილი კულტურათმცოდნეობის კომუნიკაციაში

II.I. კულტურა და მისი ღირებულებები პარემიოლოგიური სისტემის მაგალითზე

ყველა ბავშვი ადრეული ასაკიდან ეუფლება მშობლიურ ენას და ითვისებს იმ კულტურას, რომელსაც ის ეკუთვნის. ეს ხდება ახლო და უცხო ხალხთან ურთიერთობის პროცესში, შინაურ გარემოში, ვერბალური და არავერბალური ურთიერთობების საშუალებების დახმარებით. ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ადამიანი თვითონ განსაზღვრავს საგნების სარგებლობას თუ მავნებლობას გარემომცველი სამყაროს ისეთი მოვლენების გათვალისწინებით, როგორცაა: სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტება და სამართლიანობა... ფასეულობების კატეგორია ადამიანის გონებაში წარმოიქმნება სხვადასხვა მოვლენის შედარების გზით. სამყაროს გააზრების შედეგად ის თვითონ წყვეტს რა არის მისთვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და რა – არა, რა არის არსებითი და რა – უმნიშვნელო, რის გარეშე შეძლებს ის და რის გარეშე ვერ შეძლებს არსებობას. სწორედ ასეთი შეფასებების შედეგად ფორმირდება ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, რომლის შესაბამისად ყველა საგანი და მოვლენა მის მიერ განიხილება იმ კატეგორიებით, რომელიც მნიშვნელოვანი და ვარგისია მისი ცხოვრებისათვის. თითოეული ობიექტი იღებს საკუთარ შეფასებას და წარმოადგენს გარკვეულ ფასეულობას, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ურთიერთობა მის მიმართ, შედეგი კი ფორმირდება ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულება სამყაროსთან, რომლის პროცესში ესა თუ ის მოვლენა იძენს გარკვეულ აზრს და მნიშვნელობას.

ღირებულებები დიდ როლს თამაშობს როგორც ცალკეული ინდივიდის ცხოვრებაში, ასევე მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაში. ამის შესაბამისად ხდება ინფორმაციის შერჩევა ურთიერთობის პროცესში, ყალიბდება სოციალური ურთიერთობები, ფორმირდება ეფექტები (ემოციები და გრძნობები), ურთიერთმოქმედების უნარ-ჩვევები და ა. შ. ამგვარად, ღირებულება არა ნივთი, არამედ დამოკიდებულებაა ნივთების, მოვლენების და პროცესის მიმართ. ღირებულებებს გააჩნიათ უზარმაზარი მნიშვნელობა ნებისმიერ კულტურაში, რამეთუ ისინი განსაზღვრავენ ადამიანის მიმართებას

ბუნებასთან, სოციუმთან, უახლოეს წრესთან და საკუთარ თავთან. ამგვარი განმარტების საფუძველზე ქ. კლაჰონმა და ფ. სტროდბექმა ღირებულებები განსაზღვრეს როგორც „რთული, განსაზღვრული სახით დაჯგუფებული პრინციპები, რომლებსაც ადამიანის გონებასა და მოქმედების მოტივებში შეაქვთ სხვადასხვა მიმართულება საერთო ადამიანური პრობლემების გადაწყვეტის დროს“ (Kluckhohn, Strodtbeck 1961:157).

ადამიანის გონებაში ერთდროულად მრავალი ღირებულება არსებობს, ამიტომ სრულიად სამართლიანია ჩამოვყალიბდეთ ღირებულებების სისტემაზე, ვინაიდან ღირებულებები არსებობენ არა ქაოსურად, არამედ გარკვეული თანმიმდევრობით ერთმანეთის მიმართ. გარემომცველი სამყაროს ათვისებისას ადამიანი ეყრდნობა მის კულტურაში არსებულ ტრადიციებს, ნორმებს, წეს-ჩვეულებებს და თანდათანობით აყალიბებს საერთოდ მიღებული ღირებულებების სისტემას, რომლითაც შემდგომ ის ხელმძღვანელობს ცხოვრებაში. ამის საფუძველზე ყოველ კულტურაში ყალიბდება საკუთარი ღირებულებათა სისტემა, რომელიც ასახავს მის სპეციფიურ მდგომარეობას სამყაროში. ღირებულებების სისტემა ჩვეულებრივ წარმოადგენს იერარქიას, რომელშიც ღირებულებები განლაგდებიან იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო მნიშვნელოვანი. ამ სისტემის წყალობით იქმნება მოცემული კულტურის ერთიანობა, მისი უნიკალური სახით, წესრიგის აუცილებელი თანმიმდევრობითა და პროგნოზირებით.

თუ ღირებულებას განვიხილავთ ისე, როგორც ადამიანისთვის და საზოგადოებისთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, მაშინ ამ განსაზღვრებას ენიჭება სუბიექტური შინაარსის მატარებლის როლი, ვინაიდან სამყაროში არ არსებობს ყველასათვის ერთნაირად მნიშვნელოვანი მოვლენები გამონაკლისის გარეშე. ღირებულებების დახარისხების საფუძველზე გამოიყოფა პირადი ხასიათის ღირებულებები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული სქესისა და ასაკისათვის, ადამიანთა დიდი და პატარა ჯგუფისთვის, სხვადასხვა ეპოქებისა და სახელმწიფოებისთვის და ა. შ. ადამიანთა საერთო ღირებულებების ჩათვლით. ამ მიზნით მეცნიერებაში მიღებულია კულტურული ფასეულობების სისტემურობა, რომელიც ორი ჯგუფისაგან შედგება. პირველ ჯგუფში შეტანილია ინტელექტუალური, მხატვრული და რელიგიური სახის რიგი ცნობილი ნაწარმოებებისა. ამავე ჯგუფში წარმოდგენილია ცნობილი არქიტექტურული შენობა-ნაგებობები, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული

რარიტეტები. მეორე ჯგუფის კულტურული ღირებულებების ჯგუფს მიაკუთვნებენ ადამიანების გამართლებული და პრაქტიკაში დანერგილი ერთობლივი არსებობის ეფექტური პრინციპები: ადათ-წესები, ტრადიციები, ქცევისა და შეგნების სტერეოტიპები, შეფასებები, აზრები, ინტერპრეტაციები და სხვა, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების ინტეგრაციას, ურთიერთგაგების ზრდას ადამიანებს შორის, მათ კომპლიმენტარულობას, სოლიდარობას, ურთიერთდახმარებას და ა. შ. კულტურული ფასეულობების ორივე ჯგუფი პრაქტიკულად შეადგენენ ნებისმიერი კულტურის „ბირთვს“ და განსაზღვრავენ მის განუმეორებელ ხასიათს.

ე. ტაილერი, რომელიც კულტურის ცნების პირველი მეცნიერული განსაზღვრების ავტორადაა მიჩნეული, ხაზს უსვამს კულტურის სოციალურ ბუნებას. მისი სიტყვებით, „კულტურა შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევისგან, რომლებიც შექმნილია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიერ“ (Tyler 1988:6).

საერთაშორისო კულტურული კონტაქტების დროს აღმოჩენილია სხვაობა იმ კუთხით თუ როგორ აღიქმება ერთი და იგივე ფასეულობები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. მრავალფეროვანი აღქმის კოლოსალურ რიცხვს განეკუთვნებიან ისეთი ჯგუფები, რომლებიც ემთხვევიან ერთმანეთს შეფასების ხასიათებით და შინაარსობრივად. ამგვარმა ღირებულებებმა მიიღეს უნივერსალური, ანუ ზოგადსაკაცობრიო სახელწოდება. მათი უნივერსალურობა განპირობებულია იმით, რომ ასეთი ღირებულებების ძირითადი მონაცემები ბაზირებულია ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებაზე და სოციალური ურთიერთობების საყოველთაო თვისებებზე. მაგალითად, სამყაროში არ არსებობს ერთი ისეთი კულტურა, სადაც დადებითად არის შეფასებული მკვლელობა, სიცრუე და ქურდობა. ყველა კულტურაში არსებობს ამ მოვლენების მხოლოდ საკუთარი ტოლერანტულობის საზღვრები, მაგრამ მათი საერთო ნეგატიური შეფასება ერთმნიშვნელოვანია.

თუ კულტურას განვიხილავთ როგორც ფასეულობების სისტემას, ლოგიკურია დავსვათ კითხვა მათი არსებობის ფორმებზე და გავრცელების სფეროებზე. კულტურულ ანთროპოლოგიაში მიღებულია კულტურული ღირებულებების ოთხი ძირითადი სფეროს გამოყოფა: საყოფაცხოვრებო, იდეოლოგიური, რელიგიური და მხატვრული კულტურული ფასეულობა.

კულტურათმორისი კომუნიკაციის კონტექსტში ამ სფეროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია საყოფაცხოვრებო სფერო, რომელიც წარმოადგენს კულტურული ფასეულობების არსებობის და მათი წარმოშობის ისტორიულად პირველ სფეროს.

მიუხედავად იდეოლოგიის, რელიგიის და ხელოვნების არსებობისა, საყოფაცხოვრებო კულტურა დღესაც წარმოადგენს პიროვნების ჩამოყალიბების ხელისშემწყობ პირობას, რადგან ეს ჩამოყალიბება ჯერ კიდევ ბავშვობიდან იწყება, როდესაც ადამიანს არ შეუძლია აითვისოს იდეოლოგიური, რელიგიური და ხელოვნების კულტურული ფასეულობები. საყოფაცხოვრებო კულტურის სპეციფიკა წარმოდგენილია იმ ფასეულობების სახით, რომელიც მნიშვნელოვანია კულტურათმორისი კომუნიკაციისთვის. სწორედ ყოფაცხოვრებაა კულტურის ისტორიული მეხსიერების შემნახველი, ვინაიდან ის უფრო მნიშვნელოვნად მყარია იდეოლოგიაზე და რელიგიაზე და ცვალებადობას უფრო ნელა განიცდის, ვიდრე ისინი. ამიტომ, სწორედ საყოფაცხოვრებო კულტურა შეიცავს „მუდმივ“ ზოგადსაკაცობრიო და ეთიკურ ღირებულებებს. გარდა ამისა, სწორედ საყოფაცხოვრებო ღირებულებები წარმოადგენენ იდეოლოგიის, რელიგიის და ხელოვნების არსებობის საფუძველს. საყოფაცხოვრებო კულტურის ნორმები და ღირებულებები თვითდაკმაყოფილებადია, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს, რომელიც ხელმძღვანელობს სიცოცხლეში მხოლოდ საყოფაცხოვრებო კულტურული ღირებულებებით, შეუძლია გამოიმუშავოს ცხოვრებისთვის მდგრადი ისეთი ორიენტირები, რომ იარსებოს შესაბამისი კულტურის პირობებში. საყოფაცხოვრებო კულტურას ენიჭება დამატებითი მნიშვნელობა კულტურათმორისი კომუნიკაციის დროს, რაც მას სტიქიურ ხასიათს ანიჭებს. საყოფაცხოვრებო კულტურული ღირებულებები წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო პრაქტიკის პროცესში და აქვს უტილიტარული მიმართულება. ეს ღირებულებები არ საჭიროებენ დასაბუთებასა და დამტკიცებას, ხოლო მოცემული კულტურის მატარებლები მათ აღიქვამენ, როგორც ბუნებრივ პროცესს, რომელიც თავის მხრივ საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი გახდეს ამ კულტურის ნაწილი.

კულტურული ფასეულობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში იძენს სხვადასხვა მნიშვნელობას. ამიტომაც ერთი რიგი ადამიანებისა მომხრე არიან კოლექტიური ფასეულობებისა, ხოლო მეორენი – ინდივიდუალურის. ასე, მაგალითად, ამერიკაში ადამიანი

უპირველეს ყოვლისა ინდივიდია, ხოლო შემდეგ სოციუმის წევრი, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში, მაგალითად, იაპონიაში, ადამიანი, პირველ რიგში სოციუმის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო შემდეგ – ინდივიდს. როდესაც ხალხი ასეთი სხვადასხვა ორიენტაციით შედიან ურთიერთობაში, განსაკუთრებით კი საქმიან ურთიერთობაში, ხშირად იქმნება გაურკვეველი სიტუაცია. მაგალითად, ამერიკელები იაპონელებთან საქმიანი მოლაპარაკების დროს სპეციალურად ამ მოლაპარაკებისთვის ნიშნავენ თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელია ამ მოლაპარაკების წარმოებას და შედეგზე და თუ მან საქმეს წარმატებით გაართვა თავი, ის შესაბამისად, წახალისებული იქნება მატერიალური კომპენსაციით, მაშინ როცა იაპონიაში ამგვარი პროცესუალური აქტი შეუძლებელია, ვინაიდან სრული პასუხისმგებლობა საქმის წარმოებაზე ეკისრება მთლიან კოლექტივს და არა კონკრეტულ პიროვნებას. ამიტომაცაა, რომ იაპონიაში აქცენტი კეთდება არა ინდივიდზე, არამედ მთლიან მასაზე.

თუ რომელი ღირებულებებია ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ან რომელი ახდენს ადამიანზე დიდ გავლენას და რომელი არ დგას ყურადღების ცენტრში – დამოკიდებულია თვით კულტურაზე. მათი სტრუქტურა და მნიშვნელობა განსაზღვრავენ კულტურის თავისებურებას და განსაკუთრებულობას. კულტურის თავისებურების დიდი ნაწილი, როგორც წესი, არ აღიქმება და არ გაიაზრება თავისთავად. საკუთარი კულტურის ღირებულებათა აღქმა შესაძლებელია სხვა კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობის პროცესში, როდესაც ადგილი აქვს სხვადასხვა კულტურათა ურთიერთქმედებას და თვალსაჩინოა სხვაობა მათ ღირებულებით ორიენტაციებში. სწორედ ამ ურთიერთმოქმედების პროცესში წარმოიქმნება ისეთი სიტუაციები, როგორებიცაა: გაუგებრობა, დაბნეულობა, უძღურება და გაღიზიანება, რომელიც თავის მხრივ იწვევს წყენას, გაბრაზებას და შეურაცხყოფას.

კულტურათშორისი კომუნიკაციის სპეციალისტები გვთავაზობენ იმ საფეხურებს, რომელსაც პიროვნება აკულტურაციის პროცესში გადის, ესენია:

- უარყოფა (განმარტობა, განცალკევება) >
- დაცვა (დისკრედიტაცია, უპირატესობა, ანუღირება) >
- მინიმიზაცია (ფიზიკური უნივერსალიზმი, უჩვეულო უნივერსალიზმი) >

- მიღება (ქცევითი განსხვავებების პატივისცემა, განსხვავებული ღირებულებების პატივისცემა) >
- ადაპტაცია (ემპათია, პლურალიზმი) >
- ინტეგრაცია (კონტექსტური განსაზღვრა, კონსტრუქციული მარგინალობა). (Bennett 1993:29).

კულტურათშორის კონტაქტებში გაუგებარი სიტუაციების გამორიცხვა და დადებითი შედეგების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორის ფასეულობითი ორიენტაციის განსაკუთრებულობის ცოდნაზე დაყრდნობით. ეს ცოდნა ეხმარება ადამიანს განსაზღვროს პარტნიორის საქციელი, მიზნები, სურვილები. ის უზრუნველყოფს ურთიერთობის წარმატებას უცნობ ადამიანებთანაც კი. მაგალითად, ამერიკელმა სტუდენტმა გაიცნო არაბი გოგონა, რომელიც ამერიკაში ჩამოვიდა სასწავლებლად თავის ძმასთან ერთად. დაუშვათ, ახალგაზრდამ იცის არაბი საზოგადოების ღირებულებები, ამ შემთხვევაში მან იცის, რომ არაბი მამაკაცი თავის ვადად თვლის დაიცვას თავისი დის ღირსება. გოგონასთან ურთიერთობის დროს მინიშნებაც არ უნდა იყოს შესაძლებელი სექსუალურ ურთიერთობაზე. მაგრამ თუ ახალგაზრდას წარმოდგენა არა აქვს არაბეთის კულტურულ ფასეულობებზე, ის არ დამალავს რომ მას მოსწონს გოგონა და თავისი გულახდილი მინიშნებებით დიდ შეურაცხყოფას მიაყენებს ძმას.

ტერმინის „კულტურა“ მრავალრიცხოვანი განსაზღვრება, რომელიც არსებობს მეცნიერებაში, გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ მთავარი. კულტურა – ეს ადამიანის არსებითი დახასიათებაა, რომელიც დაკავშირებულია თავისი ადამიანური თვისებებით გარემომცველი სამყაროს მიზანმიმართულ გარდაქმნასთან, რომლის პროცესშიც იქმნება საგნებისა და სიმბოლოების ხელოვნური სამყარო და ასევე კავშირი და ურთიერთობა ადამიანებს შორის. ის, რაც შექმნილია ადამიანის ხელით ან უშუალოდ ეხება მას, ითვლება კულტურის ნაწილად. კომუნიკაცია და ურთიერთობა ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ე. ი. კულტურის ნაწილიც. ბევრი მეცნიერი აღნიშნავს რა მის მნიშვნელობას, კულტურას ადარებს ურთიერთობას (კომუნიკაციას). გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი, კულტურათშორისი კომუნიკაციების სპეციალისტი ე. ჰოლი ამტკიცებს, რომ კულტურა – ეს არის კომუნიკაცია, ხოლო კომუნიკაცია – ეს არის კულტურა. ასეთი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ბევრი დასავლელი მეცნიერი კულტურას გამოხატავს აისბერგის სახით, რომელსაც საფუძვლად

უდევს კულტურული ფასეულობები და ნორმები, ხოლო მის მწვერვალს ადამიანის ინდივიდუალური ქცევა წარმოადგენს, რომელიც ბაზირებულია მათზე და გამოსატულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში (Грушевицкая 2003:81).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პატარა ბავშვი ჩამოყალიბდება მხოლოდ უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობის პროცესში. მხოლოდ ურთიერთობის პროცესში აღწევს ის ინკულტურაციას და სოციალიზაციას, ხდება თავისი ხალხისა და კულტურის წარმომადგენელი. მხოლოდ ურთიერთობის დროს შეუძლია ადამიანს შეუფარდოს საკუთარი საქციელი სხვა ადამიანების მოქმედებას და მათთან ერთად შექმნას ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმი – სოციუმი. სოციალური ურთიერთმოქმედების პროცესში ამა თუ იმ კულტურის ნორმები, ღირებულებები და ინსტიტუტები იძენენ საკუთარ მდგრადობას. სწორედ ურთიერთობა თავისი ყველა ფორმით (ვერბალური და არავერბალური), სახეობის (ფორმალური და არაფორმალური), ტიპების (პიროვნებათშორისი, ჯგუფთაშორისი კულტურათშორისი) გამოვლინებით სრულად განიხილავს ადამიანური საზოგადოების სპეციფიკას.

კომუნიკაციის ყოველი კონკრეტული აქტი განისაზღვრება მოსაუბრეების კულტურული განსხვავებულობით. კულტურული განსხვავებულობის სპეციფიკიდან გამომდინარე კულტურათშორის კომუნიკაციაში განასხვავებენ კულტურის კოლექტიურ და ინდივიდუალურ სახეობებს. კოლექტიური კულტურა გავრცელებულია უმეტესად აღმოსავლეთის ხალხებს შორის, სადაც მთავარ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს კოლექტიურობა. მოცემული კულტურის სახე გავრცელებულია იაპონიის, ჩინეთის და რუსეთის ხალხებში და აფრიკის უმეტეს ქვეყნებში. ამ კულტურის წარმომადგენლები ხშირად იყენებენ ნაცვალსახელს „ჩვენ“, მაშინაც კი, როდესაც საკუთარ აზრს გამოსატავენ. ადამიანი, რომელიც განეკუთვნება ინდივიდუალისტურ კულტურას, ეს გამოთქმა მის მიერ გაგებული იქნება, როგორც კოლექტივის საერთო აზრი და არა, როგორც მოლაპარაკის პირადი აზრი. კოლექტიური კულტურის წარმომადგენლები ხშირად იფიქვებენ პირად ინტერესებს, რათა წარმატებულად განახორციელონ პიროვნებათშორისი ურთიერთმიმართებები. ადამიანი ასეთ კულტურაში შეფასებულია იმის მიხედვით, თუ როგორ განახორციელა მან კონტაქტი სხვა ადამიანებთან და

ამ თვისებების მიხედვით ფასდება მისი ხასიათი და კომპეტენცია (Грушевицкая 2003:81).

ტრადიციულ ჩინურ საზოგადოებაში ზუსტად არც კი არის სიტყვა, რომელიც გადმოსცემს „პიროვნების“ ადეკვატურ განსაზღვრებას, რომელიც თავის მხრივ ფართოდაა გავრცელებული დასავლეთის კულტურებში. იაპონელებისთვის მცნება „ინდივიდი“, პირველ რიგში გულისხმობს მთელი ჯგუფის, როგორც ნაწილის არსებობას. როდესაც იაპონური ოჯახის წევრები ესაუბრებიან ერთმანეთს, ისინი სახელით კი არ მიმართავენ ერთმანეთს, არამედ ტერმინებით, რომელიც მიანიშნებენ კონკრეტული ადამიანის სტატუსზე ან მდგომარეობაზე ჯგუფში (მაგალითად, რძალი). როდესაც ვაჟი იკავებს ოჯახში გარდაცვლილი მამის ადგილს, მას ყველა მამას ეძახის, საკუთარი დედაც კი.

იაპონიაში საერთოდ, არსებობს რწმენა, რომ კოლექტივი, ჯგუფი – ყველაზე მდგრადი და მუდმივია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენებიდან. ყოველი ცალკეული ინდივიდი ჯგუფში მისი დროებითი ნაწილია და ამიტომ მას არ შეუძლია იარსებოს ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ამასთანავე, ადამიანი საკუთარი ნებით ემორჩილება ამ ჯგუფს. ჯგუფში პიროვნების ინდივიდუალური განვითარება ხდება მისი ადგილის მოპოვების ხარჯზე. ნებისმიერი ჯგუფური წარმატება ვრცელდება ჯგუფის ყველა წევრზე. ამიტომაცაა, რომ იაპონელებისთვის გაუგებარია ამერიკელების ღირებულებები, რომლებიც დინამიური არიან თავიანთ ჯგუფურ ურთიერთმიმართებებში. ისინი მუდმივად წარმოქმნიან სხვადასხვა ჯგუფებს, გადადიან ერთი ჯგუფიდან მეორეში და ცვლიან საკუთარ წარმომადგენლებს. იაპონელებისთვის ჯგუფის დატოვება ნიშნავს იდენტურობის დაკარგვას. იქ, როგორც კი ადამიანი საწარმოს მუშაკი ხდება, ამავდროულად ჯგუფის შემადგენელ ნაწილად გვევლინება და ცხოვრების ბოლომდე ინარჩუნებს ამ სტატუსს. ახალი მუშაკი იმყოფება ადრე მოსულების დაქვემდებარებაში და შესაბამისად, მას ემორჩილებიან ის ადამიანები, რომლებიც მოვლენ მოგვიანებით. იაპონიაში ადამიანის მთელი ცხოვრება დაკავშირებულია საწარმოსთან, რომელიც წარმოადგენს მისთვის კულტურული და სოციალური ცხოვრების ცენტრს. თავისუფალ დროს ყველა მუშაკი ერთად ატარებს, შეგებულებასაც ერთად ატარებენ დასასვენებელ სახლში, პირადი ცხოვრების სიეთი მოვლენები, როგორებიცაა ქორწილი ან განქორწინება, ასევე მთელი კოლექტივის მზრუნველობის საგანია.

და პირიქით, ინდივიდუალურ კულტურებში აქცენტი პიროვნებაზე კეთდება და მათში მთავარ ფასეულობად ინდივიდუალურობა ითვლება. ასეთი ორიენტაცია უპირატესად გავრცელებულია დასავლეთის კულტურებში. იქ ყველა ადამიანს გააჩნია საკუთარი პრინციპები და რწმენა. ამ კულტურებში ადამიანის ქცევები მიმართულია საკუთარ თავზე. ინდივიდუალურობა ამერიკელთა ქცევების დამახასიათებელი ნიშანია. იაპონური კულტურის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, რომლებიც ცდილობენ იყვნენ შეუმჩნეველები, ამერიკელები თვლიან, რომ მათი ქცევები უნდა გამოიჩინოდეს ისეთი თვისებით, როგორცაა თავდაჯერებულობა და სწორედ ამ თვისებას მოაქვს მათთვის წარმატება და აღიარება საზოგადოებაში.

კანონზომიერია ის, რომ ესა თუ ის კულტურის სახეობა წარმოქმნის ურთიერთობებს საკუთარ ტიპს. ასე რომ, კოლექტიური კულტურის წარმომადგენლები ცდილობენ გაექცნენ პირდაპირ ურთიერთმოქმედებას და აქცენტირებას ახდენენ კომუნიკაციის არავერბალურ საშუალებებზე, რომლებიც მათი აზრით, დაეხმარება უკეთ გაერკვნენ მოსაუბრეების ქცევების მიზეზებში თუ მიზნებში, გაარკვიონ მისი დამოკიდებულება მათთვის საინტერესო საგნებისა თუ მოვლენების მიმართ. თავის მხრივ, ინდივიდუალური კულტურის წარმომადგენლებს ურჩევნიათ ურთიერთობის პირდაპირი ფორმები და კონფლიქტის მოგვარების ღია ხერხები. ამიტომ, კომუნიკაციის პროცესში ისინი უპირატესობას ანიჭებენ ვერბალურ საშუალებებს.

ურთიერთობა ხდება სამ დონეზე: კომუნიკაციურ, ინტერაქტიულ და პერცეფციულ დონეებზე. **კომუნიკაციური** დონე გულისხმობს ურთიერთობას ენისა და კულტურული ტრადიციების საშუალებებით, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ხალხებისათვის. ამ დონის შედეგს წარმოადგენს ადამიანებს შორის ურთიერთგაგება. **ინტერაქტიული** დონე – ეს არის ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანებს პიროვნულ ხასიათს, რომლის საშუალებითაც ყალიბდება გარკვეული ურთიერთობები ადამიანებს შორის. **პერცეფციული** დონე რაციონალურ საფუძველზე ხალხის ურთიერთობის, შეცნობის და დაახლოების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი დონე ითვალისწინებს პარტნიორების მიერ ერთმანეთის აღქმის პროცესს და შეხვედრის კონტექსტის განსაზღვრას. პერცეფციული უნარები გამოვლინდება ასევე საკუთარი გრძნობების მართვის უნარში, პარტნიორების

განწყობის „წაკითხვაში“ ვერბალური და არავერბალური მახასიათებლების მიხედვით, აღქმის ფსიქოლოგიური ეფექტების გაგებაში და მათ გათვალისწინებაში არასწორი გამოყენებისას მსგავსი შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით (Грушевицкая 2003:83).

კულტურათმორისი კომუნიკაციის განხილული საკითხები გვაძლევს ფაქტების კონსტატირების საშუალებას იმ თვალსაზრისით, რომ კულტურათმორისი კომუნიკაცია იწყება რეალური ფაქტების უბრალო გააზრებით იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ხალხებს შორის არსებობს კულტურული განსხვავებულობა. აქედან გამომდინარე, მათი ურთიერთობის მთავარ მიზანს კულტურათმორისი განსხვავებულობის გადალახვა წარმოადგენს.

განსხვავებულობის არსებობის აღიარება გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია საკუთარი წესები და სოციალური ნორმები, აზროვნებისა და ქცევის მოდელები, რომლებიც განსხვავებულად ადამიანებს ერთმანეთისგან. ურთიერთობის პროცესი დამოკიდებულია იმაზე თუ ადამიანი როგორ აღიქვამს ამ განსხვავებულობას. სირთულეებისა და უხერხული მდგომარეობების მიმართ შიში შეიძლება იყოს მიზეზი იმისა თუ რატომ გაურბის ადამიანი კულტურათმორის კომუნიკაციას და კონტაქტებს. მაგრამ სპეციალისტისთვის, რომელიც სპეციალიზირებულია კულტურათმორისი კომუნიკაციების განხრით, ეს სირთულეები წარმოადგენენ იმ მოტივირებულ ბიძგებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ურთიერთობის ახალი უნარ-ჩვევების შექმნას და კიდევ ერთი საშუალება იმისა, თუ როგორ იქნეს თავიდან აცილებული გაუგებრობა კომუნიკანტებს შორის. ურთიერთობის წარმატებული შედეგის მისაღწევად ჩვენთვის საჭიროებას წარმოადგენს ადამიანებს შორის განსხვავებულობა, რადგან ურთიერთობა იდენტურ კომუნიკანტებს შორის არაა იმდენად საინტერესო, რამდენადაც განსხვავებულობა, რომელიც უფრო ეფექტურს ხდის ურთიერთობას და გვეხმარება ჩვენს ღირსებებზე და ნაკლოვანებებზე ახალი ხედვის შექმნაში.

ჩვენი დამოკიდებულება მოსაუბრის მიმართ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იქნება ინტერპრეტირებული შეტყობინება. მაგალითად, თუ თქვენი კოლეგა იკითხავს „შეგვიძლია მუშაობის დაქვემდებარება ამ პროექტზე?“ ჩვენ ამ შეტყობინებას აღვიქვამთ, როგორც თხოვნას მუშაობის საწყებად ან დასამთავრებლად. მაგრამ თუ ამ შეყვობინებას გადმოსცემს უშუალოდ

უფროსი, კომუნიკაციას ენიჭება მოთხოვნის ტონი და იწვევს დათანხმების ან თავდაცვის სურვილს.

შეტყობინების შინაარსი ასევე გავლენას ახდენს ურთიერთდამოკიდებულებაზე. მაგალითად, ჩვენ განწყობილი ვართ ჩვენი მეგობრის მიმართ მეგობრულად თუ ის ჩვენთვის არ იშურებს კომპლიმენტებს და ცუდი დამოკიდებულება გვაქვს იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ჩვენს მიმართ მუდმივად კრიტიკულადაა განწყობილი. ჩვენს მიერ მოსაუბრის შეფასება გავლენას ახდენს ინფორმაციის შეფასებაზე, რომელსაც ვიღებთ მისგან. რაც უფრო მაღალია ნდობის ხარისხი ადამიანებს შორის, მით უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომელიც მიიღება ადამიანების ურთიერთობის შედეგად (Грушевицкая 2003:124).

კულტურათშორისი კომუნიკაცია შეიძლება განხილულ იქნეს კოგნიტური, სოციალური და კომუნიკაციური სტილების საშუალებით, რომლებიც გამოიყენება ადამიანების მიერ. ერთნი დემონსტრირებას უხდენენ დომინირებულ კომუნიკაციურ სტილს, ხოლო მეორენი – დაქვემდებარებულს. ზოგიერთი ადამიანი მზრუნველი და თბილია, სხვები კი – ცივი და უგრძობლები. ზოგი ისწრაფვის ავტორიტარულობისაკენ, სხვას კი ურჩევნია დაემორჩილოს სხვას. გარდა ამისა, ადამიანები თამაშობენ სხვადასხვა კომუნიკაციურ როლებს, რომლებიც იწოდებიან შესაბამის კომუნიკაციურ სტილებად.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კულტურათშორისი კომუნიკაცია დამოკიდებულია მოსაუბრეთა შორის ნდობის ფაქტორზე, თუ რამდენად დარწმუნებულია კომუნიკანტი საკუთარ ძალებში. ნებისმიერ ურთიერთობებში ყოველთვის არსებობს ორაზროვნების ელემენტები. ადამიანს სურს იცოდეს მეორე ადამიანის დამოკიდებულება მის მიმართ, მისი ინტერესების გამოვლინება მოცემულ დროში და მომავალში. ყველა ადამიანი განიცდის დისკომფორტს ამ საკითხების წამოჭრისას, ამიტომ მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ადამიანი ირჩევს ოპტიმალურ სტილს, რომელიც შესაძლებელს ხდის ურთიერთგაგების მაქსიმალურ მიღწევას მინიმალური რაოდენობის კითხვების პირობებში. მოვლენების მომავალი განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინება ადამიანს ფსიქოლოგიურ კომფორტს ანიჭებს. ამიტომ, რაც უფრო ნაკლების ურთიერთობებში გაუგებრობა და უცნობი ფაქტები, მით უფრო კარგად ვგრძობთ თავს კონკრეტულ სიტუაციაში.

მიუხედავად ამისა, ნებისმიერ კომუნიკაციას ახასიათებს ორაზროვნებისა და გაურკვევლობის ელემენტები. მშობლიურ კულტურაში მისი დონე საკმაოდ შემცირებულია ამ კულტურაში გათვიცნობიერების გამო. მაგალითად, მისაღმებისათვის არსებობს დადგენილი უესტები და რიტუალები, რომელთაც ჩვენ ვგებულობთ და ველით პარტნიორისაგან. თუ მოსაუბრეები განეკუთვნებიან ერთ კულტურას, მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს მსგავსი მოქმედების გაგება, რომელიც უფრო ამარტივებს ურთიერთგაგების პროცესს. სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობა კი ნიშნავს იმას, რომ უბრალო და მეტნაკლებად ხშირად გამოყენებულ უესტებს შეუძლიათ კონდეთარაერთმნიშვნელოვანი აზრი. შესაბამისად, გაურკვევლობისა და ორაზროვნების დონე ამ სიტუაციაში გამძაფრებულია, რის შედეგადაც ქცევის მოდელებისა და ვარიანტების რიცხვი მატულობს და სცდება სტანდარტულ ნორმებს.

გაურკვევლობის დონის შემცირებაზე მუშაობა სამ ეტაპს მოიცავს: წინარე კონტაქტი (პრეკონტაქტი), კონტაქტის დაწყება და კონტაქტის დასრულება.

პრეკონტაქტის დონე გულისხმობს იმას, რომ მოსაუბრეებს ექმნებათ კონტაქტამდელი წარმოდგენა ერთმანეთზე. ურთიერთობის პროცესში ჩვენ ქვეცნობიერად გადავდივართ მოვლენების არამიმართული შესწავლიდან მიზანმიმართულზე, გავიაზრებთ, რომ პარტნიორი კომუნიკაციური სიტუაციის ნაწილია. ამ მომენტიდან ჩვენ ვიღებთ არავერბალური ინფორმაციის დიდ მოცულობას ქცევებზე, ასევე ამ ადამიანის უესტებზე და გარეგნობაზე დაკვირვების შედეგად. ადგილი აქვს „ურთიერთსკანირებას“. დაუჯერებლობის რედუქციის სტრატეგიის უმეტესობა გულისხმობს ინფორმაციის ამოღებას არავერბალური არხებიდან.

კონტაქტის დაწყებით სტადიაზე ფორმირდება პირველი წარმოდგენა მოსაუბრეზე. არსებობს აზრი, რომ კონტაქტის გაგრძელებაზე ან დასრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება საუბრის პირველ ოთხ წუთში. უკვე პირველ ორი წუთში ჩვენთვის გასაგები ხდება მოგვწონს თუ არა ეს ადამიანი, ესმის თუ არა მას ჩვენი და ამაოდ თუ ვხარჯავთ მასთან დროს.

კონტაქტის დასრულება დაკავშირებულია ურთიერთობის შეწყვეტის მოთხოვნილებასთან. ამასთანავე ჩვენ ვცდილობთ დავახასითოთ ცვენი თანამოსაუბრე ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოდელებით. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვცდილობთ მისი ქცევების განსაზღვრას და ამის საფუძველზე

გამოგვაქვს დასკვნა მისი ქცევების მოტივაციაზე. თუ ჩვენ მოგვწონს ჩვენი თანამოსაუბრე, ვთვლით, რომ მას საფუძვლად უდევს პოზიტიური მოტივაცია. უარყოფითი მოქმედება იწვევს ნეგატიურ ემოციებს. მეორეც, თუ ადამიანზე პირველი წარმოდგენა დადებითია, ჩვენ განვადგინებთ მისთვის დადებითი თვისებების მიწერას კონტაქტის განვითარების შემთხვევაშიც. ხოლო თუ პირველი შთაბეჭდილება უარყოფითია, ასეთი განწყობა ინარჩუნებს ნეგატიურობას კონტაქტის პროცესში და შემდგომ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქმნება კონტაქტის დადებითი ან უარყოფითი ატმოსფერო.

კომუნიკაციების სისტემები სხვადასხვა კულტურაში თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი ათვისება ხდება ინკულტურაციის პროცესში. ყოველი კულტურისათვის არსებობს ერთადერთი მიღებული ურთიერთობის სტილი. მაგალითად, საუდის არაბეთში ურთიერთობის მსვლელობას თან სდევს კომპლიმენტების, მაღლიერებისა და ყურადღების სიუხვე. აქ სახალხოდ არავის გააკრიტიკებენ სამსახურში, რადგან ეს უხეშობად და უპატივცემულობად ითვლება. ამერიკელები საკმაოდ არაფორმალურები არიან და მაშინვე გადადიან საქმის არსზე, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე. ინგლისელებს ახასიათებთ შინაგანი თავშეკავებულობა, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ურთიერთგაგებას და კონტროლს ურთიერთობის პროცესში. ეს მაგალითები ამტკიცებენ, თუ როგორ მნიშვნელოვანია იცოდე და გაიგო იმ ადამიანების ურთიერთობის კულტურათშორისი სტილი, ვისთანაც მყარდება კომუნიკაცია.

ურთიერთობის წარმატებას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა ფორმები: სრულყოფილი ურთიერთობები, მეგობრობა, კონფლიქტის დასრულება და ა. შ.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პრინციპების ცოდნა კულტურათშორის კომუნიკაციაში, არამედ მათი გამოყენება და პრაქტიკაში სრულყოფა. საჭიროა აზროვნების სიჩქარის განვითარება და საკუთარი აზრების გამოხატვა სხვადასხვა საშუალებებით, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე იდეის ახსნა სხვადასხვანაირად. ადამიანური ურთიერთმოქმედების წარმატება განიხილება, როგორც ინდივიდუალური დავალების შესრულების წარმატება. ნიჭი იმისა, რომ იყო შუამავალი ადამიანებს შორის, სწორად წარუდგინო ისინი ერთმანეთს, საჭირო სიტყვის თქვა საჭირო სიტუაციაში –

ფასდაუდებელი უნარია კულტურათშორის კომუნიკაციაში (Грушевицкая 2003:125).

როგორც წესი, პრობლემების უმეტესობა წარმოიქმნება ინფორმაციის თარგმნისას ერთი ენიდან მეორე ენაზე. აშკარაა, რომ აბსოლუტურად ზუსტი თარგმანი შეუძლებელი სამყაროს სურათის სხვადასხვაობის გამო, რომელიც სხვადასხვა ენების მიერაა შექმნილი. ენობრივი შეუსაბამობის ხშირ შემთხვევას უმეტესად წარმოადგენს ზუსტი ეკვივალენტის არარსებობა იმისთვის, რომ გამოიხატოს ესა თუ ის განსაზღვრება და თვითონ ამ განსაზღვრების არარსებობაც. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ განსაზღვრება ან საგნები, აღნიშნული ასეთი სიტყვებით, უნიკალურია მოცემული კულტურისათვის, ხოლო სხვა კულტურებსი საერთოდ არ არსებობს და, შესაბამისად, იქ არ არის შესაბამისი სიტყვები მათ გამოხატავად. ასე რომ, რუსულ და ქართულ ენებში არ არსებობს სიტყვა ვისკი და, ე.ი. არც არსებობს შესაბამისი სიტყვები ამ ენებში. ინგლისურ ენაში კი არის სიტყვები ბლინებისათვის (pancake, flapjack), ბორშისათვის (borscht), არაყისათვის (vodka) და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში, ეს განსაზღვრებები გამოიხატება სხვა ენებიდან შემოდებული სიტყვების მეშვეობით (Грушевицкая 2003:132).

მაგრამ ასეთი სიტყვები ენაში არც ისე ბევრია (არა უმეტეს 6–7%). უფრო რთული სიტუაციების შემთხვევებია როდესაც ერთი და იგივე განსაზღვრება – გადაჭარბებული ან არასაკმარისი – გამოიხატება სხვადასხვა ენაში. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის მნიშვნელობა ამოიწურება არა მხოლოდ ლექსიკური განსაზღვრებით (სიტყვის დენოტაციით), არამედ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ლექსიკო-ფრაზეოლოგიურ შეხამებასა და კონოტაციაზე. სიტყვის ყველა დასახელებული ასპექტების სრული დამთხვევა პრაქტიკულად შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, შეუძლებელია სიტყვების თარგმნა მხოლოდ ლექსიკონის დახმარებით, რომელშიც მოცემულია ამ სიტყვის შესაძლო მნიშვნელობის გრძელი ჩამონათვალი. ენის შესწავლისას საწირთა სიტყვების დახეპირება არა ცალკეულად, მათი მნიშვნელობით, არამედ მათი ბუნებრივი გამოვლინებებით, მდგრადი შესიტყვებებით, რაც ამ ენისთვისაა დამახასიათებელი.

ამიტომ, „გამარჯვების“ შეიძლება მხოლოდ „მოპოვება“, „როლის“ – „თამაში“, „მნიშვნელობის“ – „ქონა“. რუსული „მაგარი ჩაი“ ინგლისურად

იქნება „ძლიერი ჩაი“ (strong tea), ხოლო „ძლიერი წვიმა“ – „მაგარი წვიმა“ (heavy rain). ეს სიტყვების ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური შეხამების მაგალითებია, მაგრამ სრულიად გაუგებარია უცხოელისთვის (თუ ის გადმოთარგმნის ამ შესიტყვებებს ლექსიკონის დახმარებით).

სიტყვის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური შეხამების პრობლემების გარდა არსებობს კონფლიქტისხვადასხვა ხალხის კულტურულ წარმოდგენლებს შორის იმ საგნებზე და რეაქციებზე, რომლებიც აღნიშნულია ამ ენებში არსებული ეკვივალენტური სიტყვებით. ეს კულტურული წარმოდგენები ჩვეულებრივ განსაზღვრავენ სხვადასხვა სტილისტური კონოტაციების გამოვლინებას სხვადასხვა ენების სიტყვებში.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შესიტყვება „მწვანე თვალები“, რომელიც რუსულად ძლიერ პოეტურად ჟღერს, თუმცა გამოხატავს ჯადოქრულ თვალებს. მაგრამ იგივე შესიტყვება ინგლისურად (green eyes) მიგვითითებს შურზე და ეჭვზე, რომელიც პირველად შექსპირმა გამოიყენა მის ტრაგედიაში „ოტელო“, „მწვანეთვალებიანი ურჩხული“. რუსეთში თუ შეხვდებით შავ კატას – უბედურების მაუწყებელია, ხოლო ინგლისში – წარმატების მომტანი.

სიტყვა, როგორც ენის ერთეული დაკავშირებულია რეალური სამყაროს საგნებთან ან მოვლენებთან. სხვადასხვა კულტურებში შეიძლება სხვაგვარად იყოს გამოხატული არა მხოლოდ ეს საგნები ან მოვლენები, არამედ მათზე კულტურული წარმოდგენებიც. ისინი ხომ ცხოვრობენ და ფუნქციონირებენ სხვადასხვა სამყაროებში და კულტურებში. მაგალითად, ინგლისური house ძლიერ გამოირჩევა რუსული дома-გან. რუსებისთვის სახლი – ეს საცხოვრებელი ადგილიცაა, ადამიანის სამუშაო ადგილიცაა და ნებისმიერი შენობა და დაწესებულებაა. ინგლისელებისთვის კი ეს მხოლოდ შენობა ან ნაგებობაა. ოჯახი (კერა) კი გადმოიცემა სიტყვით home. ეს ნიშნავს, რომ дома-ს გაგება უფრო ფართოა, ვიდრე house-ის გაგება.

ამგვარად, ურთიერთობის ენის არჩევისას აუცილებელია გვახსოვდეს როგორც სიტყვების ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური შეხამება, ასევე მათი განსხვავებული კონოტაცია, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენებში.

პარემიოლოგიური სისტემა. მოცემული პრობლემის აქტუალობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. ჯერ ერთი, პარემიოლოგიას, როგორც მეცნიერებას წინადადებების ფორმით გამოხატული მყარი გამონათქვამების შესახებ, დღემდე არ დაუმკვიდრებია მუდმივი ადგილი მეცნიერებაში ენის შესახებ; მეორეც, ქართულ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ არ ყოფილა პარემიების მათ ურთიერთკავშირში და შესაბამისობაში, ასევე მათ სისტემაში შესწავლის მცდელობები. ამ დროს სხვადასხვა ხალხების შემოქმედების ჩარჩოებში ჟანრობრივი კატეგორიების შესწავლის აუცილებლობაზე, მეტი საერთო კანონზომიერებების დადგენაზე, უფრო მცირე და წილადურ კატეგორიებად დაყოფაზე კლასიფიკაციის ერთიან თეორიაში ჩართვის მიზნით ჯერ კიდევ ვ. ა. პროპი წერდა (Пропп 1976:39); მესამეც, პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ეროვნულ კულტურათა ჩარჩოებში ამომწურავი პარემიოლოგიური თეორიის შექმნის აუცილებლობით. “შიდა კულტურებში არსებული გამონათქვამების ზუსტი კლასიფიკაციის გარეშე ნაკლებად შესაძლებელი იქნებოდა ნაყოფიერი შედარებითი კვლევების ჩატარება. ამავე დროს მნიშვნელოვანია იმ საფუძვლების დადგენა, რომლებზეც უნდა აიგოს კლასიფიკაციის ერთიანი სქემა” (Фойт 1978:231).

მთავარ საკითხს პარემიოლოგიურ გამონათქვამებში წარმოადგენს მყარ სიტყვათა შეთანხმება და კლიშე. გ. ლ. პერმიაკოვის აზრით, სხვადასხვა სახის ენობრივ კლიშეებში პარემიებს და ხალხურ გამონათქვამებს წამყვანი ადგილი უჭირავთ. ისინი გამოხატულია წინადადებებით, წინადადებათა მწკრივით, რომლებიც შეიცავენ ელემენტარულ შეფასებას ან მარტივ დიალოგს (მაგ., ერთმომენტიანი ანეკდოტები, გამოცანები) (Пермяков 1988:148-150).

გ. ლ. პერმიაკოვი თავის ნაშრომში, სამწუხაროდ, ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ რუსული პარემიოლოგიის სრუქტურული საფუძვლების შესწავლაზე. ამიტომაც, საკითხი ენის სისტემაში პარემიოლოგიური ერთეულების ადგილის შესახებ უფრო დეტალურად განხილული იყო ა. ე. კარლინსკის მიერ, რომელმაც თავის ნაშრომში “პარემიის ადგილი ენათმეცნიერებაში” დასვა საკითხი პარემიოლოგიის ფრაზეოლოგიის ჩარჩოებს გარეთ გატანის შესახებ. კარლინსკის აზრით, პარემიოლოგია შეადგენს ენათმეცნიერების ცალკეულ დისციპლინას. მეცნიერების “პარემიოლოგია” ძირითადი შემადგენლებია - პარემიოლოგიური

ერთეულები. ისინი გამოირჩევიან სამი თავისებურებით: 1) ანდაზები და გამონათქვამები გამოირჩევიან სხვა გამონათქვამებისგან იმით, რომ ყველაზე სრულად და არაორაზროვნად ასახავენ სიტუაციის არსს; 2) ისინი ქარაგმულები არიან. ლექსემები და ფრაზემები მათ შემადგენლობაში, როგორც წესი, იძენენ სხვა, სიმბოლურ დატვირთვას, იმისგან განსახვავებით, რომელიც მათ ენაში ნომინატიური ერთეულის სახით გააჩნიათ; 3) პარემიები ექსპრესიულია, ანუ ისინი გამოირჩევიან შეფასებისა და ემოციური კონოტაციების გამოხატვის შესაძლებლობით; 4) პარემიები არიან მყარი და მეტყველებაში ასახვადი ერთეულები.

ჩვენი თვალთახედვით, მეცნიერება “პარემიოლოგია” თავისი ერთეულების შემადგენლობაში შეიცავს არა მხოლოდ ანდაზებსა და გამონათქვამებს, არამედ გამოცანებს, ხალხურ ნიშნებსა და ცრურწმენებს. ჩვენს მიერ წარმოდგენილ პარემიოლოგიურ კონცეფციაში მტკიცდება, რომ - ენის პარემიოლოგიურ ფონდს შეადგენს პარემიები, რომლებიც ხასიათდებიან სემანტიკური, ფუნქციონალური და ფორმის შემქმნელი ნიშნების ერთობლიობით. მათ ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში შესწავლა წარმოადგენს არა სქოლასტიკურ ინტერესს, არამედ ემსახურება მათი, როგორც სინამდვილეს გამომხატველი განსაკუთრებული ენობრივი ფორმის, ორგანიზაციის სპეციფიკის გამოვლენას.

ჩვენს მიერ სისტემაში ჩართული პარემიოლოგიური ერთეულები ხასიათდებიან რიგი თვისებებით, რომლებიც გამოყოფენ მათ რიგ სხვა ენობრივ ფორმებიდან. ყველა ტიპის პარემიისთვის საერთო მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც ტრადიციულად აღინიშნება ბევრი მკვლევარის მიერ არის აფორისტულობა, მაქსიმალური სიმოკლე, ტექსტის კანონიზირებულობა, ქარაგმულობა, მზა სახით ასახვა, სიმყარე, ექსპრესიულობა. ამ თვისებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა – ასახვადობა.

პარემიოლოგიური ერთეულები იქმნება არა ყოველ ახალ სამეტყველო გამოყენებაში, არამედ ისახება მზა სახით. სწორედ რომ აფორიზმების ასახვა (სიმყარე) პირველ რიგში მოწმობს იმაზე, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მეტყველების ან ენის სამწყობრო ელემენტებთან.

საერთოდ ითვლება, რომ გამონათქვამების შექმნა წარმოადგენს შემოქმედებით სამეტყველო-აზრობრივ პროცესს, როდესაც მოსაუბრე ბაზისური ფრაზების საფუძველზე ქმნის წინადადებებს, რომელიც მას არასოდეს სმენია. მაგრამ ანდაზები და გამონათქვამები, გამოცანები,

როგორც ტიპიზირებული ცხოვრებისეული სიტუაციების შემოკლებული სახეები, წარმოადგენს უკვა მზა წინადადებებს. ეს არის თავისებური ზეპირი ციტატები, რომლებიც ერთმანეთს დაუკავშირა სხვა მოსაუბრეებმა, სხვა ადგილას და სხვა დროს, ამიტომაც ისინი არ წარმოადგენენ შემოქმედებით ერთეულებს.

პარემიების ექსპრესიულობა გამოიხატება იმაში, რომ ისინი შეიცავენ სხვადასხვა შეფასებით ფაქტორს, ემოციურ კონოტაციებს, გამოხატავენ მოსაუბრეების სუბიექტურ დამოკიდებულებას აზრის, ემოციის საგნის მიმართ, მაგ., თანაგრძნობას, თანადგომას, განცდას და ა.შ. მოსაუბრეს შეფასება აზრის საგნის მიმართ ამა თუ იმ სიტუაციაში განსახვავებულია (ნეგატიური ან პოზიტიური), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის ასე თუ ისე მყარია. ვ. ნ. თელიას მიხედვით ჩვენ გამოვყოფთ შეფასების სამ ტიპს: რაციონალურს, სუბექტიურს, ემოციურს; რაციონალური შეფასება მდგომარეობს სიტუაციის არსობრივ შეფასებაში; სუბექტიური – მოსაუბრეზე ზემოქმედების გავლენის მცდელობაში; ემოციური-პიროვნულ შეფასებაში. ასე, მაგალითად, ანდაზაში: “ძალდი ყეფს, ქარავანი მიდის”, “საქმე ჰქენი ქვაზე დადე გაიარე წინ დაგხვდება”, გამოხატულია შემდეგი შეფასებები: სიტუაციის რაციონალური შეფასება პირველ და მეორე ანდაზებში: ძაღლები ხშირად უმიზეზოდ ყეფენ, მათ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება და გზას არ უნდა ავცდეთ; უნდა ვეცადოთ სიკეთე ვთქვით, რათა ის სიკეთით მოგვიბრუნდეს ჩვენ და ჩვენს შვილებს. სუბექტიური შეფასება პირველ და მეორე ანდაზებში: არ უნდა მოვცდეთ ძირითად საქმეს (პირველი ანდაზა), უნდა ვაკეთოთ სიკეთე (მეორე ანდაზა): ემოციური შეფასება პირველ ანდაზაში: მე ვთვლი, რომ დაბრკოლებას ყურადღება არ უნდა მიაქციო, მე გირჩევ საქმეს ნუ მოცდები. ემოციური შეფასება მეორე ანდაზაში: მუდმივად აკეთე კეთილი საქმეები.

გამოცანების, ანდაზებისა და გამონათქვამების, რომლებიც ენობრივ ერთეულებს მიეკუთვნება, ექსპრესიულობა განპირობებულია იმით, რომ პარემიების შემადგენლობაში ხშირად გვხვდება მეტაფორები, მეტონიმიები. ანდაზებისა და გამონათქვამების ხატოვნება და ექსპრესიულობა მიიღწევა მეტაფორების გამოყენებით. ქართული, ინგლისური და რუსული ანდაზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათში მეტაფორის სახით ხშირად გამოიყენება შემდეგი ლექსემები: ძროხა, ქათამი, ცხენი, მელა, ცხვარი, ჩიტი, ბელურა, მამალი, თავგი, ყვავილი, ცოცხი, ქვა, საფულე, წვიმა, მგელი, ხე და სხვა;

შეადარეთ: A wolf in sheep's clothing; A tree is known by its fruit; A lazy sheep thinks its wool heavy; A light purse is a heavy curse; A new broom sweeps clean; A rolling stone gathers no moss; A good face is a letter of recommendation; A fox is not taken twice in the same snare; A cock is valiant on his own dunghill; A black hen lays a white egg; A bird may be known by its song და სხვა.

პარემიების აფორისტულობა (ანდაზები, გამონათქვამები, გამოცანები და სხვა) გამოიხატება მათ სიმოკლეში, ლაკონურობაში. ისინი, აფორიზმების მსგავსად, ასრულებენ ენის ცალკეულად გაფორმებული ნიშნების - სხვადასხვა სტრუქტურის სიტყვათა შეთანხმებების ან და სულაც დასრულებული წინადადებების როლს. ისინი წარმოადგენენ არა სიტყვათა თავისუფალ შეთანხმებას, არამედ მყარ კომპლექსებს (მყარ ფრაზებს). ისინი იქმნიან არა ხელახლა, არამედ გამოიყენებიან მზა სახით, როგორც მოსაუბრე კოლექტივისთვის ცნობილი ენის ერთეულები, რომლებიც უკვე საერთო მონაპოვარს წარმოადგენენ. პარემიები, როგორც აფორიზმები, სრული წინადადების სახით აერთიანებენ მოსაუბრე ხალხის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ახდენს მის კონდენსირებას სენტენციების ფორმით ან კარნახობენ ქცევის გარკვეულ მანერას და სხვა.

ენობრივი აფორიზმი (სინტაქსური ფორმით) არის ფრაზა, რომელიც ცნობილია პრაქტიკულად ენის ყველა მატარებლისთვის და ამიტომაც მეტყველებაში არ იქმნება ხელახლა, არამედ იღება მეხსიერებიდან. ენობრივი აფორიზმების რიცხვში შედის: ანდაზები და სიტყვათა შეთანხმებები, ფრთოვანი ფრაზები, მოწოდებები, დევიზები, ლოზუნგები და ასევე საზოგადო-სამეცნიერო ფორმულები (Степанова 2005).

1. ანდაზები და ხალხური გამონათქვამები – არის ზეპირი მოკლე გამონათქვამები, რომელიც სათავეს ფოლკლორიდან იღებს. ანდაზა განზოგადოებული სახით ახდენს ადამიანების თვისებების და მოვლენების კონსტატაციას, აფასებს მათ ან მოქმედების სახეობას კარნახობს: В гостях хорошо, а дома лучше; Век живи, век учись; Дело мастера боится; Не место красит человека, а человек – место (handsome is as handsome does); Старый друг лучше новых двух; Не имей сто рублей, а имей сто друзей; Ученье – свет, а неученье – тьма; Один за всех, все за одного და ა.შ.

თუკი ანდაზები, პირველ რიგში, განზოგადოებულია, ახდენს “ხალხის სიბრძნის” კონდენსირებას, ხალხური გამონათქვამები უფრო კარგია გრძნობების გამოსახატავად და უბრალოდ, მეტყველების გაცოცხლებისთვის,

მათვის დამახასიათებელია მხოლოდ კონკრეტული და კერძო შინაარსი, თუმცა ისინი მიესადაგება ტიპურ სიტუაციებსაც. ანდაზები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება მყარი, დასრულებული ფრაზების სახით, ხოლო ხალხური გამონათქვამების შემთხვევაში დასაშვებია შემადგენლობის ვარიირება და ყოველთვის არ გამოიხატება დასრულებული მსჯელობა. ხალხური გამონათქვამები არის ფრაზეოლოგიზმებიდან ანდაზებისკენ გარდამავალი რგოლი: Посмотрит – рублем подарит; Выступает словно пава; Мал, да удал; А он и был таков; Мы сами с усами; Не в службу, а в дружбу; Ни нашим ни вашим; Час от часу не легче და ა.შ.

2. **ფრთოსანი გამონათქვამები**, ანუ სიტყვები, რომლებიც შემოვიდა ჩვენს მეტყველებაში ლიტერატურული წყაროებიდან, მოკლე ციტატები, ხატოვანი გამონათქვამები, ისტორიული პირების გამონათქვამები. ზოგჯერ ეს მხოლოდ ერთი სიტყვაა (მაგ., გაგარინის “Поехали!“) მაგრამ, ხშირ შემთხვევაში ეს არის რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი ტექსტი.

ფრთოსანი გამონათქვამები განსახვავდება ანდაზებისგან ჯერ ერთი, თავიანთი წარმოშობით, მეორეც, გამოყენების სფეროთი (ფრთოსანი გამონათქვამები – ლიტერატურული მეტყველების კუთვნილებაა). მაგ., ფრთოსანი გამონათქვამების ა.ს. პუშკინის ნაწარმოებებიდან, ამოღებულია (Фелицына, Прохоров 1979:223-224). А счастье было так возможно, так близко!; Без божества, без вдохновенья; Гений чистой красоты; Глаголом жги сердца людей; Дела давно минувших дней; Любви все возрасты покорны; Мечтам и годам нет возврата; Не зарастет народная тропа; Не мудрствуя лукаво; Остаться у разбитого корыта; Ох, тяжела ты, шапка Мономаха!; Пора, мой друг, пора!; Привычка свыше нам дана და სხვა.

ნებისმიერი აფორიზმი, პირველ რიგში, აფიქსირებს ხალხის კოლექტიურ გამოცდილებას. “ანდაზა – არა მხოლოდ გამონათქვამია. ის გამოხატავს ხალხის აზრს. ის შეიცავს ხალხის მიერ ცხოვრების შეფასებას, ხალხის გონივრულ დაკვირვებებს. ყველა გამონათქვამი ანდაზად არ იქცევა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ეთანხმება მრავალი ხალხის ცხოვრების წესსა და აზროვნებას – ასეთი გამონათქვამი ცოცხლობდა ათასწლეულების მანძილზე და გადაიცემოდა თაობიდან დთაობამდე” (АНИКИН 1966:3). თუ კი თავისი წარმოშობით ენობრივი აფორიზმები ასახავს ინდივიდუალურ გამოცდილებას (ფრთოსანი გამონათქვამების მიმართ ეს სავსებით გასაგებია), ამის მიუხედავად მათ მოიპოვენ საზოგადო აღიარება.

მოგვეყავს აფორიზმების მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც გამოხატავს ცხოვრებისეული ტიპიური სიტუაციების ზოგადად ხალხურ შეფასებებს: Где тонко, там и рвется; Готовь сани летом, а телегу зимой; Дело мастера боится; Как аукнется, так и откликнется; Сколько волка не корми, он все в лес смотрит; Кашу маслом не испортишь; Лучше синица в руках, чем журавль в небе; Своя ноша не тянет; После драки кулаками не машут; Снявши голову по волосам не плачут; Тише едешь – дальше будешь; У семи нянек дитя без глазу; У страха глаза велики; Без труда не вынешь и рыбку из пруда; Уговор дороже денег; Нет худа, без добра და სხვა.

აფორიზმები თავის შინაარსში აგროვებენ და ინახავენ არა მხოლოდ ადამიანების გამოცდილებას, არამედ ენის მატარებელი ხალხის ცხოვრების პირობებს, მის ისტორიას, კულტურას, ქვეყნის გეოგრაფიას: Москва не сразу строилась; Вот тебе, бабушка, и Юрьев день; Язык до Киева доведет; Окно в Европу; Было дело под Полтавой და სხვა.

ენობრივი აფორიზმები არის “სიბრძნის” ამსახველი, ამაშიც გამოიხატება მათი კუმულატიური ფუნქცია. ვინაიდან აფორიზმები თავის შინაარსში იტევს ხალხის კოლექტიურ გამოცდილებას, მისი ეროვნული კულტურის თავისებურებებს, სხვა კულტურულ-ენობრივი საზოგადოების შინაარსით ადეკვატურ აფორიზმებში შეიმჩნევა ადგილობრივი კოლორიტი, ამიტომაც ზოგჯერ მათი პირდაპირი თარგმანი ვერ ხერხდება. მაგ., რუსულ ანდაზას Волков бояться – в лес не ходить, შეესაბამება იაპონური ექვივალენტი Не войти в нору тигра – не поймать даже тигренка, რუსული ანდაზის ლოკალური კოლორიტი В огороде бузина, а в Киеве дядька ჰგავს სირიულ ექვივალენტს Свадьба в Думе, а баран в Харасте (დუმა და ხარასტა არის დამასკოს ახლოს მდებარე სოფლები).

ენობრივი აფორიზმების კუმულატიური ფუნქციის ბოლო ასპექტია ის, რომ ყოველივე მათგანი გულისხმობს უფრო ფართე კონტექსტის არსებობას. მაგალითად, თუ კი რუსი ეროვნების ადამიანს მივმართავთ А ларчик просто открывался ან Ты виноват уж тем, что хочется мне кушать – მის მესხიერებაში უმაღვე აღსდგება კრილოვის სახე და მისი არაკები.

აფორიზმების კუმულაციურ ფუნქციას მჭიდროდ უკავშირდება კიდევ ერთი, დირექტიული ფუნქცია – ადამიანის საქციელის უშუალო მართვა. საერთომნიშვნელობის გამოცდილების მოშველიება ხდება ჯერერთი, იმისათვის, რომ მოხდეს ადრესატის საქციელის სტიმულირება,

მოდოციკირება. მაგ., ანდაზა Учение – свет, а неученье – тьма ასწავლის გულმოდგივე შრომას, ხოლო ანდაზით Слово не воробей, вылетит – поймашь აჩერებენ ნაჩქარევ დაუფიქრებელ გამონათქვამს. მეორეც, აფორიზმი, ზოგჯერ მოჰყავთ იმისთვის, რომ გაამართლონ საკუთარი საქციელი. მაგ., დროის მოგების მიზნით, დაუფიქრებელი და ნაჩქარევი ნაბიჯისგან თავის დაზღვევისთვის მოჰყავთ ანდაზა: Утро вечера мудренее. ასე რომ, დირექტიული ფუნქცია შეიძლება იყოს მიმართული როგორც საკუთარ თავზე, ისევე სხვაზე.

არსებობს ანდაზებისა და ფრთოსანი გამონათქვამების რიგი, სადაც დირექტიული ფუნქცია წინა პლანზე გამოდის: მაგ., Куй железо, пока горячо (strike while the iron is hot); Любишь кататься – люби и саночки возить (if you dance you must pay the fiddler); Назвался груздем – полезай в кузов! (if you pledge, don't hedge); На чужой каравай рот не разевай (cast no greedy eye at another man's pie); Не в свои сани не садись (let not the cobbler go beyond his last); Не говори «гоп» пока не перепрыгнешь (don't count your chickens before they're hatched); Делу – время, потехе – час (business before pleasure); Кончил дело – гуляй смело (work done, have your fun) (Степанова 2005).

ენობრივი აფორიზმები მეტყველებაში გამოიყენება ორმაგი ეფექტის მისაღწევად.

ჯერ ერთი, აფორიზმების დახმარებით მოსაუბრეს აზრი გადმოიცემა უფრო ზუსტად და ინფორმატიულად, ხატოვნად, და, რაც მათავარია, უფრო ემოციურად.

მეორეც, ენობრივი აფორიზმები გამოიყენება მოსაუბრეს მიერ თავისი აზრის გასამყარებლად, მეტი სარწმუნოების მისაღწევად. ზოგადი “სიბრძნის” მოშველიებით მოსაუბრე თვითონაც მისი ნაწილი ხდება, ხოლო როგორც დალი ამბობს “ანდაზა არ განისჯება”. როგორც ავღნიშნეთ, ენობრივი აფორიზმებით შესაძლოა ნიბისმიერი შეხედულების გამყარება, ურთიერთსაპირისპიროსიც.

მაგალითად ლ. ტოლსტოის ზღაპარში ორი ძმა უპირისპირებს ერთმანეთს ცნობილ ანდაზებს და ბოლოს თითოეული მაინც თავის აზრზე რჩება:

უფროსი ამბობს:

- აბა ანდაზაში ნათქვამია: искать большого счастья – малое потерять; не сули журавля в небе, а дай синицу в руки.

რაზეც უმცროსი პასუხობს:

- მე კი მსმენია: волков бояться, в лес не ходить; под лежащий камень вода не потечет.

გარდა ხალხური “სიბრძნის” დახმარებით შეხედულების გამყარების მიზნით აფორიზმების გამოყენებისა, ამ ბოლო დროს უფრო ხშირად ენობრივი აფორიზმები გამოიყენება მეტყველების შელამაზებისთვის, გარკვეული სტილის შესაქმნელად. ანდაზები და ფრთოვანი გამონათქვამების ძალიან პოპულარულია წიგნებისა და პუბლიცისტური მასალების სათაურებში. ასეთ დროს, როგორც წესი, ხდება მათი ფორმის მოდიფიკაცია. ანდაზები, ხალხური გამონათქვამები, ფრთოვანი გამონათქვამები იკვცემა, ხდება მათი პერეფრაზირება, ზოგჯერ ისეთ დონემდე, რომ მათი მნიშვნელობა საპირისპიროსკენ იცვლება. მაგ., შევადართო საგაზეთო სტატიის სათაური «Здравствуй, племя молодое, но знакомое» (საწყისი ფორმა: «Здравствуй, племя молодое, но незнакомое»). არის კიდევ რამდენიმე ტრანსფორმირებული აფორიზმი: «Это – журавль в небе» (Лучше синица в руках, чем журавль в небе); «Его статья – первый ком» (Первый блин - комом) და სხვა. რასაკვირველია, იმისათვის რომ შევნიშნოთ მეტყველებაში აფორიზმი, განსაკუთრებით კი ტრანსფორმირებული, და აღვიქვათ მისი ესთეტიკურ-ემოციური მუხტი, წინასწარ უნდა ვიცოდეთ აფორიზმის საწყისი ფორმა და ვფლობდეთ მის სემანტიკას (Степанова 2005).

ანდაზებისა და გამონათქვამებისთვის დამახასიათებელი სენტენციურობა და პირდაპირი დიდაქტიზმი, გამოიხატება ხალხურ ნიშნებსა და გამოცანებში.

ასე რომ, პარემიების გაერთიანება ერთ პარემიოლოგიურ სისტემაში ხდება მათში საერთო ნიშნების გამოვლენის საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ მათ ენობრივი კატეგორიების სახით, კერძოდ: მზა სახით ასახვა, სიმყარე, სტრუქტურულობა, ხატოვნება, ექსპრესიულობა, შეფასება, ქარაგმულობა, სენტენციურობა, დიდაქტიურობა, სიმოკლე.

ერთი შინაარსის მქონე პარემიოლოგიური ერთეულების (პე) მნიშვნელოვანი ბლოკის შედარებისას, იკვეთება ორი რიგი ერთეულები. პირველ რიგს შეადგენს ერთი ინვარიანტული პარემიის ვერსიები, მაგ., Люди тонут и за соломинку хватаются; Кто тонет, тот и за вострой меч ухватится; Когда тонешь, то ухватишься и за раскаленный железный прут; Кто тонет - нож подай, и за

нож ухватится; Утопающий и за колючки хватается. ყველა ამ ვერსიას საფუძვლად უდევს წყალწაყებულის მკაფიო სახე, რომელიც თავის გადარჩენის მიზნით იმას ეჭიდება, რაც პირველი მოყვება ხელში (= ყველაფერს). თუ კი ხატის დეტალებზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, ერთმანეთს ემთხვევა მისი სახეობრივი გეგმის სამი შემადგენელი ნაწილი: კაცი, წყალწაღებული + ეჭიდება + რაღაც (= ყველაფერი), რამაც შეიძლება გადაარჩინოს. შინაგანი ფორმა ასახავს პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც ადასტურებს ადამიანის შესაძლებლობას გადარჩენის მიზნით გამოიყენოს ყველა შესაძლო საშუალება, მათ შორის არც თუ ისე საიმედოც (ხავსი, ხანჯალი, მაკრატელი და სხვა). პე-ს შინაგანი ფორმის გამჭვირვალობა საშუალებას იძლევა შევაფარდოთ მისი ელემენტები პე-ის განმარტების ფრაგმენტებს: “გამოუვალ მდგომარეობაში (წყალწაღებული) გადარჩენის ბოლო იმედით ისეთ საშუალებასაც მიმართავს (ეჭიდება), რომელიც ნაკლებად საიმედოა (ხმალი, ხავსი, დანა და სხვა)” (Жуков, 2002:337). პე-ის სახეობითი ვარირებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სთავაზობს სხვადასხვა “სამაშველო” საშუალებებს, შესაბამისად, მოქმედებაში არის მოყვანილი “საყოველთაობის კვანტორი”, რომელიც ვარიანტული შეცვლის აქტივიზირებას ახდენს.

იდეა არის თავისებური ღერძი, რომელზეც ერთი-მეორეზე იკინძება ერთი მნიშვნელობის და ერთი სემანტიკური პოტენციალის მქონე პე-ბი, დაკავშირებული ახლო შინაგანი ფორმით და განზოგადოებული სქემით. საანდაზო ტექსტის წარმოშობის საერთო წესები მიუთითებს – არა მხოლოდ მოცემული პე-ის შემთხვევაში – ერთი იდეის ხელახალი გამოხატვის ხერხების მაქსიმალური რაოდენობის ძიებაზე. სხვადასხვა ვერსიებში პე-ის კომპონენტების “შერჩევა” ხდება პარემიის გარეთ მათი პარადიგმატული მნიშვნელობის საფუძველზე.

ერთი იდეის პარემიული გააზრებისკენ ორიენტირება არა მხოლოდ ერთი ერთეულის, არამედ მრავალი ერთეულის მიერ კარგად ჩანს ისეთი პე-ის მაგალითზე, რომლებიც გადმოგვცემს სიტყვის არაეფექტურობის იდეას. ნათქვამი სიტყვის დაბრუნების შეუძლებლობასთან დაკავშირებულ დაკვირვებასთან ერთად (Слово не воробей, вылетит – не поймаетшь და მისი მრავალი ვარიანტები) ეს არის პე-ში სამეტყველო მოქმედებასთან დაკავშირებული ერთერთი ყველაზე გავრცელებული აზროვნების მიმართულება. ერთის მხრივ, სიტყვა უპირისპირდება საქმეს ამ სიტყვის

სრული გაგებით – Поменьше бы слов, да побольше дела; Словами и туда и сюда, а делами никуда. სიტყვა “მეტყველება” გააზრებულია, როგორც არასაკმარისი, უსარგებლო, ნეგატიური უფრო აქტუალურ, მნიშვნელოვან, პოზიტიურ საქმესთან – სავარაუდოთ, ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებასთან შედარებით.

იგივე იდეა ვრცელდება პე-ში, სადაც საქმე წარმოდგენილია უფრო კონკრეტულად და ეხება ადამიანის საქმიანობის გარკვეულ სფეროს, საკმაოდ არსებითს ან არც თუ ისე მნიშვნელოვანს. С твоих слов дом не выстроишь; Словами жернова не повернешь, а глухого не научишь; Словом и комара не убьешь და ა.შ. სიტყვისა და საქმის შეფარდება წარმოდგენილია რაიმე შედეგის მიუღწევლობის იმპლიციტულ-კონსტატაციით, რაც ირიბად მიუთითებს უფრო სხვა, არასამეტყველო საქმიანობის აუცილებლობაზე ან – მეტონომიური პრინციპით – საგნებზე, ინსტრუმენტებზე, მოქმედების შესასრულებლად ან მიზნის მისაღწევად საჭირო მასალებზე. სიტყვა უსარგებლოა იმ მხრივ, რომ მისით ვერც აჭმევ და ვერც ასმევ: Брюхо не насыщается словами; Брюхо глухо: словом не уймешь; Из слов шей не сваришь – нужны капуста и мясо; Из слов блинов не напечешь и полушубка не сошьешь; Голодного словами не накормишь. ცალკეულ შტოს ამ იდეის გაგრძელებაში წარმოადგენს პე-ბი, რომლებიც დაკავშირებულია მადლობის თქმასთან, რომლის სიტყვიერი გამოხატვაც ენის მატარებლების მიერ მიხნეულია ფუჭად: Спасибо сыт не будешь. ეს ხაზი გრძელდება თანამედროვე პე-შიც: Спасибо в стакан не нальешь (не булькает); Спасибо на хлеб не намажешь.

პე-ის ყველა ვარიანტში და თანავარიანტებში (გ.ლ. პერმიაკოვი) გადაფარვის მეთოდით ვლინდება ინფორმაციის ორი ბლოკის – მისი სემანტიკური შინაარსის ფრაგმენტების და სიტუაციის აღწერაში მონაწილე ელემენტების მკაფიო კორელაცია; მაგ. შეადარეთ: речь, разговор >> бясня << выдумка, празднословие, пустословие) и бесполезно >> не накормишь, не наполнишь и др.) - ზუსტად ისინი განსაზღვრავენ პე-ის შინაარსს.

სწორედ რომ პე-ის სხვადასხვა ვერსიები და ამ მოდელის სხვა რეალიზაციები განმარტავენ მის ჭეშმარიტ არსს – განზოგადოებული სქემის პრიზმაში. ასე, პე-ში Аминем беса не отбудешь კომპონენტი бес შეიძლება აღვიქვათ როგორც პირდაპირი (“ეშმაკი”), ასევე გადატანითი მნიშვნელობით “ბოროტება, ცდუნება”, ხოლო მთელი პარემია, როგორც “Святым словом от искушения не избавиться”. მაგრამ პე-ის ვერსია Аминем беса (лихого) не избыть

სადაც სიტყვა бес-ს ენაცვლება – лихое (“трудное, опасное”, შევად.: Лиха беда начало, лихой человек), ცვლის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობას და გვაიძულებს კონკრეტულის მიღმა დავინახოთ უფრო ზოგადი პრობლემა: “მხოლოდ წმინდა სიტყვით სახიფათოს, რთულს ვერ აიცილებ, მხოლოდ ლაპარაკით შედეგს ვერ მიაღწევ, საქმეს ვერ გააკეთებ”.

ასე რომ, პარემიული იდეა წარმოადგენს განზოგადოებულ დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს მსგავს კერძო შემთხვევებზე დაკვირვებებიდან, და ხდება პე გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში. მათ შორის ერთერთია იდეის მეტაფორული გამოხატვა, როგორც მკლევარების უმრავლესობის მიერ აღიარებული მთავარი პარემიოლოგიური ნიშანი, რომელიც უზრუნველყოფს პარემიის მისადაგებას მრავალ სიტუაციისადმი. პე-ის განზოგადოებული სქემა - რეალური ცხოვრებიდან აღებული მრავალი კერძო შემთხვევების და პარემიაში მათი ხატოვანი სიმბოლიზების შუამავალი – ჩვენი აზრით, არის ის ფაქტორი, რომელიც არეგულირებს და ძირითადად განსაზღვრავს ვარიანტობას.

ანდაზა განიხილება, როგორც კულტურის ერთერთი ძირითადი „კოდი“, როგორც „საუკუნეების განმავლობაში ფორმირებული საყოფაცხოვრებო კულტურის ენა“, რომელიც თაობიდან თაობას გადასცემდა ხალხის – ენის მატარებელთა ყველა კატეგორიას და ცხოვრებისეულ ფილოსოფიას (Телия 1996:219-241). ანდაზები – „ხალხის ავტობიოგრაფია“, „კულტურის სარკეა“ (დანდეს 2003:38). ტერმინ “ანდაზა”-ს არსის ვ.ი. დალისეული წარმოდგენა მოყვანილია მის განმარტებით ლექსიკონში: “ანდაზა არის მოკლე გამონათქვამი, ჭკუის დარიგება, უფრო მეტად იგავის, ქარაგმის ან ცხოვრებისეული განაჩენის სახით; ანდაზა არის ენის, ხალხური მეტყველების მარილი, ის არ ითხზება, არამედ თავისით იბადება; ეს არის ხალხის გამჭრიახე გონება; ის გამონათქვამად ან უბრალო სამეტყველო კონსტრუქციად იქცევა” (Даль 1957). ამა თუ იმ ხალხის ანდაზების შესწავლა საშუალებას იძლევა გავიგოთ მეტად მნიშვნელოვანი თვითონ ხალხზე და მის კულტურაზე. ყოველ ენას გააჩნია სამყაროს განსაკუთრებული სურათი და ენობრივი პიროვნება ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს გამონათქვამის შინაარსს ამ სურათის შესაბამისად. სამყაროს სურათი მცნება (მათ შორის ენობრივის) აგებულია ადამიანის მიერ სამყაროს წარმოდგენის შესწავლაზე. კოგნიტური ლინგვისტიკის წარმომადგენლები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელიც გამოხატულია სამყაროს

ენობრივი სურათის სახით, დამოკიდებულია ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებებზე და უშუალოდ მასთანაა დაკავშირებული (Маслова 2001:64). მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია, **პარემია** შეიძლება განისაზღვროს როგორც ენაში მდგრადი და მეტყველებაში გამოხატული ანონიმური გამონათქვამი, რომელიც დიდაქტიკური ხასიათისაა და შეიცავს ანდაზებს, გამონათქვამებს ან იდიომატურ გამონათქვამებს (Мокиенко 2007:512).

გ. ლ. პერმიაკოვი პარემიას განსაზღვრავს როგორც ხალხურ გამონათქვამს, რომელიც გამოიხატება წინადადებით (მაგ. ანდაზები, გამონათქვამები, მინიშნებები) ან წინადადების მოკლე ჯაჭვით (მაგ. იგავები „ერთმომენტალური“ ანეკდოტები, გამოცანები). ამრიგად, მკვლევარი ფრაზეოლოგიზმებს არ განაკუთვნებს პარემიოლოგიურ ერთეულთა რიცხვს. ის ასევე მიუთითებს ფრაზეოლოგიზმების, გამონათქვამებისა და ანდაზების მსგავსებაზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი განეკუთვნებიან ენობრივ კლიშეს, არამედ იმიტომ რომ მათ ახასიათებთ საერთო თვისებებიც. ასეთ თვისებებს განეკუთვნებიან: გარეგნული სინტაქსური ფორმა, სამი გეგმის არსებობა, საერთო მნიშვნელობის მხატვრული ან პირდაპირი მოტივირება და ა. შ. (Пермяков 1970:33).

მიუხედავად იმისა, რომ ანდაზები, გამონათქვამები და ფრაზეოლოგიზმები მიეკუთვნებიან სხვადასხვა სახის ენობრივ კლიშეს (მყარი სიტყვათშეთანხმებებით), ყველა მათგანი თავიანთ სემანტიკაში განასახიერებენ ხალხის კულტურის განვითარების გრძელ პროცესს, აფიქსირებენ და გადასცემენ კულტურულ ღირებულებებს და სტერეოტიპებს თაობიდან თაობას. ფრაზეოლოგია, როგორც პარემიოლოგია, წარმოადგენს სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტს. ფრაზეოლოგიური ერთეულები ყოველთვის მიმართულია სუბიექტზე, ანუ წარმოიქმნებიან არა იმდენად იმისთვის, რომ შეაფასონ სამყარო, არამედ იმისთვის რომ მოახდინონ მისი ინტერპრეტაცია, შეაფასონ და გამოხატონ მის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება (Маслова 2001:82). ფრაზეოლოგიური ერთეულების ბუნების მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული ენის მატარებლის ფონურ ცოდნასთან, პიროვნების პრაქტიკულ გამოცდილებასთან, ხალხის კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებთან, მოცემული ენაზე მოლაპარაკესთან. ფრაზეოლოგიური ერთეულები ობიექტს ანიჭებენ თვისებებს, რომლებიც ასოცირდებიან სამყაროს სურათთან, ისინი გულისხმობენ მთელ

დესკრიპციულ სიტუაციას (ტექსტს) და აფასებენ მას. თავიანთი სემანტიკით ფრაზეოლოგიური ერთეულები მიმართული არიან ადამიანის დახასიათებისკენ და მისი საქმიანობებისკენ (Маслова 2001:67–68).

ფრაზეოლოგიზმებს კულტურულ–ნაციონალური ინტერპრეტაციის ერთერთი წყარო ვ. ნ. თელიას აზრით არის სიტყვა–სიმბოლოები და შესიტყვებები, რომლებმაც მიიღეს სიმბოლური დატვირთვა. ენობრივი სიმბოლოს როლი გულისხმობს ენობრივი არსის მნიშვნელობის ცვლას სიმბოლურ ფუნქციაზე. ამ შემთხვევაში შესიტყვება ასოციაციურად „ცვლის“ ზოგიერთ იდეას (Телия 1996:243).

ენობრივი სიმბოლოს სპეციფიკა როგორც ენობრივი ნიშნის მოტივაციის შემადგენელი, დაკავშირებულია არა გადატანით მნიშვნელობასთან, როგორც ეს დამახასიათებელია ტროპებისთვის (ფიგურული გამონათქვამი), არამედ სამყაროს სურათთან, ფონურ ცოდნასთან, პრაგმატიზმთან ამ სიტყვის ფართო გაგებით (Телия 1996:85).

უმეტესი სიმბოლო ნაციონალურად სპეციფიურია. მაგრამ არსებობს ბევრი ერისათვის გასაგები სიმბოლიზმი, მაგალითად, წიგნი ცოდნის სიმბოლოა, პალმა – გამარჯვების და ტრიუმფის, ხარი – მოთმინების და ძალის, ძაღლი – ერთგულების, ლომი – დიდების. სიმბოლოები ენაში გამოიხატებიან სიტყვებით ან შესიტყვებებით.

ვ. ნ. თელია თვლის, რომ მეტაფორასა და ენობრივ სიმბოლოებს შორის არსებობს კომპლემენტარული ურთიერთობა. მეტაფორა გადმოსცემს ორი დენოტატის მსგავსებას საერთო სემების საფუძველზე (დენოტატების ფუნქციები და ხასიათი), ხშირად ქმნის ემოციურ ხატს. სიმბოლო კი, პირიქით, არ შეიცავს შეფასებას, ის მიუთითებს მხოლოდ ერთი დასახელების მეორეთი ცვლაზე არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ რაციონალურ საფუძველზე (Телия 1996:89). შესაძლებელია ფრაზეოლოგიზმის ცალკეული ელემენტები, ანდაზები და გამონათქვამები იქცნენ სიმბოლოებად. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმში *утереть нос, прищемить нос, хоть кров из носу*, ასევე ანდაზაში *любопытной на базаре нос оторвали*. ცხვირი წარმოადგენს ადამიანში ყველაზე სუსტი ადგილის სიმბოლოს (Телия 1996:99).

შესწავლილი პრობლემის კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ზედსართავი სახელის სემანტიკა, პროვერბიად, მისი კავშირი

ანდაზებთან, გამონათქვამებთან და ფრაზეოლოგიზმებთან. ინგლისური ენის ლექსიკონების მონაცემების თანახმად, ამ ზედსართავ სახელს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

1. ეხება ანდაზებს the proverbial style – ანდაზების სტილი, პროვერბიალ წოდომ ანდაზების სიბრძნე;

2. პროვერბიალური, შესული გამონათქვამში; საერთოდ ცნობილი: the proverbial London fog – ლონდონის ცნობილი ნისლი; his meanness was proverbial – ის ცნობილი იყო თავისი სიძუნწით.

მაგრამ ტერმინი proverbial, რომელიც არის ფართო სემანტიკის ლექსემა, შეიძლება იყოს შერწყმული არა მხოლოდ ანდაზებთან, არამედ გამონათქვამებთან და ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან, არამედ ცალკეულ ლექსემებთან იმ პირობით, თუ ეს ლექსემები გადმოსცემენ კულტურულად მნიშვნელოვან ინფორმაციას.

განვიხილოთ ლექსემის proverbial გამოყენება სხვადასხვა კონტექსტურ სიტუაციაში:

1. Chiangmai restaurants are numerous and cover a broad range of food. There are also a number of American-styled steak houses and dinners and the *proverbial British fish and chips* (Chiangmai restaurant).

მოცემულ მაგალითში აღწერილია რესტორანი, რომელიც ტაილანდური სამზარეულოს გარდა, მენიუშია ამერიკული და ბრიტანული სამზარეულოს კერძებიც – თეფხი შემწვარი კარტოფილით. ლექსემა პროვერბიალ მიუთითებს იმაზე, რომ fish and chips ინგლისში ძალიან პოპულარულია და ინგლისელების საყვარელი კერძია, მოცემული ფაქტი შეიძლება უცნობია სხვა ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებიც არ იცნობენ ბრიტანეთის კულტურას და სამზარეულოს. Fish and chips შედის ბრიტანეთის სიმბოლოების რიცხვში, როგორც five o'clock tea, London fog და სხვა.

2. But the cast has gone to great length to achieve the film's "Russianness". Authenticity has been the proverbial bee in their bonnet: Menshikov had to learn all of his French lines phonetically (Heartthrob for a New Millennium).

აქ ლექსემა proverbial მარკირებას ახდენს ფრაზეოლოგიზმის *bee in one's bonnet* –იდ იდეისა, რომელიც მოცემულ მაგალითში წარმოადგენს ფილმის ავთენტიკურობის მიღწევას. ფუტკარი ამ ფრაზეოლოგიზმში ასოცირდება მომაბეზრებელ სიმბოლოსთან, რისგანაც ძნელია თავის დაღწევა.

3. But like the proverbial fish that rots from the head, so do the industries that suffer from poor products and management of their respective market leaders (Life Journal).

მოცემულ მაგალითში სიტყვა proverbial ახდენს შემდეგი ანდაზის რეპრეზენტირებას: „თევზი თავიდან ლპება“, მაგრამ ავტორის მიერ ტრანსფორმირებულს გარკვეული მიზნით. მოცემული ანდაზა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საწარმო ზარალდება ცუდი მენეჯმენტის გამო.

4. We guarantee you the maximum comfort and ... the proverbial heat of the Mediterranean people! (Noto Sicily B&B).

ამ მაგალითში საუბარია იმ ხალხის ემოციასა და ტემპერამენტულობაზე, რომლებიც ცხოვრობენ სმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ლექსემა პროვერბიულ მოცემულ შემთხვევაში მიუთითებს იმაზე, რომ ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია. სინამდვილეში, არსებობს აზრი იმის თაობაზე, რომ იტალიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების მაცხოვრებლები ძალიან ემოციური ხალხია.

მოცემული მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლექსემა პროვერბიულ იმის მიუხედავად, ახდენს თუ არა ანდაზების, გამონათქვამების, ფრაზეოლოგიზმების და სხვათა ცალკეული ლექსემების რეპრეზენტაციას, ყოველთვის მიუთითებს იმ კულტურული ობიექტების მნიშვნელობაზე, რომელთა მარკირებასაც ის ახდენს. ერთის მხრივ, ლექსემებს და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთა მარკირებაც სიტყვა proverbial-ით მოხდა, შესაძლებელია გააჩნდეს კულტურულ-ნაციონალური სპეციფიკა, ანუ კონკრეტულად მოცემული ხალხისთვის იყოს დამახასიათებელი, როგორცაა მაგალითად, ინგლისური სამზარეულოს კერძი Fish and chips, რაც წარმოადგენს ბრიტანული სამზარეულოს ერთერთ სიმბოლოს, ან თუნდაც ფრაზეოლოგიზმი bee in their bonnet. მაგრამ, მეორეს მხრივ, ისინი უნივერსალურებადაც გვევლინებიან, როგორც სმელთაშუა ზღვის მცხოვრებთა ემოცია და ტემპერამენტულობა, ან ანდაზა „თევზი თავიდან ლპება“, რომელიც ასევე ცნობილია როგორც fish begins to stink at the head რუსული კულტურის მატარებელთათვის და აქტიურად იყენებენ მას.

II ენა, ცნობიერება და აზროვნება

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია დავაზუსტოთ ის შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია ტერმინების „აზროვნება“ და „ცნობიერება“ გამოყენებასთან. მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორებიცაა ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია და ენათმეცნიერება, აღნიშნული ტერმინი თავისი სპეციფიკური შინაარსობრივი ნიუანსებით გამოირჩევა, რაც მათი სიღრმისეული შინაგანი დამოკიდებულების გათვალისწინებას გულისხმობს. წინამდებარე ნაშრომში „ცნობიერებად“ მოვისხენიებთ სინამდვილის ასახვის მთელ პროცესს ადამიანის ნეირომენტალურ სისტემაში; „აზროვნებას“ კი ვუწოდებთ სინამდვილის ასახვის პროცესს ცნებების, განსჯისა და დასკვნების ფორმით. ტერმინების ასეთი განმარტების შემთხვევაში აზროვნება ცნობიერების იმ ნაწილს შეადგენს, რომელიც, აზროვნების გარდა, მოიცავს სინამდვილის ისეთი ფორმებით ასახვასაც, როგორებიცაა ემოციური, ესთეტიური, კონკრეტულ-გრძნობითი. არ დავგავიწყდეს, რომ ტერმინი „ცნობიერება“ მეცნიერებაში სხვა მნიშვნელობითაც იხმარება – ესაა იდეების, შეხედულებების, მრწამსის, მხატვრული სახეების სისტემა, რომელიც დამახასიათებელია მთლიანად საზოგადოების, მისი კლასების, სოციალური ფენებისა და ცალკეული ადამიანებისათვის; ამ მეორე მნიშვნელობით ტერმინი „ცნობიერება“ ახლოს დგას „იდეოლოგიასა“ და „მსოფლმხედველობასთან“.

ბოლო დრომდე მეცნიერები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ენისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებას და, ძირითადად, სწავლობდნენ ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას. ხშირად, როდესაც ლაპარაკი იყო ენისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებაზე, გულისხმობდნენ ენისა და აზროვნების ურთიერთობას. სიტყვის მნიშვნელობის პრობლემაც კი აზროვნებასთან და არა ცნობიერებასთან აღმოჩნდა მიბმული, მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტებისათვის ძალზე კარგად იყო ცნობილი ენობრივი ერთეულების ემოციური და ესთეტიური მნიშვნელობები, რომლებიც, ლოგიკურთან ერთად, ქმნიან ენის სემანტიკას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ენისა“ და „ცნობიერების“ ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, ფაქტობრივად, პირველადი ფორმულირების ეტაპს ვერ გასცდა. ბევრი რამ რჩება გაურკვეველი და საკამათო როგორც ლინგვოფილოსოფიური აბსტრაქციის, ასევე, ლინგვოფილოსოფიური დაკვირვებების დონეზე.

ცნობილია, რომ სინამდვილე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, შეიძლება დაიყოს ოთხ ურთიერთმომქმედ სისტემად: ა) ბუნების სისტემად, ბ) საზოგადოების სისტემად, გ) ცნობიერების სისტემად, დ) ენის სისტემად. ფუნქციონალურად ბუნების სისტემა წინ უსწრებს საზოგადოებრივ სისტემას. ფუნქციონალურად ცნობიერებისა და ენის სისტემები მეორადია ბუნების სისტემებთან და საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ მხარეებთან შედარებით. ცნობიერებისა და ენის სისტემები წარმოიშვნენ საზოგადოებასთან ერთად და მისი ყოფიერების აუცილებელ მხარეებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებულნი და გადახლართულნი – ადამიანის საქმიანობასთან. „ენის და ცნობიერების“ პრობლემა მეცნიერების წინაშე აყენებს თეორიული საკითხების მთელ რიგს. მათ შორის, შემდეგს: როგორია ენის ფუნქციები ცნობიერებასთან მიმართებაში? როგორია ცნობიერების ფუნქციები ენასთან მიმართებაში? როგორია ენის ფუნქციები აზროვნებასთან მიმართებაში? როგორია აზროვნების ფუნქციები ენასთან მიმართებაში? ეს ოთხი ძირითადი კითხვა კონკრეტულ შინაარსს შეიძენს, თუ საკუთრივ ენას და მეტყველებას შევუპირისპირებთ ერთმანეთს.

ენის ფუნქციები ცნობიერებასთან კავშირში საკმაოდ პრინციპულ ხასიათს ატარებს. ენა საშუალებას აძლევს ცნობიერებას, გახდეს პრაქტიკული, ჭეშმარიტი ფენომენი როგორც პიროვნებისთვის, ასევე – სხვა კომუნიკანტათვის. ეს ნიშნავს, რომ ენა თვით ცნობიერების აქტების ჩამოყალიბების იარაღად გვევლინება. მხოლოდ თითოეული აქტის, „სულის თითოეული მოძრაობის“ სიტყვასთან გაერთიანებით და სიტყვით გამოხატვის შედეგად ახორციელებს ამ აქტს სინამდვილეში, პრაქტიკულად. ცნობიერების აქტების სიტყვაში გამოხატვის გარეშე ისინი თვით ენის მატარებლისთვის რჩება გაურკვეველი და მიუღწევადი და უცნობი – სხვებისთვის.

ენის მეორე ფუნქცია ცნობიერებასთან მიმართებაში გამოიხატება შემდეგში: ენა არის მისი გამოხატვის საშუალება. საზოგადოების ცნობიერების შინაარსი ფიქსირდება და გამოიხატება ლექსიკით და ენის გრამატიკული წყობით. თუმცა, ამგვარად ფიქსირდება და გამოიხატება საზოგადოებრივი ცნობიერების არა მთლიანი შინაარსი, არამედ მხოლოდ მისი განვითარების და საქმიანობის ის შედეგები, რომლებიც ენობრივი სტრუქტურის ელემენტებს განეკუთვნებიან და პიროვნების გარეშე, განზოგადებულად, არის მათში ფიქსირებული. ცალკეული ადამიანის

მოქმედი ცნობიერების შინაარსი გამოიხატება ენის ელემენტების ორგანიზაციით მეტყველების ნაკადში.

ენა არის პირობა და ცნობიერების მოქმედების პროცესების მოდელირების საშუალება. ენის გამოყენება მეტყველებაში, სამეტყველო ინტენციის განვითარება განაპირობებს ცნობიერების შინაარსის გახსნას და ამით უზრუნველყოფს ამ შინაარსის გაგებას არა მარტო მსმენელის ან მკითხველის, არამედ ნათქვამის ავტორის მიერ. ამგვარად, ენა საკუთარი ცნობიერების მოქმედების შემეცნების პირობად იქცევა.

ამით ენა საკუთარი ცნობიერების მოქმედებაზე კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. ცნობიერების აქტების ობიექტური გაანალიზების შედეგად ენა იძლევა შესაძლებლობას, შეუფარდოს თავისი მოქმედება ცნობიერების მიერ სამყაროს ცალკეული უბნების ასახვის თვისებებს და ნიშნებს: შეიძლება მოხდეს სამეტყველო მოდელის შედარება მოდელირებად ობიექტთან და ამით ჩნდება თვით მოდელისა და მის უკან მდგომი ცნობიერების მოქმედების კორექტირების საშუალება.

ადამიანის ცნობიერების წარმოშობისა და განვითარების საქმეში ენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა პირობამ. მხოლოდ ენამ შექმნა წინაპირობები, განზოგადებულიყო გრძნობითი ასახვები და მათს ბაზაზე აგებულიყო სამყაროს ლოგიკური ასახვა. ეს უკანასკნელი კავშირში იყო შრომითი შემოქმედების შედეგებთან, როგორც შეგნებული მოქმედების წინაპირობასთან.

როგორც უკვე ითქვა, პრობლემა „ენა და ცნობიერება“ შეიძლება და უნდა იყოს გააზრებული არა მარტო როგორც ენის ზემოქმედების პრობლემა ცნობიერებაზე, არამედ როგორც ცნობიერების ზემოქმედების პრობლემა ენაზე. ცნობიერების ფუნქცია ენასთან მიმართებაში მოითხოვს შემდგომ გამოკვლევებს. მოუხედავად ამისა, უკვე ახლა შეიძლება მონიშნოს ამ ფუნქციებიდან მთავარი.

ცნობიერება, მისი მოქმედება და განვითარება გვევლინება ერთ-ერთ მთავარ პირობად, რომელიც უშუალოდ იწვევს ცვლილებას ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში. რასაკვირველია, ეს ცვლილებები გამოწვეულია ენის ფუნქციონირების სოციალური პირობებითაც, ანუ მასზე საზოგადოების ზემოქმედებითაც. თუმცა ყველა ეს ზემოქმედება ხორციელდება არა უშუალოდ, არამედ ცნობიერების გავლით; იმან კი, რაც შედის ცნობიერების მოქმედების ველში, შეიძლება ასახვა ჰპოვოს სიტყვათა მნიშვნელობასა და

მათ კავშირებში. აზრების, ემოციების, ცნობიერების, გუნება-განწყობის სფეროში ცვლილებებმა შეიძლება წარმოშვას ახალი მნიშვნელობა და ენიდან ამოშალოს ძველი, ანუ ცნობიერებისათვის არააქტუალური; გადაანაწილოს სიტყვაში არსებული მნიშვნელობები და მნიშვნელობათა სერიები. როგორც ჩანს, ცნობიერების უკონტროლო მონაწილეობის შემთხვევაში, წარმოიშობა და კვლავწარმოიშობა გრამატიკული მნიშვნელობებიც.

ცნობიერება – ეს არის მეტყველების პირობა და მისი განვითარების ანუ კონკრეტულ ფრეიმებში ფუნქციონირების ძირითადი მიზეზი. თვით ენის მექანიზმს არ გააჩნია სამეტყველო მოძრაობის ინერცია. ენობრივი მექანიზმი არ აღიძვრება მეტყველების ფუნქციონირებასთან ერთად და, რეალურად, მეტყველებაში ფუნქციონირებს მხოლოდ ცნობიერების მოქმედების წყალობით. „აზრი-ტექსტი“-ს ტიპის „აღმძვრელი“ მოდელის შექმნის მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან განხილვიდან გამორიცხავენ მეტყველების აგების ერთადერთ მამოძრავებელ ძალას – მოქმედი ცნობიერების ძალას. ბუნებრივია, ცნობიერების მუშაობის ტიპების ცვალებადობა – სიტუაციური, პიროვნული, ისტორიული და სხვა – ცვლიან მის ზემოქმედებას სამეტყველო სტრუქტურებზე, შედეგად იცვლება ასეთი სტრუქტურების ტიპებიც. ხაზობრივად განვითარებული მეტყველება იქცევა ცნობიერების მოქმედების თავისებურ ნიშნობრივ მოდელად და ამ შემოქმედების ზოგიერთი მხარის ობიექტური შესწავლის შესაძლებლობას ქმნის.

ნათქვამიდან გასაგები ხდება ცნობიერების კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია ენასთან მიმართებაში – ენობრივი და სამეტყველო სტილების ჩამოყალიბების ფუნქცია. სამეტყველო სტრუქტურების ტიპები, რომლებიც სწორედ ასეთი ტიპის მდგრადი სისტემების (ანუ მეტყველების სტილების) საფუძველს შეადგენს, ყოველთვის ცნობიერების მუშაობითაა განპირობებული.

საჭიროა ხაზი გაესვას ცნობიერების კიდევ ერთ ფუნქციას: იგი აკონტროლებს მეტყველების განფენას, მასში ენობრივი ელემენტების შერჩევას და მათ შორის კავშირების გამოყენებას, ენის ნორმების დაცვას და გადახვევას. იგი განსაზღვრავს წარმოქმნილი სამეტყველო სტრუქტურის შესაბამისობის ხარისხს მის შინაარსთან, მეტყველების სტრუქტურებს

შორის კავშირების ლოგიკურობა/არალოგიკურობის ხასიათს და შინაარსის შესაბამისობას რეალურ სიტუაციასთან და ა.შ.

პრობლემა „ენა და აზროვნება“, თავისი არსით, უნდა წარმოადგენდეს პრობლემის „ენა და ცნობიერება“ თუმცა უმთავრეს, მაგრამ მაინც ერთ-ერთ მხარეს. არადა, მოხდა ისე, რომ სწორედ პრობლემა „ენა და აზროვნება“ წამოვიდა წინა პლანზე და, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად დაჩრდილა პრობლემა „ენა და ცნობიერება“. როგორც ჩანს, ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ლოგიკურ-გრამატიკული მიმართულების, ხოლო უფრო ადრე – კარტეზიანული, რაციონალისტური ფილოსოფიური და მასზე დამყარებული გრამატიკების გავლენა.

შესაძლოა, სწორედ „ენისა და აზროვნების“ და არა „ენისა და ცნობიერების“ პრობლემისადმი ჰიპერტროფირებული ინტერესით უნდა აიხსნას ის, რომ ლინგვისტური თეორიის უმნიშვნელოვანესმა საკითხმა – სიტყვის მნიშვნელობის არსმა – მეცნიერებაში ცალმხრივი გაშუქება ჰპოვა. ეს ცალმხრივობა გამოიხატა იმაში, რომ სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ ცნებებთან (რომლებიც გამოხატულია სიტყვებით) იქნა გაიგივებული, ან კიდევ მისი მნიშვნელობა გამოცხადდა სტრუქტურულ-ენობრივ ფენომენად, რომელიც მიაკუთვნეს მხოლოდ და მხოლოდ ცნებებს, თითქოს ცნობიერების მოქმედებაში ცნებების გარდა არაფერია და თითქოს სიტყვებისა და ფრაზოლოგიზმების სემანტიკა ცნებების შესახებ ინფორმაციის გარდა არაფერს შეიცავს.

თუკი აზროვნება ადამიანის გონებაში სინამდვილის ასახვის პროცესია ცნებების, განსჯის, დასკვნების ფორმით და თუ ეს პროცესი წარმოადგენს ცენტრალურ და არა ერთადერთ მიმართულებას შემეცნების პროცესისა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრობლემა „ენა და აზროვნება“ შეიძლება და უნდა განიხილებოდეს პრობლემის „ენა და ცნობიერება“ გააზრების ანალოგიურად.

როგორია, ამ შემთხვევაში, ენის ფუნქციები ადამიანების აზროვნებასთან მიმართებაში?

პირველი და მთავარი ფუნქცია – მონაწილეობა აზრის ფორმირებაში. აზროვნება, როგორც ცნობიერებაში სინამდვილის განზოგადებული ასახვის პროცესი, მოითხოვს მუდმივ საყრდენს სიტყვისა და წინადადების სახით. ასეთი საყრდენის გარეშე არც განსჯა, არც დასკვნა და არც მათი შემადგენელი კომპონენტი – შემეცნება – არ ხორციელდება.

აზრის ჩამოყალიბების პროცესში თვით ენა გამოხატავს ინფორმაციას მის შესახებ, ანუ „აზრთა გაცვლის“ საშუალებას იძლევა. აზრის მუშაობის შესახებ ინფორმაციის გამოხატვას კოლოსალური მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობის პროცესში და გვევლინება ამ პროცესის ერთერთ საფუძვლად და პირობად მის წარმატებით განხორციელებაში. მოსაუბრის მიერ ენობრივი საშუალებებით გამოხატული აზრის მუშაობის შესახებ ინფორმაციის აღქმის შემდეგ მსმენელი ან მკითხველი იღებს შესაძლებლობას (რასაკვირველია, გარკვეული დანაკარგებით), წარმოიდგინოს ეს საქმიანობა.

ამგვარად, ენის მესამე ფუნქცია აზროვნებასთან მიმართებაში – ეს არის მკითხველში ან მსმენელში ავტორის სიტყვის მოსმენის ან წაკითხვის დროს მეტ-ნაკლებად ადეკვატური აზრის აღძვრა.

ჩამოყალიბების, გამოხატვის, აზრის აღძვრის დროს ენა ადამიანს აძლევს საშუალებას, ფართოდ და ღრმად გაიცნოს სამყარო, უფრო სრულად და სწორად გადაამუშაოს მასზე მოცემული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ენა შემეცნების იარაღს წარმოადგენს.

აზროვნებასთან მიმართებაში ენის ფუნქციების ჩამოთვლის დროს არ შეიძლება არ დავასახელოთ ისეთი თავისებური და ნაკლებშესწავლილი ფუნქცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მოდელირების ფუნქცია. აზროვნების პროცესის შესაბამისად და მის დანაწევრებასთან ერთად თავს იჩენს ნათქვამის განშლის პროცესი. ნათქვამის ლექსიკური და გრამატიკული ელემენტები ისევე, როგორც მათ შორის კავშირები, თავისებურ მოდელს წარმოადგენს.

ერთერთი ასეთი ფუნქცია უზრუნველყოფს ენობრივი ერთეულების, როგორც ნიშნების, ფუნქციონირებას. ენობრივი ნიშანი წარმოადგენს მატერიალურის და იდეალურის ერთობლიობას. მაგრამ იდეალური ნიშანში არსებობს, მოქმედებს, ვითარდება მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს, მოქმედებს, ვითარდება ადამიანის აზრი, რომელიც ფიქსირდება ნიშნების მნიშვნელობებში. თუ ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა – ეს არის უნარი, გამოხატოს და აღძრას ინფორმაცია რაიმეს შესახებ და ეს „რადაც“ აღმოჩნდება ნივთი, საგანი, მოვლენა – ერთი სიტყვით, ობიექტური სამყაროს ფაქტი, რომელსაც აზრი აცნობიერებს ან ეს „რადაც“ თვით აზრი აღმოჩნდება, მაშინ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში აუცილებელი ხდება აზრის აქტიური მონაწილეობა მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში. იმისათვის, რომ სიტყვაში გაჩნდეს შესაძლებლობა, გამოიხატოს ინფორმაცია

რაიმეს შესახებ, რაც განსხვავდება თვით სიტყვისგან, აუცილებელია აზრის მონაწილეობა,

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ არ ვლაპარაკობთ ცნობიერების როლზე ზოგადად, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი ერთეულების ნიშნობრივ ფუნქციას. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ენობრივი ნიშნებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობების სისტემის ფორმირებაში აზროვნება თამაშობს განუსაზღვრელად უფრო დიდ როლს, ვიდრე ცნობიერების სხვა შემადგენელი ნაწილები. ეს ნათელი გახდება, თუ ავიღებთ გრამატიკული ცოდნის სისტემას, ვთქვათ, მეტყველების ნაწილების ან ლექსიკური მნიშვნელობების ტერმინოლოგიის სფეროში. პრინციპში, არაფერი შეიძლება გქონდეს საწინააღმდეგო იმ ვარაუდის შესახებ, რომ აქ განხილული ენობრივი ნიშნების არსის უზრუნველყოფის ფუნქცია დამახასიათებელია არა მარტო აზროვნებისათვის, არამედ მთლიანად ცნობიერებისათვის. ადამიანის ცნობიერება და, პირველ რიგში, აზროვნება ენობრივი მექანიზმის ნიშნობრივი ბუნების მთავარ პირობად გვევლინება.

მეორე, ენისათვის და მისი მეცნიერული გაგებისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი აზროვნების ფუნქცია ნათლად იგრძნობა სემანტიკასთან დაკავშირებით. აზროვნება – ეს არის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების განვითარების მთავარი იარაღი.

აზროვნება ენასთან მიმართებაში გამოიყენება, როგორც ენობრივი ერთეულების შერჩევის იარაღი მეტყველების ასაგებად. მეტყველების აგების ყოველ ნაბიჯზე ადამიანს ესაჭიროება არა ნებისმიერი, არამედ კონკრეტული სიტყვები, მათი კავშირები, ფორმები და კატეგორიები. წინადადების არა ნებისმიერი, არამედ გარკვეული მოდელები და ტიპები. ენის საჭირო ელემენტის შერჩევა, გარკვეულწილად, განპირობებულია ენის იმ ელემენტებით, რომლებიც უკვე მონაწილეობენ სამეტყველო ჯაჭვში. ამავე დროს, ეს განპირობება არის არა ხისტი, არამედ – შესაძლო. როგორც წესი, იგი რამდენიმე წინადადებისგან მხოლოდ ერთის შერჩევის საშუალებას ტოვებს და ამ შერჩევას ახორციელებს მეტყველების ავტორი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თავისი აზრის კარნახს ემორჩილება.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ აზროვნება ახორციელებს მეტყველებაზე კონტროლს და ასეთი კონტროლის განხორციელების იარაღს წარმოადგენს.

როგორც დავრწმუნდით, დამოკიდებულება ცნობიერებასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებს შორის განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. არსებულ თვალსაზრისთა და მოცემულობათა ანალიზი საკვლევი ფენომენის გააზრების სამ ვარიანტს გვაძლევს:

ა) ცნობიერების ფენომენისადმი გულუბრყვილო მიდგომის ამსახველი ცნობიერების ინტროსპექტული განსაზღვრა, როგორც ამოსავალი და ყველა ინდივიდისთვის გასაგები;

ბ) ნეიროფსიქიკურ და ნეიროპათოლოგიურ გამოკვლევებთან დაკავშირებული ცნობიერების ემპირიულად განსაზღვრული ცნება, რომელიც კლინიკურ და ექსპერიმენტურ ფსიქოლოგიაში გამოიყენება;

გ) ცნობიერების ინტენციური და ეპისტომოლოგიური გაგება, რომელიც თანამედროვე თეორიაში შემეცნების შესაძლებლობის განჭვრეტის პირობად განიხილება და თავის თავში რამდენიმე „ინტენციურ“ საფეხურს მოიცავს. ცნობიერების მეტაორგანული ფუნქცია რეალურ სამყაროში ადამიანის მოღვაწეობის სფეროს გაფართოებაში მდგომარეობს, მისი შინაგანი გეგმებისა და წარმოდგენების თანახმად გარემომცველი სამყაროს შესაცვლელად.

ცნობიერების ფენომენმა, როგორც ადამიანის მენტალურმა რეალობამ, მისი შინაარსის სტრუქტურირების პრობლემამ, აგრეთვე ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის სპეციფიკამ მეტყველების წარმოშობის პროცესში ვერ ჰპოვეს ყოველმხრივი გაშუქება ლინგვისტიკაში. მითითებულ პრობლემასთან მუშაობა აუცილებელს ხდიდა პრინციპულად მნიშვნელოვანი პრობლემის – ცნობიერებისა და აზროვნების ურთიერთმიმართების გარკვევას. აღნიშნული ურთიერთმიმართება მეცნიერების საკმაოდ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას იწვევს. განსაკუთრებით ანტაგონისტურია იმ მეცნიერთა შეხედულებანი, რომელთაც ბ. სერებრენიკოვი „ვერბალისტებსა“ და „ანტივერბალისტებს“ უწოდებს.

ერთადერთი დებულება, რომელსაც ცნობიერებისა და აზროვნების პრობლემების შესწავლით დაკავებული ყველა მეცნიერი იზიარებს, არის განსახილველ ობიექტთა შორის უეჭველი კავშირი. ვერბალისტების პოზიციის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს იდეა „აზროვნებისა და ენის კავშირების ურღვევობის შესახებ და აზროვნების აქტების მხოლოდ ენის საშუალებით და მისსავე ბაზაზე წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ“ (Морковкин. Морковкина 1997:12). ვერბალისტების რიცხვს შესაძლებელია

მივაკუთვნოთ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან მ. მიულერი, ვ. ფონ ჰუმბოლტი, ფ. შლეიერმახერი, ფ. დე სოსიური, ა. რეფორმატსკი და სხვ.).

მათგან განსახვავებით, ანტივერბალისტები არავერბალური აზროვნების პრინციპულ შესაძლებლობას ამტკიცებენ. არგუმენტებად მოჰყავთ მძღოლის ქმედება საჭესთან, ხელსაქმე, ჭადარაკის პარტიის თამაში, აგრეთვე, ყრუმუნჯთა აზროვნება, რომლებიც, ა. რუდნევის თქმით, ამ პროცესს მგრძნობელობითი შეგრძნებების ბაზაზე ახორციელებენ. ანტივერბალისტების რიცხვს ნ. ჟინკინს, ჟ. პიაჟეს, ბ. სერებრენიკოვს, პ. გალპერინს და სხვ. მიაკუთვნებენ.

არსებობს მესამე შეხედულებაც, რომელიც ენისა და აზროვნების განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მსჯელობის ლოგიკა ასეთია: „მართლაც, თუ შევთანხმდებით, რომ აზროვნების ტიპები გამოიყოფა გამომდინარე იქიდან, თუ რა წარმოგვიდგება ერთეულის სახით, რომლის საშუალებითაც აზროვნების ერთიანი პროცესი იყოფა გადაადგილებების და კომბინირების უნარის მქონე მონაკვეთებად, გასაგები ხდება: ასეთი ერთეულები შესაძლებელია იყოს მხოლოდ საკუთრივ აზროვნებისათვის იზომორფული მოვლენები. რამდენადაც აზროვნებას ინფორმაციული ბუნება გააჩნია, ამდენად სახეები, ქმედებები, ფორმები, ფერები, ბგერები და ა.შ. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განიხილებოდეს აზროვნების ერთეულებად, თუ ისინი წარმოგვიდგებიან სახეცვლილი ფორმით და აზროვნების ფენომენოლოგიურ ბუნებას ეთავსებიან, ანუ, თუ ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც გარკვეული ინფორმაციული ბლოკები” (Морковкин. Морковкина 1997:15-16).

როგორც არ უნდა იყოს, ყველა წარმოდგენილი შეხედულება მაინც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ცნობიერება და აზროვნება სხვადასხვა ფენომენია, თუმცა – მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან. ძნელია იმის მტკიცება, რომ აზროვნება მხოლოდ სიტყვების საშუალებით ხორციელდება, მაშინ, როდესაც ცნობიერების ენობრივ ბუნებაზე საუბარი საკვებით დასაშვებია. როდესაც „ენობრივ ცნობიერებაზე” ვსაუბრობთ, რომელიც რიგ შემთხვევებში „ცნობიერების” სინონიმად გვევლინება, უნდა გავითვალისწინოთ ის ასპექტი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მეტყველების წარმოშობასა და აღქმასთან, რომლის გვერდის ავლაც კვლევისას ლინგვისტს არ შეუძლია და რომლის განხილვითაც მივდივართ

ეროვნული კონცეპტოსფეროს შესწავლამდე, რადგან „ენა ანივთებს მენტალურს“ (Гийом 1992:71).

ბუნებრივია, რომ ენობრივი ცნობიერება ვერ იქნება ანალიზის ობიექტი მისი მარეალიზებელი პროცესების მიმდინარეობისას. ის შეიძლება გამოკვლეულ იქნეს როგორც წარსული, ყოფილი საქმიანობის პროდუქტი და ა.შ. ის შეიძლება იქცეს ანალიზის ობიექტად მხოლოდ ტრანსფორმირებისას, ცნობიერების სუბიექტისგან განყენებული საგნებისა და კვაზისაგნების კულტურულ ფორმებში. ზემოთ თქმული ეხმაურება ა. პოტენიას ცნობილი იდეას, რომლის მიხედვითაც „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენი აწმყო მდგომარეობა არ ექვემდებარება ჩვენსავე დაკვირვებას, და რომ ჩვენ მიერ საკუთარ თავში დანახული უკვე წარსულს ეკუთვნის“ (Потеня 1989:153).

საინტერესოა, რომ უდიდესი ფსიქოლოგები ლ. ვიგოტსკი და ა. ლეონტიევი აღიარებდნენ ცნობიერების ენობრივ, სამეტყველო ბუნებას: „გქონდეს ცნობიერება, ნიშნავს ფლობდეს ენას. ფლობდეს ენას, ნიშნავს ფლობდეს მნიშვნელობებს. მნიშვნელობა არის ცნობიერების ერთეული (იგულისხმება ენობრივი, ვერბალური მნიშვნელობა). ასეთი გაგების შემთხვევაში ცნობიერება არის ნიშნობრივი“ (ვიგოტსკი 1993:16).

ამ მოსაზრებას ალექსეი ლეონტიევი ავითარებს. იგი ამტკიცებს, რომ, თუ ენა აღიქმება, როგორც ურთიერთობისა და განზოგადების ერთობა, როგორც მნიშვნელობათა სისტემა, რომელიც წარმოჩინდება როგორც ვერბალურ, ასევე, საგნობრივ ფორმაში, მაშინ „ენობრივი ცნობიერება“, ანუ ცნობიერება, რომელიც განიხილება როგორც მნიშვნელობებით განპირობებული, ძალიან ახლოა თანამედროვე რუსულ ფსიქოლოგიაში მიღებულ „სამყაროს ხატის“ გაგებასთან. სწორედ სამყაროს ხატის მეშვეობით აღიქვამს ადამიანი სამყაროს, რომელსაც იგი საკუთარ თავში ატარებს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ცნობილი სტრუქტურალისტის გიომის სიტყვები: „ადამიანის მიერ დანახული სამყარო არის დამუშავების საფუძველზე დანახული სამყარო და ამ დამუშავებას ვუქვემდებარებთ აწმყოში მოქცეულ სამყაროს“ (Гийом 1992:144). შესაბამისად, ადამიანის ენა, როგორც კარგად შენიშნა ზ. ტურაევამ, „არის ზედაპირული სტრუქტურა, რომელშიც ტექსტების მეშვეობით ფიქსირდება სამყაროს მოდელი, რომელსაც ჩვენ ცნობიერებაში ვატარებთ“ (Тураева 1994:105).

ავსტრალიელ მკვლევარ ავეუბიციკაიას აზრით, ენობრივ ცნობიერებას მრავალი სხვადასხვა დონე გააჩნია და ის მოიცავს როგორც ზედაპირზე მყოფ ფაქტებს, ასევე – ისეთებს, რომლებიც ძალიან ღრმად არის დამალული (Вежбицкая 1996:244), სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნობიერებას სიღრმისეული სტრუქტურა გააჩნია. ამასთან, ი. ზიმნაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია იმის დღის სინათლეზე გამოტანა, რაც სიღრმეში დევს... „ენობრივი ცნობიერება არის მოაზროვნე, მოსაუბრე, მოურთიერთე ადამიანის, როგორც სოციალური არსების – პიროვნების – ინდივიდუალური, კოგნიტიური ცნობიერების არსებობის ფორმა” (Зимняя 1993:51).

ამრიგად, ცნობიერებას (ენობრივ ცნობიერებას) გააჩნია ენობრივი ბუნება, მანიფესტირებს ენის საშუალებით. ენა კი, ლეიბნიცის იდეის მიხედვით, საუკეთესო გამოსატყულებაა ადამიანის აზრისა. ამასთან მიმართებაში, კიდევ რამდენიმე შეხედულებას მოვიყვანო. ლ. შჩერბას მიაჩნდა, რომ „ენა არის ადამიანის საქმიანობა, რომელიც ყოველწამს მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ, საკუთარი აზრებისა და გრძნობების ყველაზე კარგი და მოხერხებული გამოსატვისაკენ” (Щерба 1974:102).

ლეონტიევი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ენა არის ის, რაშიც და რისი საშუალებითაც არსებობს ცნობიერება საზოგადოებაში, განიხილავს მას, როგორც ადამიანური ქცევის გარკვეულ სახეს: „ადამიანური ქცევა ფსიქოლოგიური (ბიოლოგიური) ფაქტია, როგორც ადამიანის ორგანიზმის გამოვლინება, და, ამავედროულად, სოციოლოგიურიც, როგორც ისეთი გამოვლინება, რომელიც დამოკიდებულია ამ ორგანიზმის სხვა ორგანიზმებთან ურთიერთქმედების პირობებში არსებობაზე” (Леонтьев 1993:17).

როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ნ. უფიმცევა, „ენობრივი და არაენობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესი უდევს სათავეში ურთიერთობის ფორმირების პროცესებს, მაგრამ, ამასთან, თვითონ ცნობიერების ფორმირების პროცესი მხოლოდ ურთიერთობაშია შესაძლებელი (Уфимцева 1993:59).

ცნობიერების კატეგორიის თავისებურ განმარტებას იძლევა დ. გუდკოვი. ვინაიდან ენობრივი ცნობიერების მისეული ინტერპრეტაცია დაკავშირებულია კულტურათშორისი კომუნიკაციის თეორიასა და პრაქტიკასთან, რაც უშუალოდ უკავშირდება წინამდებარე ნაშრომის პრობლემატიკას, თავს

უფლებას მივცემთ, შედარებით დაწვრილებით განვიხილოთ მისი ძირითადი დებულებები.

ამოსავალ დებულებად ავტორი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებისთვის სინამდვილის აღქმის კატეგორიზაციასა და შეფასებებში განსხვავებები პირდაპირ კავშირშია ამ საზოგადოებების ენობრივ და კულტურულ განსხვავებებთან. ამასთან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, აპელირებს რა ა. პელინენკოსა და ი. იაკოვლენკოსთან, კულტურაში არაფერია ისეთი, რასაც არ მოიცავს ადამიანური მენტალობა. მენტალობის მთელი შინაარსი (ცნობიერი და არაცნობიერი, ექსპლიციური და იმპლიციური) ჩვენთვის სიცოცხლეს იძენს სემიოზისის პროცესში გაშუალებისას და კონკრეტული ეთნოკულტურული ერთობის ნიშნობრივი სისტემის ფარგლებში კოდირებას ექვემდებარება. ნებისმიერი კულტურის სემიოტიკური სისტემის საბაზო კოდს და საფუძველს ეთნიკური ენა წარმოადგენს. ცნობიერება მისი გარე, ექტერიორიზებული ფორმაა, როგორც სოციალური გამოცდილება, ადამიანური კულტურა. ავტორი იზიარებს ვიგოტსკის სკოლის შეხედულებას, რომ სოციალური გამოცდილების შემცველი და განზოგადებისა და გადაცემის ძირითადი ერთეული არის მნიშვნელობა, რომელიც ცალსახად არ ემთხვევა ენობრივ მნიშვნელობას. მას მოჰყავს შმელიოვის სიტყვები: „ადამიანისთვის ქცევის წარმართველ რეალურ კატეგორიათა სიმრავლე არ დაიყვანება ნაცნობ ენობრივ მნიშვნელობათა სიმრავლეზე. არ არის გამორიცხული, რომ შესაბამისი კოგნიტიური ერთეული ინახებოდეს სუბიექტის გამოცდილებაში ვერბალიზაციის გარეშე, მისი გარკვეული ნიშნით ფიქსაციის გარეშე... სიტყვის მნიშვნელობა ცოდნის საცავი კი არ არის, არამედ ინდივიდუალურ ცნობიერებაში ცოდნის პრეზენტაციისა და აქტუალური შენარჩუნების ფორმაა” (Шмелев 1983:50-51).

აღნიშნული შეხედულების ავტორი აკავშირებს კოგნიტიური ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის მონაცემებს, რომლებიც, დ. გუდკოვის აზრით, საკმაოდ დამაჯერებელ მტკიცებულებებს გვაძლევს საიმისოდ, რომ მრავალრიცხოვანი კონცეფტები, რომელთაც არ გააჩნიათ ეროვნულ ენობრივ სისტემაში ვერბალური გამოხატულების საშუალებები, არსებობენ ეროვნულ კონცეფტოსფეროში და ეროვნულ ინტელექტუალურ საქმიანობას ისეთივე ხარისხით განაპირობებენ, როგორც ენობრივი ნიშნით გამოხატული კონცეფტები (მაგალითის სახით მას მოჰყავს ლექსიკური

ლაკუნის მაგალითი რუსულ ენაში: ადამიანს, რომელიც ცრუობს, ეწოდება მატყუარა, ხოლო ადამიანს, რომელიც სიმართლეს ლაპარაკობს – ლექსიკური შესატყვისი არ გააჩნია, თუმცა ეს არ უშლის რუსული ენის მატარებლებს ხელს, აღნიშნული კონცეფტი გამოიყენონ (Гудков 2003:337).

ეს სხვადასხვა მეცნიერს საშუალებას აძლევს, ამტკიცოს ენობრივი და კოგნიტიური ცნობიერების განსხვავებულობა. ხაზი გაუსვას იმას, რომ ჩვენი ცნობიერების არცთუ სრული შინაარსი შეიძლება იყოს ვერბალიზებული და გამოხატულება ჰპოვოს ენობრივი დონის ერთეულებში.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა ენისა და ინტუიციის ურთიერთმიმართების შესახებ. ენა როგორც წესი ჩამორჩება ინტუიციას. ფილოსოფიისთვის ყველაზე ძნელი იმის გამოთქმაა, რაც აშკარაა. „ჩვენი ეპოქა უსწრებს სიტყვების ჩვეულებრივ გამოყენებას” (უაითჰედი 1990:377).

მსგავსი არავერბალიზებული, კოგნიტიური ერთეულები, რომლებიც ენობრივ ცნობიერებას არ მიეკუთვნებიან და „ლოკალიზდებიან” ცნობიერების „ნათელი ზონის” მიღმა, როგორც ი. რუჯიციკი მიიჩნევს „მიეკუთვნებიან არაცნობიერს და გაუცნობიერებელს” (Ружицкий 1995:36).

ექსპლიციტური და ექსპლიციტურებადი მენტალური ოპერაციები კოგნიტიური ელემენტებითა და სტრუქტურებით, რომლებიც გაუცნობიერებელ დონეს განეკუთვნება, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ისინი ცნობიერების „ნათელ ზონაში” შედიან, ანუ სხვადასხვა ენობრივ დონეზე კოდირდებიან. როგორც თ. დრიდზე აღნიშნავს, „ენობრივი ცნობიერება ცნობიერების ისეთი დონეა, რომელზეც სახეები, წარმოდგენები, აზროვნებითი სტრუქტურები ენობრივ გაფორმებას იძენენ.” (Дридзе 1976:97). ეს, გ. გეიგერის აზრით, განსაზღვრავს იმას, რომ „ენობრივი ცნობიერება წარმოგვიდგება ცნობიერების ყველა სხვა ფორმის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობად (Ейгер 1990:23). რადგან „სწორედ მეტყველება წარმოადგენს ფსიქიკური აქტივობის ყველა სხვა სახის საფუძველს” (Немов 1998:78).

“ენობრივი” და „კოგნიტიური” ცნობიერებების კატეგორიების შედარებითი ანალიზის შეჯამების შედეგად დ. გუდკოვი მიდის დასკვნამდე, რომ ენობრივი ცნობიერება არ არის კოგნიტიური ცნობიერების იდენტური, არასოდეს არ არის სრული თანხვედრა ინდივიდუალური ცნობიერების კოგნიტიურ ერთეულებსა და მიღებულ ენობრივ მნიშვნელობებს შორის, რაც,

ავტორის აზრით, აქტუალურია არამარტო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ცნობიერებისთვისაც (Гудков 2003:38).

ცნობიერება, (პირველ რიგში კი ცნობიერების ენობრივი დონე), დ. გუდკოვის აზრით, საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენს და გამოვლინდება დისკურსში, რომელიც წარმოჩინდება როგორც აუცილებელი, მენტალობისათვის იმანენტურად ჩვეული მისი თვითექსტერიორიზაცია. ავტორი ეყრდნობა ი. კარაულოვის და ვ. პეტროვის მიერ მოცემულ დისკურსის განსაზღვრებას, რომელიც განმარტავს მას, როგორც “რთულ კომუნიკაციურ მოვლენას”, რომელიც, ტექსტის გარდა, კიდევ მოიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც („ცოდნა სამყაროს შესახებ, შეხედულებები, დამოკიდებულებანი, ადრესატის მიზნები” (Караулов. Петров 1989:8).

თუკი ასე გავიგებთ, დისკურსი საკუთარ თავში მოიცავს ცოდნის იერარქიის რთულ სისტემას, ერთდროულად წარმოგვიდგება როგორც სოციალური, იდეოლოგიური და ლინგვისტური ფენომენი, „ენობრივი გამოყენება, როგორც სოციალურ ურთიერთობათა და პროცესთა ნაწილი” (Менеджерицкая 1997:131-133).

„დისკურსის” ცნებიდან გუდკოვი გადადის ენობრივი ცნობიერებისა და ლინგვოკულტურული საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების განხილვაზე.

„როდესაც რუსულ ენობრივ ცნობიერებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ენობრივ პიროვნებათა გარკვეული ერთობა, რომელთა თითოეული წევრის ცნობიერებასაც საკუთარი ინდივიდუალური არსებობა გააჩნია”. „მოცემული ანტინომიის მოხსნის საშუალებას “მრავალადამიანიანი პიროვნების” ცნება გვაძლევს” (Гудков 2003:40). ეს ტერმინი ნასესხებია ნ. ტრუბეცკისგან, რომელიც მიიჩნევდა, რომ “ყოველი კერძოდამიანური პიროვნება შესაძლებელია იყოს (ამავდროულად) რომელიღაც მრავალადამიანური პიროვნების ინდივიდუაცია” (Трубецкой 1995:105).

აღნიშნულ აზრს გუდკოვი იმას უკავშირებს, რომ ენობრივი ცნობიერების დანახვა მხოლოდ მის ინდივიდუალურ ფორმებშია შესაძლებელი; ყოველი ენობრივი პიროვნების სტრუქტურის იმ ინვარიანტული ნაწილისათვის მიმართვისას, რომელიც ერთია ლინგვოკულტურული საზოგადოების ყველა წევრისათვის და (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად) გვაძლევს საშუალებას,

კლასიფიცირდეს, როგორც მოცემულ საზოგადოებას მიკუთვნებული, ანუ ხელს უწყობს ამ უკანასკნელის თვითიდენტიფიკაციას.

რუსული ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილის აღწერის მცდელობისას, ავტორი აყენებს საკითხს ზოგადად ეთნიკური ენობრივი ცნობიერების შესახებ და გვთავაზობს ტერმინს „ლინგვოკულტურული საზოგადოება“ (ლკს), რომელიც იკვეთება ცნებებთან „ეთნოსი“, „ნაცია“ და რომლებთან მიმართებაშიც ინტეგრალური მნიშვნელობა აქვთ „კულტურულ მთლიანობაში შემავალ ინდივიდთა გაერთიანებულ ჯგუფებს.“

კულტურის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი და, მაშასადამე, ეთნიკური დიფერენციაციის მაჩვენებელი ენაა. ამასთან დაკავშირებით, სწორედ რომ არ იქნება უადგილო ნ. ტოლსტოის სიტყვების გახსენება, რომ „ენა ეთნოსის ძირითადი, ყველაზე ნათელი და მყარი მაჩვენებელია“ (Толстой 1995:34).

ეთნიკურ ერთობლიობაში ენა ადამიანებს კონცეფტების საშუალებით აერთიანებს, თუმც არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული კულტურული საზოგადოებანი ერთ ენას იყენებენ, ხოლო პირიქით, ხალხი, რომელიც აცნობიერებს თავის კულტურულ ერთიანობას, სხვადასხვა ენას იყენებს. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ. გუდკოვი, ნორმას მაინც ენის, კულტურის, ეთნოსის ერთიანობა წარმოადგენს. როდესაც ის იყენებს ტერმინს „ლინგვოკულტურული საზოგადოება“ და არა „ეთნოსი,“ აქცენტს აკეთებს ასეთი ერთობის არა ბიოლოგიურ, გენეტიკურ, გეოგრაფიულ მხარეზე (რაც ეთნოსის ცნებას უკავშირდება ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც არ უნდა განიმარტოს ის), არამედ მის წევრთა ენობრივ და კულტურულ ერთობაზე.

ლინგვოკულტურული ცნობიერების ერთ-ერთ მთავარ მაინტეგრირებელ-მადიფერენცირებელ ნიშნად ავტორს მის წევრთა ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილის მთლიანობა მიაჩნია. „კულტურულ-ენობრივი საზოგადოება არის სწორედ ინდივიდუუმათა ის ასოციაცია, რომელიც დაფუძნებულია მოცემული ენის მატარებლების ვერბალურ-ასოციაციურ სტრუქტურათა ინტერსუბიქტურობასა (მსგავსება) და ტრანსპერსონალურობაზე (გააზრებულობა) (Чернейко, Долинский 1996:32).

იზიარებს რა ამ მოსაზრებას, გუდკოვი მიიხნევს, რომ ამ სტრუქტურათა მთლიანობა ემყარება ლინგვოკულტურული საზოგადოების ინვარიაციულ

კოლექტიურ შეხედულებათა მთლიანობას. კოლექტიური ცნობიერების ერთობას განსაზღვრავს რაღაც ერთიანი, განსაკუთრებული სახით ორგანიზებული ცოდნისა და წარმოდგენების ფონდი, რომელსაც ავტორი უწოდებს კოგნიტურ ბაზას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სინამდვილის მოვლენათა, სოციალური ქცევის მოდელის აღქმის მადეტერმინირებელი ნორმებისა და შეფასებების სისტემის აღქმის ალგორითმის ერთობას.

ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა სხვადასხვა შეხედულებანი ცნობიერებასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებს შორის კავშირის შესახებ და მივედით დასკვნამდე სპეციფიკური კატეგორიის „ენობრივი ცნობიერება“ არსებობის შესახებ. აზროვნების დამოკიდებულება მისი რეპრეზენტაციის ვერბალურ ფორმებთან (საკითხის ისტორიის პოზიციიდან) შეიძლება გამოხატულ იქნეს ტ. ფესენკოსგან ნასესხები შემდეგი პარადიგმით, რომელიც განსხვავებულ კონცეფციებს ასახავს:

1) აზროვნება უდრის ენას. ლაპარაკი სინონიმურია ხმამაღალი აზროვნებისა, გამოუხატავი აზროვნება კი – საკუთარ თავთან ლაპარაკისა. ეს კონცეფცია ფრიად განსხვავებულ შეხედულებებს აერთიანებს, პლატონიდან – ბიჰევიორისტებამდე.

2) აზროვნება არის ენა, მაგრამ ენა არ არის აზროვნება. მოცემული კონცეფცია გამომდინარეობს პოსტულატიდან, რომ აზროვნება (ანუ პროცესი ფსიქოფიზიოლოგიურ და ნეიროფიზიოლოგიურ დონეებზე) ხორციელდება თავისი ენის ფორმებში (რაც ფსიქოლოგთა ტერმინოლოგიაში „შინაგან მეტყველებად“ იწოდება და რომლის პრედიკატური სტრუქტურა „გადაკოდირდება მეტყველებაში“. ამ კონცეფციაში წარმოდგენილია ორი შეხედულება: ა) სამყაროს წვდომა ხდება მხოლოდ აზროვნებაში, ენის დაუხმარებლად, თუმც ამ უკანასკნელს შეუძლია, სხვა ნიშნობრივი სისტემის მსგავსად, შეასრულოს აზროვნების დასაყრდენის როლი („ინდიფერენტული მიდგომა“), ბ) ენა მხოლოდ ხელს უშლის აზროვნების ფიქსაციასა და შეცნობილის გადაცემას („სეპეტიკური მიდგომა“).

3) ენა არის აზროვნება, მაგრამ აზროვნება არ არის ენა. აზროვნება და ლაპარაკი განიხილება, როგორც ერთი პროცესის ორი საპირისპირო მხარე. ენისა და ინტელექტის განვითარება ურთიერთგანპირობებულია, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის შედეგს. აზროვნება შესაძლებელია ენის გარეშე, ლაპარაკი კი აზროვნების გარეშე გამორიცხებულია.

4) აზროვნება არ არის ენა, და არც ენაა აზროვნება. აზროვნება და ენა ქცევის სხვადასხვა ტიპია, რადგან ადამიანი ჯერ ფიქრობს და მხოლოდ შემდეგ ამბობს.

5) აზროვნების ტიპები სხვადასხვაგვარია და სხვადასხვაგვარად არის ენასთან დაკავშირებული. თ. ფესენკო იზიარებს უკანასკნელ შეხედულებას როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური აზროვნების რეალობის შესახებ, რამდენადაც რეალური სინამდვილის ასახვის პროცესი ადამიანის ტვინის ნეირონულ კავშირებში აბსტრაქციის ორ საფეხურად რეალიზდება – როგორც გრძნობადი აზროვნება და როგორც ლოგიკური, რომლებიც სხვადასხვანაირად ესადაგება ბუნებრივ ენას. შესაბამისად, ადამიანის ფიქრს (აზრს) არ გააჩნია რეპრეზენტაციის რაიმე კონკრეტული და ერთადერთი ვარიანტი.

თავისი ბუნებით ადამიანის ფიქრი (აზრი) გულისხმობს, ერთის მხრივ, მისგან დამოუკიდებელ მატერიალურ სამყაროს, მის მიერ ასახულს და, მეორეს მხრივ – მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს. ფესენკოს აზრით, „ბუნებრივ ენას არ გააჩნია აზრის წარმოშობის ფუნქცია. ის წარმოადგენს ენის მატარებლის აზრის გამოვლენის საშუალებას, იძლევა ცნობიერების რეკონსტრუქციის გასაღებს” (Фесенко 2000:12).

რეალური სინამდვილე ადამიანის ტვინში აისახება, როგორც აზროვნების პროცესში ამ სინამდვილეზე დაგროვილი ცოდნა, რეპრეზენტირებული ენის მატერიალურ ფორმებში.

ენა საშუალებას აძლევს ადამიანს, გადავიდეს აზრის ისეთი ფორმებით ოპერირების დონეზე, რომლებიც ექსპლიციტური ვერბალურ ფორმათა სემანტიკაში. ამგვარად, აზროვნება არა მარტო აზრის ფორმებში არსებობს, არამედ რეალიზდება კონკრეტულ, აზრის ამ ფორმების მაექსკლიპიცირებელ, ვერბალურ ფორმებში. აზრობრივი და ენობრივი სრტუქტურების ურთიერკავშირისა და სინამდვილის შეცნობაში მათი როლის შესწავლამ საშუალება მისცა თ. ფესენკოს, სხვა მკვლევართა შემდეგ (ნ. ჟინკინი, ი. სტეპანოვი და სხვ.), მოეხდინა პოსტულირება „აზრის შუალედური ენის” არსებობისა, რომელიც განისაზღვრება „მენტალურ წყობათა ენად” და განიხილება, როგორც „შუალედური კოდი” უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და რეალურ მეტყველებას შორის და ახდენს აზრობრივი კოდის შინაარსის ვერბალურ ნიშნებში „ტრანსკოდირებას”.

თავი III:

ადამიანური ურთიერთობის ეთიკა და ესთეტიკა ეთნო-მენტალურ ცნობიერებაში (ეთნო-მენტალური ველი)

III. პარემიოლოგიური ტექსტები – კავშირი ხალხურ მენტალიტეტსა და კულტურას შორის

ჩვენი ეპოქა – XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი – ხასიათდება, როგორც მეცნიერებების არათანაბარი განვითარების საუკუნე; შეიმჩნევა ტექნიკური ცივილიზაციის მკვეთრი ზრდა და ჰუმანიტარული მეცნიერებების, რომელთა ძირითად საგანს წარმოადგენს ადამიანი თავისი საქმეებით, ქცევებით, აზრებით, მისწრაფებებით, ფანტაზიებითა და ემოციებით შენელებული განვითარება.

ცივილიზაციამ დაუშვა ისეთი ძლიერი ძალების შექმნა, რომლებიც იწვევს ადამიანის დაღუპვას, მის დამონებას, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებას ჯერ არ ძალუძს მისი გადარჩენა, ვინაიდან არ გააჩნია საკმარისი ცოდნა, რათა გაუგოს ადამიანს და სრულყოფილებამდე მიიყვანოს მისი საქციელი. დღესდღეობით აქტიურად ვითარდება ჰუმანიტარული სფეროს მხოლოდ ერთი მიმართულება – პროპაგანდა და მასებზე ზემოქმედებების საშუალებები. ადამიანის ინტელექტის სისუსტის დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ყოველი ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე ადამიანს უჩნდება ილუზია, რომ ამჯერად ხელისუფლებაში მოდის უფრო ჭკვიანი, მყარი ნებისყოფის და კეთილი პიროვნება.

ტექნოგენური ცივილიზაციის თანამედროვე აზროვნების სტილმა შექმნა ახალი ენა – პრიმიტიულ-დამახინჯებული და მეტისმეტად პრაგმატული ტექნიკური იდეოლოგიის, მაგალითად როდესაც ცხოვრებაზე საუბრობენ სამხედრო და სამედიცინო ტერმინებით: ბრძოლა მოსავლისთვის (битва за урожай), ჩეჩნეთის ოპერაცია (операция в Чечне) და ა.შ.

ბოლო წლებში, ფილოსოფიაში, კულტუროლოგიაში, ლინგვისტიკაში, ლინგოკულტუროლოგიაში საფუძველი ჩაეყარა ისეთ ტენდენციას, რომელიც მიმართულია ადამიანის სიდრმისეულ შესწავლაზე: მისი ბუნების, გარეგნობის, შინაგანი სამყაროს და ა.შ. ამასთანავე ძლიერდება რწმენა იმისა, რომ ადამიანის

ფენომენის გააზრების გზა გადის არა ბუნებრივი მეცნიერებების, არამედ ბუნებრივი ენების გავლით.

ჩვენი მიზანია – ვაჩვენოთ, თუ როგორ გავიგოთ ადამიანის შესახებ უფრო მეტი მისი ენიდან გამომდინარე. ვინაიდან ენა არის არა მხოლოდ კომუნიკაციის, გადმოცემის და აზრის გამოხატვის საშუალება. ასეთი მიდგომა წინა პლანზე აყენებს ენის გამოყენებას და არა მის არსებით საწყისს, რომელიც განისაზღვრება მისი ძირითადი ფუნქციით: ენაში ფორმირებულია სამყაროს კონცეპტუალური სახე.

ადამიანი, ჩვენი გაგებით, წარმოადგენს რომელიმე გარკვეულ ეროვნული მენტალობის და ენის მატარებელს, რომელიც სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებს საერთო მოქმედებებში (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – სამეტყველო მოქმედება). თანამედროვე მეცნიერებისთვის ინტერესის საგანს წარმოადგენს უკვე არა უბრალოდ ადამიანი, არამედ პიროვნება, ანუ კონკრეტული ადამიანი, შეგნებისა და ენის მატარებელი, რომელსაც აქვს ღრმა შინაგანი სამყარო და განსაკუთრებული დამოკიდებულება ბედისწერასთან, სამყაროსთან და ა.შ. მას სამყაროში და დედამიწაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის მუდმივად შედის დიალოგში სამყაროსთან, საკუთარ თავთან და ადამიანებთან. მას, როგორც ღვთის მიერ შექმნილ არსებას, გააჩნია ნების გამოხატვის თავისუფლება.

ჩვენ გვაინტერესებს არა თვითონ ადამიანი, არამედ ადამიანი ენაში. საქმე იმაშია, რომ ენა ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს, რომ ჩავწვდეთ ჩვენთვის მიუწვდომელ მენტალურ სფეროს, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს სამყაროს დანაწევრების საშუალებას ამა თუ იმ კულტურაში. ის გადმოგვცემს ადამიანზე ისეთ ინფორმაციას, რომელიც უცნობია თვითონ ადამიანისათვის.

ი. ა. გონჩაროვი ე. ნ. ნარიშკინასადმი წერილში წერდა: „ენა არ არის მხოლოდ კილო ან მეტყველება, ენა ადამიანის შინაგანი სახეა, მისი ჭკუაა, გულია მისი, ის აღზრდის, ძალაუფლების და ზნეობრიობის გამომხატველია“.

ალბათ, რადგანაც სამყარო და ჩვენ სიტყვისგან ვართ შექმნილნი, ამიტომაცაა ის ასე საინტერესო. ვ. ჰუმბოლტი წერდა: „ენის შესწავლა ითვალისწინებს არა საბოლოო მიზანს, არამედ დანარჩენ სხვა განხრებთან

ერთად ემსახურება მაღალ და საერთო მიზნებს, რომლებიც გამოიხატება ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობაში და მის დამოკიდებულებაში ხილული და უხივავი სამყაროს მიმართ“ (Гумнольдт 1984: 119-114). ბოლომდე რომ ჩავწდომილიყავით დიდი ენათმეცნიერის ამ აზრს, არაერთი საუკუნე გავიდა.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ფილოსოფია ვითარდება ენის სკრუპულოზური ანალიზის წყალობით. ენა ფილოსოფოსისთვის არა მარტო ფილოსოფიური კონცეფციის გადმოცემის საშუალებაა, არამედ ასევე ადამიანისა და სამყაროს შეცნობის საშუალებაც. მაშასადამე, თუ თავდაპირველად იყო სიტყვა, მაშინ სწორედ ის წარმოადგენს ცოდნის მნიშვნელოვან წყაროს, სწორედ მასშია ჩადებული მთელი ინფორმაცია სამყაროზე და ადამიანზე.

ფილოსოფიური იდეების მიზნად იქცა ადამიანი, რომელიც შეიცნობა სემიოტიკური ანალიზის საშუალებით, რაც თავისთავად გულისხმობს „მეორის“ არსებობას. ალბათ, ამიტომაც მ. ბუბერმა, ცნობილმა ებრაელმა ფილოსოფოსმა, აღმოაჩინა კვლევის ახალი ობიექტი: მე – შენ ურთიერთობა, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. ფაქტიურად ეს დიალოგიური ურთიერთობაა, რომლის მიხედვითაც „შენს“ გარეშე „მე“ არ არსებობს, ხოლო ადამიანის გზა – ეს ყოველთვის ორი ადამიანის გზაა, ეს არის ერთობლივი ცხოვრება. ადამიანი, რომელმაც შეიცნო სამყარო, ეს არის ადამიანი მეორე ადამიანთან ერთიანობაში. ჯერ კიდევ ლ. ფეიერბახი წერდა, რომ ადამიანის ბუნება სახეზეა მხოლოდ ურთიერთობის დროს, ადამიანის ადამიანთან ურთიერთობაში, რაც ემყარება მე–სა და შენ–ს შორის რეალურ სხვაობას. ეს უნივერსალური დიალოგიური ურთიერთობები, ადამიანის ადგილი სამყაროში, მისი დამოკიდებულება ღმერთთან, ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან იძლევა ადამიანის ხატს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ურთიერთობას მეორე ადამიანთან. მ. ბუბერი მიუთითებს ადამიანის ადამიანის ცხოვრების სამ დამოკიდებულებაზე; დამოკიდებულება სამყაროსთან, ადამიანთან და ღმერთთან მიმართებაში. არსებითი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ სრულყოფილ ფორმას იღებს ხელოვნებაში, ადამიანთან დამოკიდებულება – სიყვარულში, ხოლო დამოკიდებულება ღმერთთან – რელიგიურ ჭეშმარიტებაში. მე – შენ ურთიერთობა ადამიანსა და ადამიანს შორის გამოიხატება დიალოგში, რაც

გაფორმებულია მეტყველებაში. ჩვენი შენ, ღმერთთან მიმართებაში – ეს ჩვენი პასუხია იმ გამოძახილზე, რომელიც ჩვენ არ გვესმის, მაგრამ ვგრძნობთ. ჭეშმარიტი დიალოგი ღმერთთან უსიტყვოა, მაგრამ ის წარმოქმნის მეტყველებას.

მ. ბუბერი წერს: „ჩვენ ვუახლოვდებით პასუხს კითხვაზე „რა არის ადამიანი?“ მას შემდეგ, რა ვისწავლით მასში არსების დანახვას, რომლის დინამიურ ბუნებაში და ორგანულ შესაძლებლობაში ორის ყოფნა სისრულეში მოდის და შეიცნობა ერთის შეხვედრით მეორესთან“ (Bynep 1998). ნაშრომში „ადამიანის პრობლემა“ ის აღნიშნავს, რომ კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს ერთიანი და კონკრეტული ადამიანის პიროვნება, რომლის კვლევისათვის საჭიროა სხვადასხვა მეცნიერული მონაცემებიც, ისეთი სფეროებიდან, როგორებიცაა – ფსიქოლოგია, ეთნოგრაფია, ბიოლოგია და ა. შ. ლინგვისტიკასაც ერთერთი მოწინავე ადგილი უნდა ეჭიროს ამ კვლევაში.

ადამიანი არის კვლევის საგანი მთელ რიგ ლიტერატურულ უანრებში: ცხოვრების აღწერებში, ქრონიკებში, ჟამთაღწერაში, ავტობიოგრაფიებში, ეპისტოლარული უანრის ნაწარმოებებში, ნეკროლოგებსა და ქადაგებებში.

ენა არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ადამიანს ადეკვატურად აღიქვას სამყარო. ვ. ჰუმბოლდტი ენას ადამიანის გონის

უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან,

კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება, ჰუმბოლდტისთვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლდტის მოძღვრების ერთდროულად სოციალურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება (გამყრელიძე 2003:465).

ამრიგად, ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის იარაღს. იგი არის კულტურის სარკე, ენა მკადიოდ გამოხატავს ეროვნული მენტალობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს.

ე. ბენვენისტი თავის სტატიებში, რომლებიც 60–იან წლებში გამოქვეყნდა და 1974 წელს რუსულად ითარგმნა, ის წერს, რომ ენა თვით ადამიანის ბუნებაში დევს, ამიტომ შეუძლებელია ის იყოს როგორც ხელოვნური გამოგონება:

„სამყაროში მხოლოდ ადამიანს გააჩნია ენა, ადამიანს, რომელიც კომუნიკაციას ამყარებს მეორე ადამიანთან ენის საშუალებით, და შესაბამისად, საჭიროა ენა დავუკავშიროთ თვით ადამიანის მცნებას... სწორედ ენაში და ენის წყალობით კონსტრუირდება ადამიანი როგორც სუბიექტი, რადგან მხოლოდ ენას ძალუძს მისთვის რეალურობის მინიჭება, საკუთარი რეალურობისა, რომელიც ყოფიერების უმთავრესი თვისებაა...“ (Бенвенист 1974: 293).

ათასწლეულის დამდეგს ადამიანის შესწავლის ინტერესი გაიზარდა: 1990 წლიდან დაიწყო ჟურნალის „ადამიანი“ გამოცემა, 1991 წლის ბოლოს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ადამიანის ინსტიტუტი; 1990 წელს გამოვიდა კრებული „ადამიანი და კულტურა“; ხოლო 1991 წელს – კრებული „ადამიანში ადამიანურობის შესახებ“ (О человеческом в человеке). „ადამიანი ენაში“ – ამ პრობლემის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა ნ. დ. არუთუნოვამ, რომელმაც 1998 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ენა და ადამიანის სამყარო“, ხოლო 1999 წელს მისივე რედაქციით გამოქვეყნდა წიგნი „ენის ლინგვისტური ანალიზი, ადამიანის სახე ენაში და კულტურაში“.

ენა ადამიანის იდენტიფიკაციის ერთერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, ამიტომ ენაში მკვეთრი სიახლეების დამკვიდრება მანიპულირება შეიძლება ჩაითვალოს ენობრივ პიროვნებაზე ძალადობად: ამ სიტუაციაში ადამიანს არ აქვს თვითრეალიზაციის და თვითგაგების ჩვეული საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ენა წარმოშობილია ცხოვრების მიერ, თავისი ფუნქციონალურობით მისგან მოწყვეტილია (რადგან სიტყვები იძენენ სხვა მნიშვნელობებს) და თვითონ იწყებს მის შექმნას.

ბოლო წლებში ლინგვოქვეყანათმცოდნეობამ დიდი ყურადღება დაუთმო არა უბრალო ნაციონალურ–კულტურული ინფორმაციის ამოღებას კომუნიკაციურ ტექსტიდან, არამედ პიროვნების მენტალიტეტს, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციის ბევრ პარამეტრს (Костомаров. Бурвикова 1994:18-19).

მენტალურობა (ან მენტალიტეტი) ა. ვ. სერგეევას აზრით – ეს არის ხალხის ინტეგრალური დახასიათება, რომლებიც ცხოვრობენ კონკრეტულ კულტურაში, მათი განსაკუთრებული სამყაროს აღქმით, ცხოვრებისეული იერარქიის

ფასეულობებით, აზრებით, სოციალური და საყოფაცხოვრებო ქცევების ფორმებით (Сергеева 2004: 319).

ი. ე. პროხოროვი და ი. ა. სტერნინი მენტალიტეტში გულისხმობენ სინამდვილის აღქმისა და კოგნიტური სტერეოტიპების ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ლინგვოკულტურული ერთობლიობის წარმომადგენლებისათვის (Прохоров. Стернин 2002:42).

ი. ე. პროხოროვი და ი. ა. სტერნინი თვლიან, რომ კომუნიკაციურ-რელევანტურ მოვლენად ითვლება რუსი ადამიანისთვის ისეთი მენტალური შტრიხები, როგორცაა სულიერება, ყოფითი იმპულსირება, გულგრილობა „საშუალოსადმი“, კანონისადმი დაუდევრობა (Прохоров. Стернин 2002:221). მკვლევარები მიუთითებენ რუსული შეგნების რამდენიმე საკმაოდ მკვეთრ მენტალურ სტერეოტიპს, რომლებიც განსაკუთრებით ჩანს დასავლეთეუროპული და ამერიკული მენტალიტეტის ფონზე: ახალგაზრდა – მწვანეა; კვერცი ქათამს ვერ ასწავლის; მოითმენს – შეუყვარდება; მდიდარი – ესე იგი მატყუარა (შევადართ ამერიკულ მენტალიტეტთან: მდიდარი – ესე იგი ჭკვიანია); ახალი – ესე იგი შეუმოწმებელია (შევადართ ამერიკულს: ახალი – ნიშნავს კარგს, უკეთესს); არ არის ახალი ამბავი – ესე იგი, ცუდი ამბავია (ინგლისელებს – პირიქით: No news good news) (Прохоров. Стернин 2002:120).

კულტუროლოგები და ანთროპოლოგები ეთნიკურ საზოგადოებათა ფსიქოლოგიურ თავისებურებათა აღსანიშნავად სულ უფრო ფართოდ ხმარობენ „მენტალობის“ ცნებას. ეს ტერმინი, რომელიც სათავეს „ანალთა“ ფრანგული სკოლიდან იღებს, გამოიყენება „კოლექტიურ წარმოდგენათა“, კოლექტიური არაცნობიერის საპირისპირო მოვლენის აღსანიშნავად. ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, „მენტალობა“ სახეთა სისტემაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის წარმოდგენებს სამყაროს შესახებ, საკუთარი ადგილის შესახებ ამ სამყაროში და, მაშასადამე, განსაზღვრავს ადამიანების ქცევასა და ქმედებას (Дюби 1991:52).

ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ვ. კოლესოვი ხალხური მენტალიტეტის შესწავლის ორსაუკუნოვან ისტორიაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ პირველმა მკვლევარებმა – სოციოლოგებმა და კულტუროლოგებმა შენიშნეს მენტალური სხვაობანი პირველყოფილ და თანამედროვე ხალხებს შორის, თუმცა „სულის ფორმებსა“ და „მენტალურ ფუნქციებზე“ საუბრობდნენ და

არა თვითონ მენტალიტეტზე. შემდგომში ფსიქოლოგებმა აღმოაჩინეს მსგავსებანი ამდაგვარ „სულის ფუნქციებსა“ და ბავშვის მიერ სამყაროს აღქმას შორის და დაიწვეს საუბარი მენტალიტეტზე. შემდეგ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ბოლო, როდესაც მოხდა შუასაკუნეების აზროვნების ტიპის განსაზღვრა და მისი რამდენიმე განმასხვავებელი თვისების გამოყოფა, რამაც ბიძგი მისცა შუასაკუნეების ადამიანის მენტალიტეტის შესწავლას.

60-ანი წლების ბოლოს მენტალიტეტის პრობლემატიკის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გამოიკვეთა, რომლის წარმომადგენლებიც მენტალიტეტის გამოვლინებას ეროვნული ენების კატეგორიებსა და ფორმებში ეძებდნენ. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი გამოკვლევები ადრე არ არსებობდა. საკმარისია, დავასახელოთ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის კლასიკად ქცეული შრომები, რომლებიც აღნიშნული მიმართულების კვლევებს თეორიულ საფუძვლად დაედო, პოტენიას ენის სიმბოლური და ბოლუენ დე კურტენეს სახისმეტყველებითი ფორმები. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მენტალობის პრობლემა სამეცნიერო კონცეფციად ფრანგმა კონცეფტუალისტებმა აქციეს, რომელთა მიხედვით „გონება-იდეის“ მიმართება ნებისმიერი კვლევის საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მეცნიერის ამოცანას შეადგენს იმ კავშირის გამოვლენა, რომელიც არსებობს სიტყვა-ტერმინსა და საგან-ნივთს შორის.

როგორც ვ. კოლესოვი აღნიშნავს, ფრანგული ეპისტემა, როგორც მენტალობის ერთეული, ზედაპირული ხასიათისაა და ვერ სწვდება ქვეცნობიერის სიღრმეებს, როგორც ამას აკეთებს გერმანული ფილოსოფია. შემოაქვთ რა კონცეფტის, როგორც მენტალობის ერთეულის, კატეგორია (რომლის არსი ჰერმენევტიკული ანალიზის შედეგად შეიცნობა), ისინი ქვეცნობიერის შრემდე აღწევენ.

ამრიგად, პრობლემა წარმოიშვა ფრანგული კონცეფტუალიზმის ფარგლებში, გაფორმდა ინგლისურ-ამერიკულ ნომინალიზმში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა გერმანულ-რუსულ რეალიზმში (Колесов 2004:13).

ავტორს აღნიშნული ტერმინის განსაზღვრების სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენელთა ვარიანტები მოჰყავს. ასე მაგალითად, შუა საუკუნეების საზღვარგარეთის ისტორიის მკვლევარი მიიჩნევს, რომ წარსული დროის ადამიანთა სამყაროს სურათი შინაგანად წინააღმდეგობრივია და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული (ასაკი, სქესი, სოციალური ფენა). ამიტომ

უმჯობესია, მენტალობის გამოვლინებაზე კონკრეტულად ვისაუბროთ. ეს არის ცალკეულ ადამიანთა გონება დანარჩენებთან მიმართებაში.

განსხვავებულად უდგებიან ამ საკითხს სოციალური ფსიქოლოგები: მენტალობა არის ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი ფსიქიკური ცხოვრების სპეციფიკა, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად განპირობებულია მოცემულ ისტორიულ მომენტში (ცოდნა+რწმენა). ეს არის ეროვნული ხასიათი მის განვითარებაში.

როგორც პროფესორი სემიონოვი განმარტავს, „მენტალობა – ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხანგრძლივი გუნება-განწყობა, გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ღირებულებების, ნორმებისა და მიმართებების ერთობლიობა, გამოვლენილი კოგნიტურ, ქცევით და ემოციურ ფორმებში, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ სოციალური ჯგუფებისა თუ მათი წარმომადგენლებისათვის.“

ეთნოლოგისათვის მენტალიტეტი არის ეთნიკურ წარმოდგენათა სისტემა პრიორიტეტების, ქცევის ნორმებისა და მოდელის შესახებ, რომლებიც ეფუძნება სოციალურ გარემოში ჩამოყალიბებულ გაუცნობიერებელ კომპლექსებს (ეთნიკურ კონსტანტებს). ეს არის ღირებულებათა სისტემა, რომელიც ქმნის კულტურის არსებობის სივრცეს. მაშასადამე, საქმე ეხება ეთნიკურ მონაცემებს, რომლებიც გარკვეულ ეთნიკურ გარემოში იხვეწება

მენტალიტეტი არის ეთნოსის ცნობიერების საყოველთაოდ მიღებული განწყობა, ერთგვაროვანი რეაქცია გარემოს არაერთგვაროვან გამოვლინებაზე.

კულტუროლოგისთვის მენტალობა არის პიროვნების კულტურული ადჰურვილობა, რომელიც მოიცავს ენას, გონებას, ცნობიერებას, აზრს, „მე“-ს. მენტალიტეტი მხოლოდ პოზიტიური ნიშნით არ არის მარკირებული.

გაცნობიერება-არჩევანის გარეშე უმაღლესი მენტალიტეტი თავის გამოვლინებაში წარმოგვიდგება ინსტინქტის-ინტუიციის დონეზე. მენტალიტეტი ვიწრო გაგებით არის, პირველ რიგში, ენა, სიტყვები.

ადმოსავლური კულტურის მკვლევრისათვის, ფილოსოფოსისათვის და ფილოლოგისათვის მენტალიტეტი სამყაროს გულუბრყვილო სურათია, რომელიც მთლიანობისკენ, მაგრამ არა სისრულისკენ, მიისწრაფის (როგორც სამყაროს მეცნიერული სურათი). ის პრაგმატულია, ესთეტიკურად გაფორმებული და სურვილის (ოცნების) მოდალობით მოქმედებს. ლოგიკა აქ

მეორე პლანზეა, ვინაიდან აზროვნებენ არა ცნებებით, არამედ პროტოტიპებით. ეს არის კონკრეტული არადისკურსიული აზროვნება მენტალური წარმოსახვითი სიმბოლოებით. მენტალობა, საბოლოო ჯამში, არის სემანტიკური, აზრობრივი ველების სისტემა.

აჯამებს რა აღნიშნული ფენომენისადმი ვიწრო უწყებრივ მიდგომებს, ვ. კოლესოვი ასკვნის, რომ: „მენტალიტეტი თავისი ნიშნებით წარმოადგენს სამყაროს გულუბრყვილო სურათს თავისი ღირებულებითი ორიენტირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობენ. კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ეფუძნება ეთნიკურ მიმართებებს და ისტორიულ ტრადიციებს, ვლინდება ცალკეული წარმომადგენლის გრძნობებში, ნებასა და გონებაში ენისა და აღზრდის ერთიანობის საფუძველზე და ეროვნული სულიერი კულტურის ნაწილს წარმოადგეს” (Колесов 2004:14).

კოლესოვი მიიჩნევს, რომ მენტალობის ენობრივი მოდელი ასახავს რუსული ფილოსოფიის ძირითად მიმართებას, რომელიც ინტუიციურად აცნობიერებდა რუსული მენტალობის სიტყვიერ ღირსებას, დაფუძნებულს ხალხური კულტურის იმ ძირითადი კონცეფტების ლოგიკურ გაშლა-განვითარებაზე, რომლებიც გენოტიპშია ჩადებული და ქვეცნობიერის დონეზე არსებობს. ამ თვალსაზრისით, მენტალობა გაისაზღვრება როგორც მსოფლადქმა, ასახული მშობლიური ენის ფორმებსა და კატეგორიებში, რომელიც შემეცნების პროცესში აერთიანებს ეროვნული ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ და ნებელობით თვისებებს მათს ტიპიურ გამოვლინებებში (Колесов 2004:15).

კოლესოვს მიაჩნია, რომ მენტალობის ენობრივი მოდელი რუსული ფილოსოფიის ძირითად განწყობას ასახავს, რომელმაც ინტუიციურად გააცნობიერა ხალხური კულტურის კონცეპტების ლოგიკურ განვითარებაზე დაფუძნებული რუსული მენტალობის ღირსება, კონცეპტებისა, რომლებიც გენოტიპშია ჩადებული და ქვეცნობიერის დონეზე არსებობენ. ამგვარად მენტალობა განისაზღვრება როგორც შემეცნების პროცესში ეროვნული ხასიათის ინტელექტუალური, სულიერი, ნებელობითი თვისებების ერთობლიობა მის ტიპიურ გამოვლინებებში, როგორც „სამყაროს ჭვრეტა მშობლიური ენის კატეგორიებით და ფორმებით,“ (Колесов 2004:15).

მოცემული თავის მიზანია კონკრეტული მასალისთვის აუცილებელი თეორიული წანამძღვრების განსაზღვრა.

1. ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ენობრივი და კოგნიტიური ცნობიერება არ არის ერთი და იგივე, თუმცა მათი შინაარსი ძირითად ნაწილში იკვეთება. ენობრივ ცნობიერებას ენობრივი ბუნება გააჩნია და ენის, როგორც ადამიანის აზრის საუკეთესო გამოსატყულების, საშუალებით ვლინდება. მეორე მხრივ, ჩვენი ცნობიერება ენობრივი დონის ერთეულებით მთლიანად ვერ გამოიხატება.

2. ენობრივი ცნობიერება წარმოადგენს ლინგვოკულტურული საზოგადოების, ანუ საერთო კულტურით გართიანებული ადამიანების ჯგუფის საფუძველს. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ერთიანობა, კოგნიტიურ ბაზად წოდებული, ცოდნისა და წარმოდგენების სპეციალური სახით ორგანიზებული ფონდით განისაზღვრება.

3. ადამიანის მენტალური სამყარო რეალიზდება კულტურის ძირითად კონცეფტებში, რომლებიც სამყაროს სურათის საბაზო ერთეულებს წარმოადგენენ. ეროვნული ხასიათისა და სამყაროს სურათის კვლევა უნდა ეყრდნობოდეს კულტურის ძირითად კონცეფტებს, რომლებიც კოლექტიური, ენობრივი ცნობიერების ბუნების მანიფესტაციას წარმოადგენენ.

4. ჩვენ გამოვდივართ მენტალიტეტის, როგორც „სამყაროს გულუბრყვილო სურათის“, გაგებიდან, რომელშიც ასახულია მისი ღირებულებრივი ორიენტირები, ხოლო მენტალობას განვიხილავთ, როგორც სამყაროს ასახვას მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, როგორც ინტელექტუალურ, სულიერ და ნებელობით თვისებათა ერთობლიობას მის ტიპიურ გამოვლინებებში, ფიქსირებულს შემეცნების პროცესის შედეგად.

მენტალიტეტი, როგორც ხალხის ფსიქოლოგიური ცხოვრების სპეციფიკა იხსნება:

- 1) მოცემულ საზოგადოებაში არსებულ ცოდნაზე და სარწმუნოებაზე დაფუძნებული შეხედულებებისა და შეფასებების სისტემის, გონებაგანწყობილების ნორმების მეშვეობით;
- 2) ენის მეშვეობით. ენის ანალიზი საშუალებას იძლევა საკმაოდ მკაფიოდ გამოვაკლინოთ ადამიანების გარემოსადმი დამოკიდებულების კულტურული სპეციფიკა და წარმოადგენს ადამიანის შინაგან სამყაროს. ენის მეშვეობით შეიძლება აზროვნების სტილის დადგენა;
- 3) მოცემულ ჯგუფში წამყვანი მოტივების, ფასეულობების იერარქიის მეშვეობით, რომლებიც გამოიხატება შეხედულებებში, იდეალებსა

და ინტერესებში. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა გამოვაგლინოთ სოციალური პოზიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარკვეული მოქმედების შესრულების მზადყოფნას. მენტალიტეტი ყველაზე მკაფიოთ ვლინდება ადამიანების, გარკვეული კულტურის წარმომადგენლების, ტიპურ ქცევებში და უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ქცევის და გადაწყვეტილების მიღების სტერეოტიპებში, რომლებიც საქმეზე ნიშნავს ქცევის ერთერთი ალტერნატივის არჩევას;

- 4) ემოციური სფეროს, რომელიმე გრძნობების გაბატონების მეშვეობით;
- 5) ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური და ეთნიკური კატეგორიების ანალიზის მეშვეობით, რომლებითაც ოპერირებს ჩვეული გონება: “თავისუფლება”, “შრომა”, “დრო”, “სივრცე”, “ოჯახი”.

რუსი მეცნიერი-მედიევისტი ა.ი. გურვეიჩი ამუშავებს მენტალობის დაწვრილებით სტრუქტურას, რომლის შემადგენლებია:

- 1) ბუნების სახე და მასზე გავლენის ხერხები.
- 2) სივრცის და დროის აღქმა და ამასთან დაკავშირებული ისტორიული პროცესის გააზრება.
- 3) მიწიერი სამყაროს და საიქიოს თანაფარდობა და სიკვდილის შესაბამისი აღქმა და განცდა. ბუნებრივისა და ზებუნებრივის შეფარდება. სამყაროში ადამიანის ადგილის გააზრება.
- 4) ნივთობრივი სამყაროსადმი დამოკიდებულება: შრომის, საკუთრების, სიმდიდრის, სიღარიბის, საქმიანობის სფეროსადმი.
- 5) თავისუფლებისადმი დამოკიდებულება (ძალაუფლება, თავისუფლება, დამორჩილება).
- 6) ახალი, არატრადიციულისადმი დამოკიდებულება (ტრადიციული, ნოვაციური კულტურები).
- 7) სოციალური პოზიცია: ბავშვობა, სიბერე, ოჯახი, სქესობრივი დემორფიზმი.
- 8) სხვადასხვა სახის საინფორმაციო წყაროების არსებობისადმი დამოკიდებულება (ზეპირი/წერილობითი; სიტყვიერი/არასიტყვიერი კულტურები) (Ученное ...2002:60).

საერთოდ, ნაციონალური აზროვნების განუმეორებლობა სამყაროს მორალურ-ფასეულობითი ინტერპრეტაციის კუთხით გამომჟღავნებულია ეროვნულ ფრაზეოლოგიაში. ალბათ, დავეთანხმებით იმას, რომ ნებისმიერი ხალხის ანდაზებში და გამონათქვამებში „საოცარი ძალითაა აღბეჭდილი „სამყაროს სურათი“, რომელიც ჩამოყალიბდა ადამიანის გონებაში“ და ნაციონალური ენის ფრაზეოლოგიის სისტემატიზაცია წარმოადგენს „სოლიდურ საფუძველს, რათა ღრმად იქნეს შესწავლილი „მიამიტი“ სოციალური ფსიქოლოგია, რომელმაც გამოვლინება ჰპოვა ენაში“ (Шувалова 1998:103).

ვ. ვ. ვორობიოვის აზრით რუსული მენტალობა წარმოადგენს არა ნაციონალურ სისტემას, არამედ კერპთაყვანისმცემლობისა და ქრისტიანობის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპულის, კათოლიკურისა და მართლმადიდებლურის, სლავიანურისა და საბჭოურის თვითმყოფად სინთეზს (Воробьев 1997:305).

რუსული მენტალობა, ვ. ვ. ვორობიოვის აზრით, შედგება: ცხოვრების რელიგიურ – ემოციონალურ განხილვაში, რუსების არსებობის აზრში და საყოველთაო დანიშნულებაში, უმაღლესი ძალაუფლების აღქმაში, მსხვერპლგადებაში, ერთობლიობაში, მართლმადიდებლური რწმენის ერთადერთობაში, ხასიათების წინააღმდეგობაში, რაოდენობის ხარისხზე უპირატესობაში, პრაქტიკულ მოქმედებაში, სულიერებაში, სიკეთეში და ა. შ. (Воробьев 1997:305–306). ვ. ვ. ვორობიოვი თვლის, რომ რუსული მენტალიტეტი (მენტალობა), რუსული თვითშეგნება, „რუსული–ლოგო–ფსიქო–კოსმოსი“, ან რუსი ხალხის „გონებრივი და სულიერი ჩამოყალიბება“ იცვლებოდა ათასწლეულების მანძილზე ისევე, როგორც იცვლებოდა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურა (Воробьев 1996:46). რუსული მენტალიტეტის დინამიურობაზე მოწმობს ცვალებადობა ნაციონალურ ხასიათებში, მაგალითად, წარსულში:

ა. დადებითი – კაცთმოყვარება, სიმამაცე, ჰუმანიზმი, მსხვერპლშეწირვა, ძალა, კეთილგანწყობა.

ბ. უარყოფითი – სიზარმაცე, ღოთობა, ფუჭი ოცნებები, მფლანგველობა, მონური მორჩილება.

ახლა:

ა. დახასიათებულია, როგორც დადებითი თვისება – სიუხვე, ძალა, სიმამაცე, მოთმინება, გამბედაობა, თავის ქება, ცბიერება.

ბ. დახასიათებულია, როგორც უარყოფითი თვისება – სიზარმაცე, უდისციპლინობა, ფუჭი ოცნებები, ლოთობა, დასაველეთისადმი მიბაძვა, მფლანგველობა (Вороньев 1996:56).

დღესდღეობით ხდება ფასეულობების გადაფასება, ხდება „გონების კარნავალიზაცია“, „ენის კარნავალიზაცია“. ნ. დ. ბურვიკოვი და ვ. გ. კოსტომაროვი აღნიშნავენ, რომ ესეა სულ უფრო ხშირად იხსენებენ ბახტინის ნამუშევრებს. მ. მ. ბახტინმა ჩაატარა სისტემური ანალიზი შუასაუკუნეების დღესასწაულებთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ხდებოდა ადგილების შეცვლა „მაღალ“ და „დაბალ“ ფენებში. მეფე და მისი მასხარა ცვლიდნენ ადგილებს: „სალანძღავი“ და „საქებარი“ ივსებოდა სხვა ობიექტებით. მ. მ. ბახტინი წერდა: „მე ვცხოვრობ სხვისი სიტყვების სამყაროში და მთელი ჩემი ცხოვრება წარმოადგენს ამ სამყაროში სხვის სიტყვებზე რეაქციას“ (Бахтин 1990:367).

კარნავალზე ადამიანებს შორის იშლება ყველა ზღვარი, ხდება ფასეულობების გადაფასება და შერევა ერთმანეთში. ის რაც აღიარებულია როგორც „მაღალი“ – მშობლებისა და ხელისუფლების ავტორიტეტი, იდეოლოგიური დოგმები – კარნავალი ყველაფერს შლის და ანადგურებს, თანაც საკმაოდ უხეში და სასტიკი ფორმით. მაღალ საფეხურებზე მდგომთ აძაგებენ, სცემენ, ემუქრებიან სიკვდილით და დანაწევრებითაც კი (ეს ყველაფერი რა თქმა უნდა მხოლოდ სიტყვებია). ხოლო რაც ითვლება „დაბალ“ ფენად, „უწესოდ“, კარნავალი პირიქით, ადიდებს და გმირულ სახეს ანიჭებს (Бахтин 1990:367).

მენტალიტეტი: სამყაროს ენობრივი სურათი გამოხატავს ხალხის – ენის მატარებელთა კოგნიტურ, კულტურულ და სოციალურ მახასიათებლებს, ასევე მათი ცხოვრების გეოგრაფიულ პირობებს. ეს გამოხატულება კი თავის მხრივ განისაზღვრება ხალხის მენტალიტეტით (Иванова 2006:44).

მენტალიტეტის ცნებას არ აქვს ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ზოგიერთი ენათმეცნიერი მენტალიტეტს აიგივებს სამყაროს სურათთან. ე. ვ. ივანოვას აზრით, ყველაზე მისაღები განმარტება ი. ტ. დუბოვს აქვს, რომლის თანახმადაც „მენტალიტეტი ინტეგრალური თვისებაა ხალხისა, რომლებიც ცხოვრობენ კონკრეტულ კულტურაში, რაც თავის მხრივ აღწერს ამ ხალხის მიერ თავისებურად აღქმულ გარესამყაროს და განმარტავს მათი გარესამყაროზე რეაგირების სპეციფიკას“ (Дубов 1993:20). მენტალიტეტი ახდენს სამყაროს სურათის ფორმირებას და ამავედროულად ვლინდება სამყაროს ენობრივ სურათში, რაც თავის მხრივ, მეტყველებს ენობრივი მენტალიტეტის არსებობაზე (Иванова 2006:48).

ის ფაქტი, რომ ანდაზები და გამონათქვამები ინახავენ სამყაროზე და ამ სამყაროში მოღვაწე ადამიანის შესახებ ცოდნას, მეცნიერებს აძლევს საშუალებას ჩამოყალიბდნენ სამყაროს შესახებ ანდაზურ წარმოდგენაზე. ე. ვ. ივანოვა წიგნში „Мир в английских и русских пословицах“ წერს სამყაროს ანდაზური სურათის არსებობაზე, როგორც ცალკეულ ფრაგმენტზე, სამყაროს ენობრივი სურათის ნაწილზე (Иванова 2006:3), ასევე ანდაზური მენტალიტეტის არსებობაზე (მენტალიტეტის, რომელიც მუდავნდება ანდაზური სამყაროს სურათში). ანდაზური მენტალიტეტი – ეს ანდაზების მენტალიტეტი კი არა, არამედ ხალხის მენტალიტეტია, რომელიც ასახულია ანდაზურ ფონდში, უფრო სწორად, ხალხის გარკვეულ სოციალურ ჯგუფში (Иванова 2006:49). ხალხის მსოფლმხედველობა და მისი სამყაროს აღქმა საგნობრივდება ენაში მისთვის დამახასიათებელი ხატების, ეტალონების, სტერეოტიპების, მითოლოგიების, სიმბოლოების და სხვათა სისტემაში. ამაში გარკვეული როლს თამაშობს ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობა, ვინაიდან მისი ერთეულების შინაარსობრივ დატვირთვას წარმოადგენს კულტურულ – ეროვნული სამყაროს ხედვა. თვით ხატის კულტურულად მნიშვნელოვანი აზრი აშკარა ხდება ფრაზეოლოგიზმების (Телия 1996:249) ან ანდაზების (Верещагин 1990:78) სიტყვასიტყვითი წაკითხვისას.

ხალხის მენტალიტეტი ნაციონალურ–სპეციფიურ ხასიათთან ერთად წარმოადგენს ენათშორის, უნივერსალურ და ზოგადსაკაცობრიო ხასიათს.

ასე რომ, ყველა პარემიოლოგიური ერთეული როდი წარმოადგენს კულტურულ-ნაციონალურ კოლორიტს, ზოგიერთი მათგანი ვერ ახერხებს აღმოაჩინოს კავშირი ხალხის მენტალიტეტსა და კულტურას შორის, მათ აქვთ ზოგადსაკაცობრიო და უნივერსალური მნიშვნელობა. მაგალითად, “to throw dust into someone’s eye” – „пускать пыль в глаза“ (მტერის თვალებში შეყრა). რუსულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიზმებს შორის განსხვავებას დ. ო. დობროვოლსკი ხსნის მეორადი ნომინაციების მექანიზმების დაუმთხვევლობით და არა კულტურული სპეციფიკით (Добровольский 1997:37).

ანტროპოცენტრიზმის, როგორც კვლევის განსაკუთრებული პრინციპის, სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის ობიექტები შეისწავლება ადამიანის სასიცოცხლო მოღვაწეობაში მათი როლისა და დანიშნულების მიხედვით ადამიანის პიროვნების განვითარებისა და სრულყოფის პროცესში. ადამიანი ხდება ამა თუ იმ მოვლენათა ათვლის წერტილი, ის ჩართულია ანალიზში და განსაზღვრავს მის პერსპექტივებსა და საბოლოო მიზნებს” (Курьякова 1995:51). კონცეფტოსფერო “ადამიანი” ამ უკანასკნელს განსხვავებული პოზიციებიდან განიხილავს - სხვა ადამიანებთან, რეალური სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან, საზოგადოებასა და მის ინსტიტუტებთან, პიროვნების ინტელექტუალურ და პრაქტიკულ საქმიანობასთან და ა.შ. მიმართებაში. ადამიანი ხასიათდება ფიზიკური და ფსიქიკური, ეთიკური და ესთეტიკური მახასიათებლების მიხედვითაც. როგორც ცნობილია, ადამიანი არის ცოცხალი სისტემა, რომელიც ფიზიკურისა და სულიერის, ბუნებრივისა და სოციალურის, მემკვიდრეობით მიღებულისა და და ცხოვრებაში შექმნილის ერთიანობას წარმოადგენს. სამყაროს სურათის ფორმირებისას ადამიანის ფსიქიკური მოღვაწეობის ყველა მხარე იღებს მონაწილეობას - შეგრძნებებითა და წარმოდგენებით დაწყებული, აზროვნებითა და თვითშემეცნებით დამთავრებული. ადამიანი გვევლინება როგორც ბიოლოგიური, ინტელექტუალური, სულიერი და სოციალური პიროვნება. ადამიანი შეიგრძნობს სამყაროს, აცნობიერებს მას, აძლევს გარკვეულ ინტერპრეტაციას, ასახავს მას კმნის შესაძლო სამყაროებს და ა.შ.


კონცეფტოსფერო “ადამიანის“ სტრუქტურირება ეფუძნება შიდასისტემურ კავშირებს. რომლებიც ასახავენ ადამიანის არსებობის სხვადასხვა მხარეს: ფიზიკური არსებობა, ინტელექტუალური მოღვაწეობა,


სულიერი მოღვაწეობა და სოციალური საქმიანობა. საკვლევი მასალის ინტერპრეტაცია ხდება ოთხი ველის ფარგლებში:

- 1 ველი -“ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება“
- 2 ველი -“ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება“
- 3 ველი -“ადამიანი როგორც სულიერი არსება“.
- 4 ველი -“ადამიანი როგორც სოციალური არსება.

კონცეფტოსფერო “ადამიანი” შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილის სახით, რომელიც შესაბამისი ველების საშუალებით ასხავს საკვლევი ფენომენის სხვადასხვა მხარეს.

კონცეფტოსფერო “ადამიანი “





პირველი მიკროველი “ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება“ ასახავს ბიო-ფიზიოლოგიურ ანუ ბუნებრივ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას. ადამიანის გარეგნობის აღწერა გულისხმობს სტატიკური ანატომიური დეტალებისა და გარეგნული ნიშნების ფიქსაციას, რომლებიც პიროვნებას გამოარჩევენ. ამ ველის კოგნიტური მოდელი ეფუძნება მხედველობით აღქმას, რაც ადასტურებს თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორიების მონაცემებს, რომელთა მიხედვით სენსორული მონაცემების 80%-ზე მეტი მხედველობის ორგანოებზე მოდის. აღნიშნული ველის სემანტიკურ ინვარიანტს წარმოადგენს მნიშვნელობა, რომელიც ადამიანის გარეგნულ თვისებებს, მის ფიზიკურ თავისებურებებს გამოხატავს.

მეორე მიკროველი - “ადამიანი როგორც ინტელექტუალური არსება“ – საკვლევ ფენომენს ინტელექტუალურ მოღვაწეობასთან მიმართებაში განიხილავს, რომელიც უკავშირდება ადამიანის ლაპარაკისა და გაგების სამყაროს ხედვიას და აღქმის, მოქმედებების დაგეგმვის, ფანტაზირებისა და განსჯის და ა.შ. უნარს. იმ ძირითად სისტემებზე საუბრისას, რომლისგანაც “იქმნება” ადამიანი ინტელექტის სფეროში გამოყოფენ ისეთ ქვესისტემებს, როგორცაა, ცოდნა, რწმენა, გაგება, მეხსიერება და სხვა, რომელითაც სპეციალური ორგანოები “ემსახურებიან” (Апресян 1996:48).

სამყაროს შეცნობისა და გარდაქმნის პროცესი შეუძლებელია საკუთარი მოქმედებების, საქციელის, აზრების გაცნობიერების გარეშე. შეგნებული

მოქმედებები, რომლებიც ადამიანის ქცევის ძირითად მოტივს წარმოადგენენ, მჭიდროდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ისევე როგორც წარმოსახვა და ფანტაზია, როგორც ადამიანის შემოქმედებითი საწყისის გამოვლინება, რომელიც სამყაროს შეცნობისა და გარდაქმნისკენ მიისწრაფის. ადამიანის გონებრივი მოღვაწეობა რთული პროცესია და წმინდა სახით არ არსებობს. ის გადახლართულია ფსიქიკურ პროცესებთან (შეგრძნებებთან, აღქმებთან), რომლებიც ადამიანს საგანთა და მოვლენათა არსის წვდომაში ეხმარება. ნ. კონდაკოვის მიხედვით ადამიანის შემეცნების დიალექტიკის ფორმულა შემდეგნაირია: «изучив конкретное, человек создает абстрактное, а затем от абстрактного восходит к конкретному, обогащенному знанием абстрактного» (Кондаков 1975:11).

მეცნიერები თვლიან, რომ ცნობიერება მოიცავს სინამდვილის აღქმის მთელ პროცესს თავის შემადგენლობაში აქცევს სამყაროს აღქმის ემოციურ, ესთეტიკურ, ნებელობით ფორმებს.

ცნება “ფიქრი” შედის გონებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა სიტყვაში, ამიტომ მოცემული ველის ერთეულთა მნიშვნელობა იქმნება ამ სემანტიკური კომპონენტისა და მნიშვნელობის დამატებითი ელემენტით, რომელიც მოცემული სიტყვისთვის სპეციფიკურია. ველის ინვარიანტული მნიშვნელობაა ფიქრის, განსჯის, აზრის გამოთქმის უნარის გამოვლინება.

მესამე ველი “ადამიანი როგორც სულიერი არსება” ადამიანს წარმოგვიდგენს როგორც არსებას, რომელსაც ხელეწიფება თავისი ნების გამოძღვანება, ემოციური შეფასების გაკეთება, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების გამოსატყა.

პიროვნების სულიერი თვისებების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება სოციალური ცხოვრების ზეგავლენით იქმნება. სოციალურსა და სულიერ (ზნეობრივ) ურთიერთობებს შორის რთული ურთიერთდამოკიდებულებაა: ზნეობრივი შედის სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში როგორც ნაწილი მთელში. სოციალურ ურთიერთობათა ცვლასთან ერთად ჩნდება ადამიანის ახალი სულიერი მახასიათებლები.

პიროვნების ზნეობრივ (სულიერ) და სოციალურ თვისებათა გამიჯვნის სირთულემ გარკვეული პირობითობის კვალი დაამჩნია ადამიანის სულიერი თვისებების ამსახველ ლექსიკურ ერთეულებს. აღნიშნული ველის

ინვარიანტული მნიშვნელობა უკავშირდება პიროვნების სულიერ მახასიათებლებს

მეოთხე ველი - “ადამიანი როგორც სოციალური არსება” -ასახავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანის დამოკიდებულებას საკუთრებისადმი, შრომისადმი, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტების და ორგანიზაციების და “სოციალურ ქცევას” მიმართ. როგორც საზოგადოების წევრი ადამიანი ხვდება მისი განვითარების ზოგადი კანონების მოქმედების არეალში და ამყარებს სხვადასხვა სახის ურთიერთობას. აღნიშნული ველის გამოყოფისას ჩვენ სოციალურობის ფართე გაგებიდან გამოვდივართ, რაც გულისხმობს ადამიანის სამყაროსთან, ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების მთელ სპექტრს. ნებისმიერი ადამიანის ფსიქიკა საფუძველშივე სოციალურია, საზოგადოება არ არსებობს პიროვნებებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების გარეშე, ამიტომ ურთიერთობა ადამიანური ურთიერთობების თავისებური სკოლა და ადამიანის როგორც სოციალური არსების ჩამოყალიბების საფუძველია.

ტემპერამენტში, ქცევის ფორმებსა და ცხოვრების წესში, ხასიათის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებში ვლინდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა თავისებურება. პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებში თავს იყრის სოციალურად ღირებული ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა და გათავისდება ხალხის მიერ ურთიერთობის მეშვეობით.

ინდივიდი საზოგადოებაში ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს, არის სხვადასხვა სოციალური სიტუაციის მონაწილე, რომლებიც ქცევის ნორმებსა და ენობრივ კოდებს შეიცავენ. მეცნიერებაში ცნობილია ენის სოციალური ფუნქციონირების წესები, როგორცაა სამეცნიერო აქტის წესები (ჯ. სერლი), მიმართვის წესები (ს. ერვინ-ტრიპი), დისკურსის წესები (უ. ლაბოვი), რომლებიც სოციალური ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტებს ასახავენ. სემანტიკურ სტრუქტურაში ასახული სოციალური კომპონენტი სტატუსთა განსხვავებაზე ანუ სოციალურ როლების ასიმეტრიაზე შეიძლება მიგვითითებდეს. შესაძლოა ტერმინ “სოციალური კომპონენტი” უფრო ფართე გაგებაც - საზოგადოებაში ადამიანების ადგილის მითითება.

ველი “ადამიანი როგორც სოციალური არსება” “ინვარიანტულ მნიშვნელობად მიგვაჩნია ადამიანის კავშირი სოციოსფეროსთან, რაც განსაზღვრავს მის მიმართებებს ადამიანებთან და მოვლენებთან.

ამრიგად, კონცეფტოსფეროში “ადამიანი” გამოვყავით ოთხი მიმართულება, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისიდან ახასიათებენ ადამიანს ბიოლოგიურ, ინტელექტუალურ, სულიერ და სოციალურ პლანში. თითოეულ ჯგუფში თავისი შიდა გრადაცია არსებობს, რომელიც შემდგომ დეტალიზაციაში აისახება (იხ.სქემა) და საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად ადეკვატურად დავახასიათოთ განსახილველი კონცეფტი. თუ ჩვენ ემპირიულ მასალას დავუბრუნდებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპარატიული ლოგოეპისტემები საკმაოდ ინფორმატიულნი არიან კონცეფტ “ადამიანის დახასიათებისთვის” ვინაიდან ასახავენ ეროვნული კულტურით დეტერმინირებულ ხედვას და შეფასებას. ნებისმიერი შეფასება შეიცავს როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ საწყისს, მყარ ენობრივ შეფასებაში მოცემული შეფასება მის სოციალურ შინაარსზე მიგვითითებს, რაც ენობრივი ნიშნით ფიქსირდება. მეორე მხრივ კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებისას ადამიანი სუბიექტური შინაარსით ამდიდრებს მას. ეს ორი ტენდენცია სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ. თავდაპირველად კომპარატიული ლოგოეპისტემები როგორც ინდივიდუალურ-საავტორო შედარებები გვევლინებიან, რომლებიც გარკვეულ პირობებში ზოგადენობრივ სტატუსს იღებენ. მეორე მხრივ, მათი კონკრეტულ სიტუაციაში და კონკრეტული ინტენციით გამოყენება მათ არატრივიალურ ხასიათს აძლევს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენის ცოდნა სამყაროს კონცეფტუალიზაციას გულისხმობს, ამასთანავე იდეების კონფიგურაცია, რომელიც მოცემულია მშობლიური ენის სიტყვებში, მოლაპარაკის მიერ აღიქმება როგორც თავისთავადი და მას უჩნდება ილუზია, რომ ასე, ამგვარადაა მოწყობილი სამყარო. სწორად ამ ილუზიის დაძლევის საშუალებას იძლევა საკვლევი ენების შეპირისპირებითი ანალიზი. კომპარატიული სტერეოტიპების კროს-კულტუროლოგიური ანალიზი დაკავშირებულია კულტურული მნიშვნელობების გამოვლენასთან, რომელიც ენობრივ ერთეულებში და სტრუქტურებშია აკუმულირებული. ერის კულტურული პრიორიტეტების გამოვლენა და მათი საშუალებით მენტალობის სპეციფიკური ნიშნების დადგენა საკვლევი კულტურების

შესაბამისი ფრაგმენტების შეპირისპირების გზით ურთიერთგაგების მოდელის შემუშავებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ნებისმიერი ენის ანტროპოცენტრულობის იდეას თუ დაუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მყარი ენობრივი შედარებებში მოცემული შეფასებითი ასპექტი საშუალებას გვაძლევს პიროვნების დახასიათებაში ეთნოსის დამოკიდებულება დავინახოთ. ამ “სიღრმისეულ“ დონეზე შეიძლება გამოვლინდეს მნიშვნელობა, რომელიც ცნობიერების პერიფერიაზე, ქვეცნობიერის სფეროში იმყოფება.

ნებისმიერი შეპირისპირება გარკვეული პროცედურებისა და პრინციპების დაცვას მოითხოვს.

III.II. სტერეოტიპული გამონათქვამების უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ბუნება

ლიპმანის აზრით, სტერეოტიპები არიან ადამიანის თავში არსებული მოწესრიგებული და კულტურით დეტერმინირებული სამყაროს სურათები, რომლებიც, ერთი მხრივ, ზოგავენ მის ძალისხმევას რთული სოციალური ობიექტების აღქმისას და, მეორე მხრივ, იცავენ მის ღირებულებებს, პოზიციას და უფლებებს (Lippmann 1922:21).

აღნიშნული განსაზღვრება ჩვენთვის საინტერესოა სამყაროს ერთიანი სურათის სტრუქტურირებისა და მისი სამყაროს ცალკეულ სურათებად დაყოფის თვალსაზრისით. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ სტერეოტიპებს გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული კუმულაციური ფუნქცია. მეორე მხრივ, სტერეოტიპები გვევლინებიან არა მარტო როგორც ინფორმაციის უბრალო მატარებლები, არამედ – როგორც სოციალური გამოცდილების ფიქსაციის ფორმა. სოციოლოგიაში, როგორც ცნობილია, სტერეოტიპიზაცია განიხილება, როგორც შემეცნების რაციონალური ფორმა, როგორც კატეგორიზაციის უნივერსალური საშუალების კერძო შემთხვევა. სოციალური კატეგორიების შექმნისას ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მახასიათებლებზე, რომელთა დახმარებით ადამიანებს, რომლებიც ერთსა და იმავე ჯგუფს მიეკუთვნებიან, აღიქვამენ, როგორც მსგავსებს. სოციოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი, „რესურსების დაზოგვის თეორია“, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს სტერეოტიპიზაციის პროცესს და მის შესაძლებლობას, უზრუნველყოს ინდივიდები ინფორმაციის მაქსიმუმით მინიმალური ინტელექტუალური აქტივობის პირობებში. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სტერეოტიპები თავიდან გვაშორებს რთულ სოციალურ სამყაროზე რეაგირების აუცილებლობას. სტერეოტიპი, ამავედროულად, სოციალურ რეალობაზე წარმოდგენის უმარტივესი ფორმაა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიუღწეველია უფრო მაღალი, უფრო ზუსტი და ინდივიდუალიზირებული წარმოდგენა. სტერეოტიპიზაცია ხშირად განიხილება, როგორც სოციალურად ღირებული ინფორმაციის გაცნობიერების საშუალება.

„სამყაროს მონიშვნის“ ფუნქციზე საუბრისას მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სტერეოტიპების სისტემა შეიძლება შეადგენდეს ჩვენი პირადი ტრადიციის ბირთვს და ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობის დაცვის

საშუალებას. ისინი წარმოადგენენ სამყაროს მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ და არაწინააღმდეგობრივ სურათს, რომელშიც მოხერხებულადაა დაწყობილი ჩვენი წეს-ჩვეულებები, გემოვნება, შესაძლებლობები და იმედები. სტერეოტიპული სურათი, ლიპმანის აზრით, შეიძლება არასრული იყოს, მაგრამ ეს შესაძლებელი სამყაროს სურათია, რომელსაც ადამიანები რეალობად აღიქვამენ. ამ სტერეოტიპების სამყაროში ადამიანებს და საგნებს მათთვის განკუთვნილი ადგილები უჭირავთ და აღქმისას მოულოდნელობის წინაშე არ გვაყენებენ. სტერეოტიპების სისტემა არა მარტო დიდი მრავალფეროვნების და მოუწესრიგებელი რეალობის მასზე მოწესრიგებული წარმოდგენით შეცვლის საშუალებას, არამედ – აღქმის შემოკლებული და გამარტივებული გზაც. სტერეოტიპები სავსეა ჩვენი გრძნობებითა და მიდრეკილებებით, პოზიტიური და ნეგატიური შეფასებებით, ასოცირდება შიშთან, სურვილებთან, მისწრაფებებთან, სიამაყესთან და იმედებთან (Lippmann 1922:44).

მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, ისინი, როგორც წესი, უარყოფით მოვლენებთან ასოცირდებიან. საკმაოდ პოპულარულია მოწოდება „დავამსხვრიოთ სტერეოტიპები“, რაც კარგად გამოხატავს საზოგადოების წევრთა უმრავლესობის დამოკიდებულებას აღნიშნული მოვლენის მიმართ. მიზეზი შეიძლება ვეძებოთ სოციალური ურთიერთობების დინამიკურობაში, რის შედეგადაც ახლად წარმოქმნილი ღირებულებები წინააღმდეგობაში მოდიან უკვე არსებულთან. ის ფაქტი, რომ ცვალებადობას განიცდიან სტერეოტიპებიც, მეტყველებს იმაზე, რომ სტერეოტიპები ყოველთვის საჭიროა. აუცილებელია მხოლოდ, რომ საზოგადოებრივ რეალიათა და ენობრივ ასახვას შორის რეალური თანაფარდობა არსებობდეს, ვინაიდან, როგორც პროფესორი მაცუმოტო აღნიშნავს – „სტერეოტიპები უძვირფასესი მენტალური საყრდენია, რომელიც გვეხმარება სამყაროს შესახებ ინფორმაციის ორგანიზაციაში“ (Мацумото 2002:11).

როგორც ერთი ავტორიზმი გვამცნობს, „სტერეოტიპები იმიტომ იქცევიან სტერეოტიპებად, რომ გააჩნიათ საფუძველი“. მართლაც, სტერეოტიპად რომ იქცეს, მოვლენამ უნდა მიიღოს სოციალური სანქცია, ასახავდეს კოლექტიურ თვალსაზრისს და წარმოადგენდეს გარკვეულ ნორმატიულ მოდელს. სწორედ ეს განაპირობებს მის სიცოცხლისუნარიანობას.

სტეროტიპების ტიპოლოგიაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ ის დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთან, რომლებიც სამყაროს სურათის მრავალსპექტურობას ასახავენ და კაცობრიობის გამოცდილების უმრეტობაზე მეტყველებენ.

მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპის პრობლემა აქტუალურია სხვადასხვა მეცნიერებისათვის, მისი დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია ჯერ არ შექმნილა. ლიდერები ამ სფეროში – სოციოლოგები და ფსიქოლოგები – თავიანთ კლასიფიკაციებს აფუძნებენ ფაქტებზე, რომლებიც ამ დისციპლინებისთვისაა რელევანტური. ასე წარმოიშვა სტერეოტიპების დაყოფა: ა). ჯგუფური პრინციპის მიხედვით (ინდივიდუალური, ჯგუფური, ნაციონალური); ბ). სქესის მიხედვით (გენდერული); გ). ასაკის მიხედვით (საბავშვო, მოზარდთა და ა.შ.), დ) როლებრივი – კომუნიკაციური სიტუაციიდან გამომდინარე. პოპულარობა მოიპოვა სტერეოტიპების დაყოფამ ქცევისა და ცნობიერების სტერეოტიპებად. ქცევის სტერეოტიპი წარმოადგენს სოციო-კულტურული ჯგუფის და მასში შემავალი ინდივიდების მყარ, რეგულარულად განმეორებად ქცევას, რომელიც განპირობებულია ამ ჯგუფში მოქმედ ღირებულებრივ-ნორმატიული სისტემით.

ცნობიერების სტერეოტიპები წარმოადგენს ღირებულებრივ-ნორმატიული სისტემის შესახებ იდეალური წარმოდგენების ფიქსაციას, რომლებიც ქცევის სტერეოტიპების საფუძველს ქმნიან. ცნობიერების სტერეოტიპები ქმნიან ქცევის მოდელებს, ხოლო ქცევის სტერეოტიპები ნერგავენ ამ მოდელებს ცხოვრებაში.

დავუბრუნდეთ ჩვენს თემატიკას და განვიხილოთ სტერეოტიპისა და ენობრივი ნიშნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სტერეოტიპები დამახასიათებელია ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროსათვის, მათ შორის – ენობრივისთვისაც.

ამ უკანასკნელისთვის ნიშანდობლივია ის ფუნქციები, რომლებიც ძირითადია სტერეოტიპების ფორმირებისთვის - კუმულაციური ფუნქცია, ნორმატიულობა, ეკონომიურობის ტენდენცია, მნიშვნელობის უნივერსალობა და სხვა.

სტერეოტიპული გამონათქვამები სამეტყველო ეტიკეტის შემადგენელი ნაწილებია და მათი გამოყენება დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა მოლაპარაკეთა ასაკი, სქესი, სიახლოვის ან ძალაუფლების დონე და სხვ. საგულისხმოა, რომ გოდარდი და ვეუბიცაა

სტერეოტიპულ გამოთქმებს “ლინგვისტურ რუტინებს” უწოდებენ. მათი განმარტებით, “ლინგვისტური რუტინები” უცვლელი გამონათქვამები ან გამონათქვამების თანმიმდევრობაა, რომლებიც სტანდარტიზირებულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენება (მაგ: მისაღმება, დამშვიდობება, მადლობის გადახდა) (Goddard, Wierzbicka 1997:249-250). ლინგვისტური რუტინები განპირობებულია როგორც ფორმით, ასევე სოციოკულტურული კონტექსტით.

ენის საშუალებით აისახება კულტურულ-სოციალური გამოცდილება, რომელიც ენობრივი საშუალებებით ფიქსირდება. სტერეოტიპები განსხვავებული სახით არსებობენ და ვერბალური და არავერბალური ფორმით შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი. ენობრივი სტერეოტიპები შეიძლება სიტყვის, ფრაზეოლოგიზმის, პარემიის და თვით ტექსტის სახით იყოს წარმოდგენილი. ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტუაციები და ადამიანთა ურთიერთობის ასპექტები ხშირად მეორდება და ამიტომ სტერეოტიპული ხდება. თავის მხრივ, ცხოვრებისეული სიტუაციების გამეორებადობამ წარმოშვა შაბლონური ფრაზების მთელი წყება, რომლებმაც ლიტერატურაში მიიღეს სახელწოდება „სტერეოტიპული გამონათქვამები“, „კლიშე“, „ურთიერთობის მყარი ერთეულები“, „ფრაზეოლოგიზირებული ერთეულები“ და ა.შ. ფრაზეოლოგიზირებული ერთეულების წარმოქმნა ენის პრაგმატიკითაა განპირობებული, რომელიც კომუნიკაციაზე ორიენტირებული და სტანდარტის მოთხოვნილებას წარმოქმნის. თვით ენის ისეთი ვირტუალური ერთეული, როგორცაა სიტყვა ლექსიკაში, წარმოადგენს სტერეოტიპს, რომელიც ასახავს ადამიანის გამოცდილების განზოგადებას, კონდენსირებულს მინიმალურ ენობრივ ნიშანში. შედარებით რთულ ენობრივ ნიშანთა შორის სამეცნიერო ლიტერატურაში პოპულარულია ანდაზები და სიტყვა-თქმანი, რომელთა დანიშნულებაა ადამიანის ფსიქიკაზე, მის აზრებზე, ნებელობაზე და გრძნობებზე ზემოქმედება და, შედეგად, მისი სოციალური და ინდივიდუალური ქცევის რეგულირება. ბევრი ანდაზა და გამონათქვამი აღიქმება ენობრივი სოციუმის მიერ, როგორც იმპერატიული ხასიათის, სოციალურად ღირებული, ინტერპრეტაცია. აქ იმპერატივი გვევლინება როგორც სამეტყველო აქტივობა, რომლის მეშვეობითაც ადრესანტი თავს ახვევს მოსაუბრეს თავის თვალსაზრისს. იმპერატივი შეიძლება იყოს აქტივობის გამომწვევი ან ამკრძალავი და შეიცავდეს ინსტრუქციულ და ინტერდიქციულ ფუნქციებს.

შედარებით უფრო რთულ შემთხვევებს წარმოადგენენ ტექსტები. სტერეოტიპიზაციისკენ მიდრეკილება განსაკუთრებით დამახასიათებელია ინფორმაციის მასობრივი საშუალებებისთვის, რომლებმაც დროის მწვავე დეფიციტის პირობებში უნდა უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმაციით მომარაგება და, შეძლებისდაგვარად, მოახვიონ მას ავტორისეული ხედვა. სტერეოტიპების შექმნა და დამკვიდრება ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა უმნიშვნელოვანეს ფუნქციად ითვლება.

სტერეოტიპულობის ტენდენცია ნაკლებად დამახასიათებელია მსატრული ლიტერატურისათვის, თუმცა საწინააღმდეგო ტენდენციის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლიტერატურული მიმდინარეობა.

სტერეოტიპისა და შეფასებითობის კატეგორიებს ჩვენ შეგვხვთ ძირითადი საკვლევი მასალის პრეზენტაციისთვის შესაბამისი ფონის შესაქმნელად. სანამ უშუალოდ მყარ ენობრივ შედარებებზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევაჯამოთ ზემოთქმული:

1) წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად უდევს ენის, როგორც ცნობიერების მატერიალიზაციის ერთ-ერთი ფორმის გაგება, რომელიც აძლევს ადამიანს საშუალებას არამარტო სწორად გაერკვეს გარემო სინამდვილეში, არამედ გააცნობიეროს თავისი კულტურის სპეციფიკა;

2) სამყაროს მატერიალური ერთიანობა საშუალებას გვაძლევს გარე სინამდვილე განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელიც სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტებისგან იქმნება და მთლიანობაში სამყაროს ენობრივ სურათში ერთიანდება;

3) საბაზო კონცეფტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ენობრივი ფაქტებისა და ეთნოენობრივი ინფორმაციის დამოკიდებულება, რომელიც ეროვნულ-კულტურული სივრცეების ფარგლებში ვლინდება და მოიცავს კულტურის ფენომენზე ეროვნულ-კულტურული თანამეგობრობის წევრთა ყველა არსებულ და პოტენციურად შესაძლებელ წარმოდგენას;

4) ენა, რომელიც სამყაროს აღქმის ორგანიზებას ახდენს, მუდმივ ურთიერთქმედებაშია სამყაროს კულტურულ სურათთან. კულტურის, როგორც სამყაროს ხატის, შინაარსი გამომდინარეობს იმ გამოცდილებიდან, რომელსაც ადამიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს, მაგრამ კომუნიკაციურად ღირებული ინფორმაცია მხოლოდ ენის საშუალებით ხორციელდება;

5) ენის კუმულაციური ფუნქცია ახორციელებს კავშირს თაობათა შორის, წარმოადგენს არაენობრივი კოლექტიური გამოცდილების გადმოცემის საშუალებას და ვლინდება სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების: სიტყვების, გამონათქვამების, ტექსტების სახით, რომლებიც, მიუხედავად დონეობრივი სხვაობისა, ინფორმაციას ვერბალური ფორმით გამოხატავენ. ლინგვისტური სტრუქტურების ენობრივი ფორმა ახდენს გარეენობრივი მოვლენების ნომინაციას და ტაქსონომიზაციას;

6) წმინდა ენობრივ მოდელებთან ერთად არსებობენ მოდელები, რომლებიც ერთ კომპლექსში აერთიანებენ ენობრივ და კულტურულ მნიშვნელობებს და ლინგვოკულტურემებად იწოდებიან. სწორედ ასეთებად მივიჩნევთ მყარ ენობრივ შედარებებს, რომლებიც შეფასებით და სტერეოტიპულ მახასიათებლებს შეიცავენ.

7) შეფასება, რომელიც ეროვნულ-სუბიექტურ მოდალობას შეიცავს და კოლექტიურ სუბიექტს – ხალხს ეკუთვნის, გვევლინება, როგორც ეთნიკური თვალსაზრისი;

8) შეფასებასთან ერთად, რომელიც სამყაროს შიდაენობრივ აქსიოლოგიას ასახავს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტერეოტიპების შესწავლას, რომლებიც სამყაროს შესახებ ინფორმაციის გადამუშავების და პრეზენტაციის ისეთ ფორმას წარმოადგენენ, რომელიც ადამიანს სამყაროში ორიენტაციას უადვილებს;

9) სტერეოტიპების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შექმნისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მყარი ენობრივი შედარებების სპეციფიკა, რაც გამოწვეულია სტერეოტიპული და შეფასებითი მნიშვნელობების თავმოყრით ტიპიზირებულ ენობრივ სტრუქტურაში.

დასკვნა

ინგლისური, ქართული და რუსული ლოგოეპისტემების მიხედვით ადამიანური მიმართებების ეთნო-მენტალური ველის ინტერპრეტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ლოგოეპისტემა წარმოადგენს რთულ სემიოტიკურ წარმონაქმნს, რომელსაც არსებობის ორგვარი მოდუსი გააჩნია - ერთი მხრივ მას განვიხილავთ როგორც ენობრივ სტერეოტიპს - ფრაზეოლოგიურ ტექსტს, რომელიც მთლიანად ექცევა ლინგვისტური კვლევის ჩარჩოებში, ხოლო - მეორე მხრივ-როგორც კულტურულ ნიშანს, რომელიც კლიშირებული ფორმით აფიქსირებს საზოგადოებრივად რელევანტურ ცოდნას.

ლოგოეპისტემა არის ენობრივი სურათის ფრაგმენტი, რომელშიც აისახება ეროვნული კულტურის “კვალი”. კულტურული ინფორმაცია დაცულია მის შინაგან ფორმაში, რომელიც წარმოადგენს ხატოვან წარმოდგენას სამყაროს შესახებ და სძენს ლოგოეპისტემას კულტურულ-ეროვნულ კოლორიტს.

ურთიერთობასთან დაკავშირებული ლოგოეპისტემები სამყაროს ინტერპრეტირებას, შეფასებას და მისდამი სუბიექტური დამოკიდებულებას ასახავენ. მათი სახეების შერჩევაში იკვეთება კავშირი კულტურულ-ეროვნულ სტერეოტიპებსა და ეტალონებთან.

ემპირიული მასალის ანალიზი ენობრივი აზროვნების დინამიურ ხასიათს აფიქსირებს, რაც ღირებულებათა სისტემის და მიმართებების ცვალებადობაში აისახება;

სამყაროს ენობრივი სურათების ურთიერთობის ველი ინტერაქციის სემის გარშემო ერთიანდება და სტრუქტურირდება პოზიტიური და ნეგატიური მიმართების კოორდინატების მიხედვით.

შედარებამ დაადასტურა ურთიერთობის ფენომენტან დაკავშირებული შესაბამისი ენის მატარებელთა კოგნიტური, კულტურული და სოციალური მახასიათებლების დეტერმინირებულობა ხალხის მენტალიტეტით.

ადამიანთა ურთიერთობის წესებმა, რომლებიც შესაბამისი ლოგოეპისტემების ანალიზის შედეგად მივიღეთ, დაგვანახა, რომ ხალხის მსოფლმხედველობა და მისი სამყაროს აღქმა საგნობრივდება ენაში მისთვის დამახასიათებელი ხატების, ეტალონების, სტერეოტიპების, მითოლოგიების, სიმბოლოების და სხვათა სახით.

ლოგოების ტემებში დაფიქსირებულ ადამიანთა ურთიერთობის წესებში გამოვლენილ განსხვავებას მეორადი ნომინაციების მექანიზმების არაერთგვაროვნება ქმნის, თუმცა ხალხის მენტალიტეტს ნაციონალურ-პეციფიკურ ხასიათთან ერთად უნივერსალური ნიშნებიც გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე... 2003: გამყრელიძე თ; კიკნაძე ზ; შადური ი; შენგელაია ნ. “თეორიული ენათმეცნიერების კურსი”. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. Bennett 1993: Bennett M.J. “Towards Ethnorelativism: A Developmental Model of Intercultural Sensitivity.” Yarmouth, ME: Intercultural Press.
3. Goddard... 1997: Goddard C. and Wierzbicka A. “Discourse and Culture, Discourse and Social Interaction, Discourse Studies”, Volume 2, Sage Publication. New York.
4. Haskell 1987: Haskell A. “Phenomenology of Metaphor: A precise study into metaphor and its cognitive movement through Semantic space. Cognition and Symbolic structure.” Norwood.
5. Kluckhohn ... 1961: Kluckhohn, C. and Strodtbeck, F. (1961) Variations in value orientations. Evanston, IL: Row, Peterson.
6. Lippmann 1922: Lippmann W. “Public Opinion”. NY: Harcourt, Brace.
7. Tyler 1987: Tyler. V. “Intercultural Interacting,” USA.
8. Whitehead 1990: Whitehead M. Language and Literacy in the Early Years, Paul Chapman, London.
9. Амосова 1963: Амосова Н. Н. Основы английской фразеологии. — Л.
10. Аникин 1966: Аникин, В.П. “Возникновение жанров в фольклоре (К определению понятия жанра и его признаков) / В.П. Аникин // Русский фольклор”. Вып. X. Специфика фольклорных жанров. - М.; Л.: Наука.
11. Апресян 1996: Апресян Ю.Д., Основы системной лексикографии и толковый словарь // Отделение за лингвистика и литература наука.
12. Ахманова 1969: Ахманова О. С. Словарь лингвистических терминов: М., Советская энциклопедия.
13. Бахтин 1990: Бахтин М.М. “Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса”. М.
14. Бенвенист 1974: Бенвенист Э. „Общая лингвистика“. -- М.
15. Бондарко 2003: Бондарко А. В. “Проблемы функциональной грамматики. Семантическая инвариантность/вариативность”.
16. Бубер 1998: Бубер М. “Проблема человека”. – Киев.

17. **Буслаев 1954:** Буслаев Ф. И. "Русские пословицы и поговорки, собранные и объясненные. М.
18. **Вежбицкая 1996:** Вежбицкая А. Язык. Культура. Познание. Издательство: Русские словари.
19. **Вежбицкая 2001:** Вежбицкая А. "Понимание культур через посредство ключевых слов". Пер. с англ. А. Д. Шмелёва. — М.: Языки славянской культуры.
20. **Вежбицкая 1996:** Вежбицкая А. "Язык. Культура. Познание". М.
21. **Верещагин... 1990:** Верещагин Е. М. Костомаров В. Г. "Язык и культура". М.
22. **Верещагин ... 1999:** Верещагин Е.М., Костомаров В.Г. "В поисках новых путей развития лингвострановедения: концепция речеповеденческих тактик". М.: Ин-т рус. яз. им. А.С.Пушкина.
23. **Верещагин ... 2002:** Верещагин Е.М., Костомаров В.Г. "В поисках новых путей лингвострановедения: гипотеза (лого)эпистемы. Мирознание вне и посредством языка". М.
24. **Виноградов 1947:** Виноградов В.В. "Русский язык. Грамматическое учение о слове". М. Государственное учебно-педагогическое издательство.
25. **Воробьев 1997:** Воробьев В. В. "Лингвокультурология: теория и методы". Москва.
26. **Воробьев 1997:** Воробьев, В. В. Лингвокультурологическая парадигма личности / В. В. Воробьев. — М.
27. **Выготский ...1993:** Выготский Л.С., Лурия А.Р. "Этюды по истории поведения". М.
28. **Гаврин 1963:** Гаврин С. Г. "Изучение фразеологии русского языка в школе". М.
29. **Гийом 1992:** Гийом Г. "Принципы теоретической лингвистики". М.
30. **Горький 1934:** Горький М. Материалы и исследования, т. 1. Л.
31. **Горький 1953:** Горький М. Еще о грамотности. —, т. 24. Собр. соч. М.
32. **Грушевицкая ... 2003:** Грушевицкая Т.Г. Попков В.Д. Садохин А.П. Основы межкультурной коммуникации. Под редакцией А.П. Садохина. Москва.
33. **Гудков 2003:** Гудков, Д. Б. "Теория и практика межкультурной коммуникации" / Д. Б. Гудков. – М.
34. **Гумбольдт 1984:** Гумбольдт В. "Избранные статьи по языкознанию". -- М.

- 35. Даль 1955:** Даль В. И. Толковый словарь, т. 3. М.
- 36. Даль 1957:** Даль В. И. “Пословицы русского народа”. М.
- 37. Дандес 2003:** Алан Дандес: Фольклор: семиотика и/или психоанализ. 2003. Пер. с англ.; Сост. А.С. Архипова. Сборник статей. М.: Вост. лит.
- 38. Добровольский 1996:** Добровольский Д. О. Образная составляющая в семантике идиом / Д. О. Добровольский // Вопросы языкознания. - 1996. - № 1.
- 39. Добровольский 1997:** Добровольский Д.О. Национально-культурная специфика во фразеологии // Вопросы языкознания. 1997. № 6.
- 40. Дридзе 1976:** Дридзе, Т. М. Интерпретационные характеристики и классификация текстов / Т. М. Дридзе // Смысловое восприятие речевого сообщения. М.
- 41. Дубов 1993:** Дубов И.Г. “Феномен менталитета: психологический анализ // Вопросы психологии”. М., 1993.
- 42. Дюби 1991:** Ж. Дюби. “Развитие исторических исследований во Франции после 1950 г. // Одиссей. Человек в истории. Культурно-антропологическая история сегодня”. М.
- 43. Ейгер 1990:** Ейгер, Г. В. “Механизмы контроля языковой правильности высказывания” / Г. В. Ейгер. – Харьков.
- 44. Жуков 1978:** Жуков В. П. “Семантика фразеологических оборотов”. — М.
- 45. Жуков 2002:** Жуков, В. П.: Словарь русских пословиц и поговорок. 7-е изд., стереотип. М.
- 46. Зимняя 1993:** Зимняя И. А. Способ формирования и формулирования мысли как реальность языкового сознания // Язык и сознание: парадоксальная рациональность. М.
- 47. Иванова 2006:** Иванова И.Е. Отражение российской ментальности в рекламном тексте: реклама в провинциальной периодике 1880-х гг. (по материалам газеты «Тверские губернские ведомости») // Объединенный научный журнал. М., № 17
- 48. Караулов 1986:** Караулов Ю. Н. “Роль прецедентных текстов в структуре и функционировании языковой личности // Научные традиции и новые направления в преподавании русского языка и литературы”. МАПРЯЛ. – М.

- 49. Караулов 1989:** Караулов Ю.Н. Петров В.В.–“От грамматики текста к когнитивной теории дискурса”//Т.А. Ван Дейк. Язык. Познание. Коммуникация.– М.
- 50. Карлинский 2007:** Карлинский А. Е. Избранные труды по теории языка и лингводидактике. – Алматы.
- 51. Колесов 2004:** Колесов В.В. Язык и ментальность / В.В.Колесов.- СПб.: Петербургское Востоковедение.
- 52. Комлев 1992:** Иностранное слово в деловой речи: крат. слов. новых сл. с пер. и толкованием / Н.Г.Комлев. - М. : МКДЦИ.
- 53. Кондаков 1975:** Логический словарь-справочник (Второе, исправленное и дополненное издание), Издательство: Наука.
- 54. Копыленко ... 1972:** Копыленко М. М. Попова З.Д. Очерки по общей фразеологии. Воронеж.
- 55. Костомаров ... 1994:** Костомаров В.Г., Бурвикова Н.Д. “Как тексты становятся прецедентными” // Русский язык за рубежом, №1.
- 56. Костомаров 1994:** Костомаров, В. Г. Язык и культура. Новое в теории и практике лингвострановедения: докл. на VIII конгр. МАПРЯЛ / В. Г. Костомаров, Ю. Е. Прохоров, Т. Н. Чернявская. – М.
- 57. Костомаров ... 2001:** Костомаров В.Г., Бурвикова Н.Д. “Старые мехи и молодое вино. Из наблюдений над русским словоупотреблением конца XX века”. Спб.
- 58. Кубрякова 1995:** Кубрякова Е.С. Эволюция лингвистических идеи во второй половине XX века (опыт парадигмального анализа)/Е. С. Кубрякова // Язык и наука конца XX века. М.: Рос. гос. гуманит. ун-т.
- 59. Кунин 1984:** Кунин А.В. Англо-русский фразеологический словарь. Изд. 4-е. М. Русский язык.
- 60. Кунин 1985:** Кунин А.В. “Поговорки о современном английском языке”. – ИЯШ.
- 61. Ларин 1956:** Ларин Б. А., “Очерки по фразеологии, Очерки по лексикологии, фразеологии и стилистике”, Учен. зап. ЛГУ, № 198, Филол. фак-т, Сер. филол. наук. Вып. 24. Ленинград.
- 62. Леонтьев 1993:** Леонтьев А.А. Языковое сознание и образ мира // Язык и сознание: парадоксальная рациональность. М.

- 63. Маслова 2001:** Маслова В. А. „Лингвокультурология”: Учеб. пособие для студ. высш. учеб. заведений. -- М.: Издательский центр «Академия».
- 64. Маслова 2004:** Маслова В.А. “Введение в когнитивную лингвистику”: Учебное пособие / В.А. Маслова. – М.: Флинта: Наука.
- 65. Мацумото 2002:** Мацумото Д. “Психология и культура”. СПб.
- 66. Менеджеричкая 1997:** Менеджеричкая Е.О. “Термин «дискурс» в современной художественной литературы \ \ Лингво-когнитивные проблемы межкультурной коммуникации” \ ред. В.В. Красных, А. И. Изотов, М.: Филология.
- 67. Мокиенко 2007:** Мокиенко В. М. “Почему так говорят? От Авося до Ятя. Историко-этимологический справочник по русской фразеологии”. - СПб., Изд-во: Норинт.
- 68. Морковкин... 1997:** Морковкин В. В., Морковкина А. В. Язык, мышление и сознание et vice versa // Русский язык за рубежом. № 1.
- 69. Немов 1998:** Немов Р.С. “Практическая психология”. М.
- 70. Новикова 1978:** Русское народное поэтическое творчество (М.А. Вавилова, В.А. Василенко, Б. А. Рыбаков и др. под редакцией А.М. Новиковой. – 2-ое издание) Издательство «Высшая школа».
- 71. Пермяков 1970:** Пермяков Г. От поговорки до сказки (заметки об общей теории клише). Москва.
- 72. Пермяков 1988:** Пермяков Г.Л. “Основы структурной паремиологии”. – М.
- 73. Потеня 1989:** Потеня А. А. “Мысль и язык // Слово и миф”. М.
- 74. Пропп 1976:** Пропп В.Я. “Фольклор и действительность”. – М.
- 75. Прохоров ... 2002:** Прохоров Ю.Е., Стернин И.А. “Русское коммуникативное поведение”. М.
- 76. Ружицкий 1995:** Ружицкий И.В. “О понимании // Интерпретация художественного' текста в иноязычной аудитории”. — Тверь: ТГУ.
- 77. Селиверстова 2003:** Селиверстова, Е. И.: Проблема тождества пословицы и лексическая вариантность. In: Вестник СПбГУ. Сер. 2. История, языкозн., литератур. Вып. 4, СПб.
- 78. Сергеева 2004:** Сергеева А. В. “Русские Стереотипы поведения, традиции, ментальность”. Флинта, Наука.
- 79. Симони 1899:** Симони П.К. “Старинные сборники русских пословиц, поговорок, загадок и пр. XVI-XIX ст.” – В сборнике отд.

русского языка и словесности Академии наук, т. 16, вып. 7. Спб.

- 80. Степанова 2005:** Государственный институт русского языка им. А. С. Пушкина Е.М. Верещагин, В.Г. Костомаров. "Язык и культура". Три лингвострановедческие концепции: лексического фона, речеповеденческих тактик и сапиентемы. Под редакцией и с послесловием академика Ю.С. Степанова Издательство «Индрик». Москва.
- 81. Телия 1996:** Телия В. Н. "Русская фразеология: семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты". – Москва.
- 82. Телия 1996:** Телия В. Н. "Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты". М. Часть III. Культурно-национальная специфика единиц фразеологического состава языка.
- 83. Толстая 1994:** Толстая С. М. "Зеркало в традиционных славянских верованиях и обрядах" // Славянский и балканский фольклор. -- М.
- 84. Толстой 1995:** Толстой Н. "Язык и народная культура. Очерки по славянской мифологии и этнолингвистике", М.: Индрик.
- 85. Трубецкой 1995:** Трубецкой Н. С. "История. Культура. Язык". – М.
- 86. Тураева 1994:** Тураева З.Я. "Лингвистика текста и категория модальности. // Вопросы языкознания".
- 87. Уфимцева 1993:** Уфимцева Н.В. "Человек и его сознание: проблема формирования // Язык и сознание: парадоксальная рациональность", М.: Институт языкознания РАН.
- 88. Учебное... 2002:** Волгоградский государственный педагогический университет. Кафедра истории и теории культуры КУЛЬТУРА И ЭТНОС. Учебное пособие для самостоятельной работы студентов. Волгоград «Перемена». 2002.
- 89. Фелицына 1979:** Фелицына, Прохоров. "Русские пословицы, поговорки и крылатые выражения". Издательство: Русский язык.
- 90. Фесенко 2000:** Фесенко Т.А. Концептуальные системы как контекст употребления и понимания вербальных выражений // Когнитивные аспекты языковой категоризации: Сб. науч. тр. Рязань: РГПУ им. С.А. Есенина.

- 91. Фойт 1978:** Фойт В. Разработка общей теории пословиц // Паремнологический сборник. – М: Наука.
- 92. Чернейко ... 1996:** Чернейко Л. О., Долинский В. А. “Имя СУДЬБА как объект концептуального и ассоциативного анализа” // Вестник МГУ. Серия 9. Филология. № 6.
- 93. Шмелев 1983:** Шмелев Д.Н. “Проблемы семантического анализа лексики” (на материале русского языка), М.
- 94. Шувалова 1998:** Шувалова С.А. «Свое» и «чужое» в русских пословицах и поговорках. // Русская речь. №5.
- 95. Щерба 1974:** Щерба Л.В. “Языковая система и речевая деятельность”. - Л.